საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№07 (525)
26 თებერვალი – 3 მარტი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ბორდელები და კადაფის ფული. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო წლების განმავლობაში კითხულობდა მსოფლიო ლიდერების საიდუმლოებებს

10

## ივანე დამამხობელი, შალვა გამიჯნული და ესტონეთის სპეცსამსახურები

2




შთაბეჭდილება რჩება, რომ ესტონეთის სპეცსამსახურები გრიგოლიასა და ჭიჭილაშვილის ჭორებს დაზვერვის შედეგებად ასაღებენ



ია მეტრეველი:

## მერაბიშვილი ახლა ისეთ რევოლუციურ ნოტზეა, ორი კი არა, მგონი, 22 გვამიც არ ეყოფა

6

## ქვანია-სააკაშვილის ბუნდის ქვებუდანობა



8-9

## დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ტყვიის გასროლის გარეშე წაგვგლიჯეს

7



## მიუნხენის შედეგი: «დასრულდა გლობალური წესრიგი აშშ-ის მეთაურობით»

14





4

გიგი უგულავა? 

გიგი იუკურიძე:

## ჩვენთან უბრალოდ ლაპარაკობენ საზოგადოების სახელით, ოღონდ ისე, რომ საზოგადოების აზრი და რეალური განწყობები დავიწყებულია...



გულბაათ რცხილაძე:

## მათი მიზანია, რუსეთს წაუყენონ ბრალდებები. მუდმივად ხომ უნდა იყოს რაღაც რუსეთის წინააღმდეგ

5

## რაში გამოიხატება «დასავლური ოჯახის ღირსეული წევრობა», იქნებ ვინმემ აგვიხსნას?

3






## საქართველოს ხელისუფლება კვლავ საერთაშორისო პროვოკატორის როლშია

24

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ისე დამაინტერესა ინფორმაციამ, რომ თურმე ესტონეთს „ავტორიტეტული“ სპეცსამსახურებიც ჰყოლია, რომ მათი დასკვნა წავიკითხე. სიმართლე გითხრათ, მეგონა, „ტვ პირველს“ ვუყურებდი და ინგა გრიგოლიასა და ნინო ჟიჟილაშვილს ვუსმენდი. აი, ზუსტად ეგეთი ჭორები ეწერა ამ „სპეცსამსახურების დასკვნაში“. ფაქტობრივად, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ესტონეთის სპეცსამსახურები სხედან, „ტვ პირველს“ უცქერენ და, რასაც გაიგონებენ, დასკვნის სახით წერენ და მათ მიერ ვითომ ჩატარებული სპეციალური დაზვერვის შედეგებად ასაღებენ.

# ივანე დამამხობელი, შალვა გამიჯნული და ესტონეთის სპეცსამსახურები

**ჩვენს ქვეყანაში რაღაც რომ ვერ არის წესრიგში, ნათელია. ისიც ფაქტია, რომ ეს „რაღაც“ საკმაოდ დიდი, მნიშვნელოვანი და სერიოზული „რაღაცაა“. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ამხელა ნაწილის ასეთი, პირდაპირ ვთქვათ, გამოშტერება, ცოტა არ იყოს, საგანგაშო მოვლენაა.**

დავიწყოთ იმით, რომ კაცს, რომელიც საჯაროდ ითხოვდა „ორ გვამს“, საპატიმროდან გამოსვლისას ტაშითა და ოვაციებით ხვდებიან და ეს, რაც უნდა მცირე ნაწილი იყოს საზოგადოებისა, მაინც ძალიან ტრაგიკომიკური სანახაობაა.

თუმცა კარგი, ჯანდაბას, მაგრამ, როდესაც ეს კაცი გათავისუფლების შემდეგ პირველივე განცხადებას იმის შესახებ აკეთებს, როგორ უნდა დაამხოს ხელისუფლება, აქ უკვე კომედიის ნაწილი საბოლოოდ იკარგება თუ პირიქით — კიდევ უფრო მძაფრდება, ველარ გაგიგია ნორმალურ ადამიანს.

არადა, **ძალიანაც არ უნდა იყოს ეს ყოველივე გასაკვირი იმ ფონზე, როდესაც ვანოზე არათუ ნაკლები, შესაძლოა, უფრო მეტად დამნაშავეებიც კი, არათუ ციხეში, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოშიც კი სხედან და „ადამიანის უფლებებზე“, „ძალადობის დაუშვებლობასა“ და „დემოკრატიულ განვითარებაზე“ გველაპარაკებიან.**

აქვე უნდა ითქვას, რომ გასაკვირია „ქართული ოცნების“ იმ მხარდამჭერთა აღშფოთება, რომლებიც გაიძახიან, — რატომ გამოვიდა ვანო ციხიდანო.

თქვე კაი დედმამიშვილებო, გავიდა უკვე ლამის 7 წელიწადი. თქვენ რა, გეგონათ, მერაბიშვილს სამუდამო ჰქონდა მისჯილი? ჩვენს უნიათო ხელისუფლებას უნდა უზრუნველეყო ის, რომ ვანოს ციხიდან გამოსვლის მომენტისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე წარმომადგენლებს ხმის ამოღების ხალისი არ უნდა ჰქონოდათ. ქვეყანაში ასეთი ვითარება უნდა შექმნილიყო: უნდა ჩატარებულიყო პროპაგანდაც, უნდა ყოფილიყო მოწოდებებიც, ნაცების მანიაკური მოქმედებების ხშირი შეხსენებაც და ბევრი სხვა რამ. რაც მთავარია, არ უნდა მომხდარიყო კოაბიტაცია და მერაბიშვილზე არანაკლებ დამნაშავე წევრები „ნაცმოძრაობისა“ არ უნდა გადაეპორტირებინათ „ქართული ოცნების“ წიაღში.

აი, ეს უნდა მომხდარიყო, თორემ **იმ ვითარებაში, რა ვითარებაც ქვეყანაში „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა, მერაბიშვილი ციხიდან წელგამართული და მუქარის განწყობით რომ გამოვიდოდა, ამაში არც მოულოდნელი ყოფილა რამე და არც გასაკვირი.**

გასაკვირი უფრო ის არის, როგორც დახვდნენ ციხიდან გათავისუფლებულ მერაბიშვილს მისი ყოფილი თანამებრძოლები და თანაგუნდელები, ასევე, აწ უკვე ნაცებთან ჩახუტებული ყოფილი „ოცნებელები“.

ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ, „ყველაფრის მიუხედავად, პირადი წყენის დავიწყებისა და ერთად დადგომის“ პროპაგანდით დაკავებულმა ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ და სხვებმა ვანო მერაბიშვილის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთეს და თანაც ოფიციალურად გაემიჯნენ მას.

**ივანე დამამხობელს პირველი ირაკლი ალასანიას ყოფილი პარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარე შალვა შავგულიძე გაემიჯნა. „ჩვენ არასოდეს დავსხდებით ერთ მაგიდასთან — იქ, სადაც იქნება ადამიანების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში მსჯავრდადებული ვანო მერაბიშვილი“, — ისე განაცხადა შავგულიძემ, გეგონება, „ევროპული საქართველოს“ დანარჩენი წევრები სულ ნობელის პრემიის ლაურეატები არიან მშვიდობისა და ჰუმანიზმის დარგში.**

აკი, შალვა შავგულიძის პარტიამ არც ისე დიდი ხნის წინათ პირდაპირი და უშუალო „კოალიცია“ შეკრა „ევროპულ საქართველოსთან“ და ეს ამბავი **გიგი უგულავასთან** შამპანურის ბოკლების მიჭახუნებითაც აღნიშნეს. ამ ბოკალთჭახუნს გაღიმებული სახით შესცქეროდა **გიგა ბოკერია,** რომელიც, არაერთი სანდო წყაროს მტკიცებით, ვანო მერაბიშვილზე არანაკლები მანიაკი და ადამიანთა წამების თანამონაწილეა.

სხვათა შორის, ამავეს ამტკიცებდა 2012 წელს თვითონ შალვა შავგულიძეც, რომელიც **სულხან მოლაშვილის** ადვოკატი იყო, მაშინ, როდესაც სულხან მოლაშვილმა საჯაროდ განაცხადა, ჩემს წამებაში პირადად გიგა ბოკერიაც მონაწილეობდაო.

არ უნდა გამოგვრჩეს, რომ აქვე არიან ნაცებისდროინდელი პროკურატურის მაღალჩინოსანი **ღვინიაშვილი,** პოლიციის მაღალჩინოსანი **თენგიზ გუნავა** და სხვები.

სხვათა შორის, გუნავა ვანო მერაბიშვილს ე.წ. მატროსოვის ციხესთანაც დახვდა.

მაშ, **თუკი მათთან ერთად ჯდომა არ უქმნის არანაირ დისკომფორტს შალვა გამიჯნულს, ვანო მერაბიშვილი რითია გამორჩეული?**

ნამდვილად ეჭვს ბადებს ასეთი გამიჯვნები, მით უფრო, რომ ვანო მერაბიშვილის მისამართით ასეთი განცხადებები ზედიზედ გააკეთეს არა მხოლოდ პოლიტიკოსებმა, არამედ ჟურნალისტებმაც — მაგალითად, **ელისო კილაძემ, ნინო ჯანგირაშვილმა** და სხვებმა.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მანამდე გვიმტკიცებდნენ, რომ მიშა სააკაშვილთან კიევში ჩასვლა და მასთან მოლაპარაკებები სულაც არ არის ცუდი და მიუღებელი და რომ ქვეყნის გადარჩენის მიზნით ყველასთან შეიძლება საუბარი.

ვანო მერაბიშვილი რატომ არ შედის „ყველაში“?

**აქამდე მეგონა, რომ მათ მიერ შემოთავაზებულ ფორმულაში „ყველა მინუს ერთი“ „ერთი“ ბიძინა ივანიშვილი იყო, მაგრამ ახლა უკვე ეჭვი მეპარება და მგონია, რომ ამ „ერთში“ ისინი ვანო მერაბიშვილს გულისხმობდნენ. თუ არა, მაშინ აწი უნდა ველოდოთ ფორმულას „ყველა მინუს ორი“, ანუ ბიძინა და ვანო.**

ყოველივე ეს უცნაურად კი ჩანს, მაგრამ, თუკი უცებ გაგვეხსენება გონება და გაგვახსენდება, პირველმა ვინ დააბრალა ყველაფერი ვანოს და შეახოცა ხელი, ყველაფერი უცებ დალაგდება. დიახ, **მიხეილ სააკაშვილმა**, ჯერ კიდევ ვანოს პატიმრობის პერიოდში განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის მიუტევებელმა შეცდომებმა ჩაძირა და გადაიყოლა“. მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლამდე ერთი დღით ადრეც სააკაშვილმა თავის მორიგ „ფეისბუქ-ლაივში“, ფაქტობრივად, პირდაპირ თქვა, რომ სჯობს, მერაბიშვილი სახლში წავიდეს, მშვიდ ცხოვრებას მიჰყოს ხელი, დაისვენოს და პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერიოს.



**სააკაშვილს რაღაც მიზეზებით აღარ სურს «უდელი გაღლეტილის» ხილვა ქართულ პოლიტიკაში. ჰოდა, სახელდობრ, სააკაშვილის პირდაპირი «ჯიბის» პოლიტიკოსები და ჟურნალისტები გააქტიურდნენ და «ვანოს ვემიჯნებითო!» — გაჰყვირიან**






ფაქტია, სააკაშვილს რაღაც გარკვეული მიზეზებით აღარ სურს **„უდელი გაღლეტილის“** ხილვა ქართულ პოლიტიკაში. ჰოდა, სწორედ სააკაშვილის პირდაპირი „ჯიბის“ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები გააქტიურდნენ და „ვანოს ვემიჯნებითო!“ — გაჰყვირიან. აქ, მგონი, საკამათოც აღარაფერია.

მაინც საკმაოდ **გასართობი ამბავია ის, რომ ვანო მერაბიშვილს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, სად განაგრძობს პოლიტიკურ „მოღვაწეობას“ — „ნაციონალურ მოძრაობაში“ თუ „ევროპულ საქართველოში“, თუმცა, რაც ზემოთ მიხეილ სააკაშვილსა და მის მიერ დაქირავებულ პოლიტიკოს-ჟურნალისტებზე ვთქვით, ამის გაანალიზების შემდეგ შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მერაბიშვილს არც ერთგან „მიასუნინებენ“ და არც მეორეგან. მაშ, რას იზამს „ორი გვამის“ მანიით უიმედოდ შეპყრობილი „პოლიტიკოსი“? ნუთუ კიდევ ერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას უნდა ველოდოთ?**

არც ის იქნება გასაკვირი **„საუკეთესო ქართველი მენეჯერი“** სულაც მმართველ პარტიაში ვიხილოთ. თუკი გაიხსენებთ თავის დროზე ვინ შეამკო ის ასეთი ეპითეტით, ვფიქრობ, მსგავსი ეჭვები თქვენც მოგეძალებათ. ბიძინა ივანიშვილმა ხომ არაერთი „ტრიუკი“ ჩაგვიტარა და მსგავსი „ტრიუკების“ ჩატარება მას, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით უყვარს.

არაფერი არაა გასაკვირი ქვეყანაში, სადაც, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, „რაღაც“ ვერ არის რიგზე და თან ეს „რაღაც“ ერთობ დიდი, მნიშვნელოვანი და საჭირბოროტოა. არ ვიცი, რა შეიძლება ჩაიდინოს საზოგადოებამ, რომლის არც ისე მცირე ნაწილს ღმერთის არ სჯერა, მაგრამ ესტონეთის სპეცსამსახურის დაზვერვისა სჯერა. დიახ, გადაუჭარბებლად გეუბნებით ამას. **ინტერნეტში გავრცელდა ცნობა, რომ ესტონეთის სპეცსამსახურების დაზვერვამ ჩაატარა რაღაც სპეციალური გამოძიება და დაწერა ანგარიში, რომელშიც საქართველოში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები რუსეთთან თანამშრომლობაში არიან დადანაშაულებული. ვაღიარებ — ისე დამაინტერესა ინფორმაციამ, რომ თურმე ესტონეთს „ავტორიტეტული“ სპეცსამსახურებიც ჰყოლია, რომ მათი დასკვნა წავიკითხე.** სიმართლე გითხრათ, მეგონა, „ტვ პირველს“ ვუყურებდი და **ინგა გრიგოლიასა** და **ნინო ჟიჟილაშვილს** ვუსმენდი. აი, ზუსტად ეგეთი ჭორები ეწერა ამ „სპეცსამსახურების დასკვნაში“. ფაქტობრივად, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ესტონეთის სპეცსამსახურები სხედან, „ტვ პირველს“ უცქერენ და, რასაც გაიგონებენ, დასკვნის სახით წერენ და მათ მიერ ვითომ ჩატარებული სპეციალური დაზვერვის შედეგებად ასაღებენ.

ჯანდაბა მაგათ თავს, მაგრამ მთავარი ჩემთვის ქართველი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ამ ბოდვას იჯერებს და მათთვის „ესტონეთის სპეცსამსახურების დასკვნა“ შეუვალ არგუმენტს ნიშნავს.

**არსებობს მსოფლიოში სახელოვანი სპეცსამსახურები — რუსეთის „ეფ-ეს-ბე“ (უსაფრთხოების ფედერალური სამსახური), ამერიკის „სი-ეს-აი“ (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო), ებრაული „მოსადი“, ბრიტანული „მი-6“ და ჰა, კიდევ რამდენიმე... მაგრამ „ესტონეთის სპეცსამსახურები“ — ეს ფორმულირება თვითონ ესტონელებისთვისაც ძალიან სასაცილო ორსიტყვიანი ანეკდოტია...**

ჩვენთან კი საზოგადოების გარკვეული ნაწილი სწორედ „ესტონეთის სპეცსამსახურების მონაცემებს“ ეყრდნობა და ამის შემდეგ შეიძლება ვინმეს „ენ-დი-აი“-ს ან „აი-არ-აი“-ს კვლევების „სანდოობა“ გაუკვირდეს?! აი, ასეთ საზოგადოებაში გვიწევს ცხოვრება და ყოველდღიურად ივანე დამამხობლისა და შალვა გამიჯნულის ცქერა, მოსმენა და ატანა.

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რისთვის სჭირდება რუსეთს საქართველოს სამთავრობო უწყებებზე კიბერშეტევა — სახელისუფლო ორგანოების პარალიზებისთვის? — გამორიცხულია, რადგან ეს ორგანოები ისედაც პარალიზებულია. რამე საიდუმლო ინფორმაცია რომ შეიტყოს? — ესეც გამორიცხულია, რადგან, სამწუხაროდ, ისე უმნიშვნელო ვართ დასავლელი პარტნიორებისთვის, რომ სერიოზულ საიდუმლოს არ გვანდობენ. აბა, რისთვის დასჭირდათ ამის გაკეთება?!**

# რაში გამოიხატება «დასავლური ოჯახის ღირსეული წევრობა», იქნებ ვინმემ აგვიხსნას?

**2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ხელისუფლების ვებგვერდებს ჰაკერებმა შეუტიეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ კიბერშეტევა თურმე რუსეთიდან განხორციელდა. უფრო კონკრეტულად კი:**

„2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედიაორგანიზაციების ვებგვერდებზე, სერვერებსა და სხვა მართვით სისტემებზე. კიბერშეტევის შედეგად დაზიანდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სერვერები, მართვითი სისტემები და მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი ფუნქციონირება. კიბერშტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, საქართველოს მოსახლეობისთვის ზიანის მიყენებას და სამთავრობო სტრუქტურების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის ფუნქციონირების შეფერხებითა და მოშლით საზოგადოებაში მღელვარების დათესვას. ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებითა და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობით მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული კიბერშეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს მიერ. საქართველო გმობს აღნიშნულ კიბერშეტევას, ის ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს და წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის მორიგ ხელყოფას, მიმართულს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ“, — ეს განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო უწყებამ.

ხომ ლოგიკურია, რომ ამ ბრალდების შემდეგ რუსულ მხარეს უმწვავესი რეაქცია უნდა ჰქონოდა და როგორც ქართული მხარე, ისე ამერიკა და ევროპა მოუთმენლად ელოდა რუსეთის პასუხს. ამ ქვეყნის მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებასაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს ხელისუფლების, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და რიგი ევროპული ქვეყნების რუსეთის მისამართით ბრალდებებზე ფართომასშტაბიანი კიბერშეტევების შესახებ ქართულ ინტერნეტგვერდებზე, სერვერებსა და საოპერაციო სისტემებზე, გვინდა, აღვნიშნოთ შემდეგი: ეს არის დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად მოტივირებული ინფორმაციის გავრცელება. არავითარი მტკიცებულება რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან საქართველოს ელექტრონულ ქსელებში დამაზიანებელ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ არ არსებობს და არც შეიძლება იყოს. ყურადღებას იქცევს სინქრონიზებული პროპაგანდისტული აქცია, რომელიც მოწყობილია ვაშინგტონის, ლონდონის, თბილისისა და სხვათა მიერ. **ოთხი თვე დასჭირდა რუსეთის მონაწილეობის დადგენას ინციდენტში, რომელიც თითქოს გასული წლის 28 ოქტომბერს მოხდა. ყველა ბრალდება კვლავაც წამოსულია ყბადაღებული highly likely-ის ფარგლებში. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ სურთ უარის თქმა რუსეთის დემონიზაციის ხაზზე, გასული წლის კრიზისიდან გაკვეთილის სწავლა. ეს ყველაფერი დამატებით ჩრდილს აყენებს ისედაც არამარტივ ურთიერთობებს. კვლავ დარწმუნებულნი ვართ, არსებული უთანხმოებების გადალახვა და ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელება ქართველი და რუსი ხალხების ძირეულ ინტერესებს შეესაბამება; გვესმის, რომ არსებობენ ძალები, რომლებსაც ეს სრულიად არ აძლევთ ხელს“.**

რუსეთის საგარეო უწყებამ ის კი არ თქვა, მტერი ხარ ჩემი, ამას რომ აკეთებო, არამედ ქართველ კოლეგებს ჭკუა დაარიგა და, რბილად რომ ვთქვათ, ყური აუწია. ქართული მხარის განცხადებების შემდეგ არ დააყოვნეს ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, რუსეთის ქმედებები ისე დაგმეს, არც კი უკითხავთ, რა მტკიცებულებები ჰქონდა ქართულ მხარეს ან რის საფუძველზე გაკეთდა აღნიშნული განცხადება. დავსვათ ძალიან მარტივი კითხვა — **რისთვის სჭირდება რუსეთს საქართველოს სამთავრობო უწყებებზე კიბერშეტევა — სახელისუფლო ორგანოების პარალიზებისთვის? — გამორიცხულია, რადგან ეს ორგანოები ისედაც პარალიზებულია.**

რამე საიდუმლო ინფორმაცია რომ შეიტყოს? — ესეც გამორიცხულია, რადგან, სამწუხაროდ, ისე უმნიშვნელო ვართ დასავლელი პარტნიორებისთვის, რომ სერიოზულ საიდუმლოს არ გვანდობენ.

აბა, რისთვის დასჭირდათ ამის გაკეთება?! პასუხი მარტივია: არ სჭირდებოდათ, მაგრამ...

საზოგადოდ, საქართველოში მოდურია, როცა რამე არ გამოგდის, როცა რამე ფუჭდება, ადგე და რუსეთს დააბრალო. არ აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციის წარმომადგენელი ხარ თუ ხელისუფლების, ჩინიანი თუ უჩინო, **საკმარისია, ხელი რუსეთისკენ გაიშვირო და უცებ იმდენი მხარდამჭერი გამოგიჩნდებათ შინ თუ გარეთ, თავადაც გაოცდებით. აგერ, ვინ იფიქრებდა, რომ ციხიდან ახალგათავისუფლებული ვანო მერაბიშვილი თავისუფლების პირველივე დღეს იტყოდა, რომ, როცა ორ გვამს ითხოვდა, რუს გენერლებს გულისხმობდა, რომლებიც თურმე მუხროვანის ამბოხში მონაწილეობდნენ.**

გესმით, ხალხო? მოქმედი ხელისუფლება ამბობს, მუხროვანის ამბოხი დადგმული და თითიდან გამოწოვილი თემა იყოო, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კი გაიძახის: რა თითიდან გამოწოვილი თემა, ორი რუსი გენერალი აწყობდა ამბოხსო. რაც მთავარია, **პროცესის ასე შემობრუნება ძალიან მოეწონათ ოპოზიციას და დასავლელ პარტნიორებს. თურმე, ვანო ქართველებზე კი არ ნადირობდა, რუსეთს ებრძოდა, თუმცა საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მერაბიშვილის ხალხმა სწორედ ქართველები ჩახოცა და... იმ მომენტში რუსული კვალი არავის უხსენებია და არც გენერლებზე თქმულა რამე. 6 წელი და 9 თვე საკმარისი აღმოჩნდა ახალი ვერსიის მოსაფიქრებლად და თანაც როგორი ვერსიის, ყველამ ტაში რომ დაუკრა.**




**საკმარისია, ხელი რუსეთისკენ გაიშვირო და უცებ იმდენი მხარდამჭერი გამოგიჩნდებათ შინ თუ გარეთ, თავადაც გაოცდებით. აგერ, ვინ იფიქრებდა, რომ ციხიდან ახალგათავისუფლებული ვანო მერაბიშვილი თავისუფლების პირველივე დღეს იტყოდა, რომ, როცა ორ გვამს ითხოვდა, რუს გენერლებს გულისხმობდა, რომლებიც თურმე მუხროვანის ამბოხში მონაწილეობდნენ**

სამწუხაროდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას აჰყვა ყველა, ვისაც არ დაეზარა. ეგ კი არა, ჟურნალისტებმა (უფრო ზუსტად, „დამოუკიდებელმა“ ჟურნალისტებმა), შინაგან საქმეთა მინისტრს ისიც ჰკითხეს, რუსეთთან საერთაშორისო სამართლებრივ დავას ხომ არ იწყებთო, რაზეც ბატონმა **ვახტანგ გომელაურმა** მიუგო: „დიდი შეტევა იყო კიბერმიმართულებით. ვიმუშავებთ კოლეგებთან და პარტნიორებთან. ოფიციალური კომენტარი გაკეთდა. დეტალებში ვერ შევალთ. ჩვენ ვთქვით ღიად, რომ რუსული კვალი იყო და არ დაგვიმალავს. გადავწყვეტთ, დავიწყებთ თუ არა გამოძიებას, ახლა ვერ გიპასუხებთ. 21-ე საუკუნეა და პოპულარულია მსოფლიოში ეს საკითხი არამხოლოდ საქართველოში. ეს საფრთხეები უფრო და უფრო იზრდება, რაც ტექნოლოგიები ვითარდება. ჩვენ ვმუშაობთ პარტნიორებთან ერთად, რომ გავაუმჯობესოთ, მეტი კონტროლი იყოს, რომ არ მოხდეს კიბერშეტევა ან, თუ მოხდება, სივრცეში ჩაკეტვა მოხდეს და არ დააზიანოს ესა თუ ის მიმართულება“.

მინისტრმა არ დააკონკრეტა, იჩივლებს თუ არა სახელმწიფო და, ჩვენი აზრით, ამას თავისი მიზეზი აქვს — **საერთაშორისო სასამართლოში საერთაშორისო სტანდარტების მტკიცებულებებს მოითხოვენ და არა მშრალ განცხადებას. ამ მტკიცებულებების წარდგენა კი ძალიან რთული იქნება, რადგან იმავე განვითარებული ტექნოლოგიების მეშვეობით სრულიად შესაძლებელია კიბერშეტევა განახორციელოს ერთმა ქვეყანამ და გამოძიება გაიდეს მეორე ქვეყანაზე. მომხდარა ასე ადრე, მომავალში უფრო ხშირად მოხდება და ეს არის ის რეალობა, რომელშიც თანამედროვე მსოფლიოს მოუწევს ცხოვრება.**

უკვე მერამდენედ ბოლო ერთ თვეში **გიორგი გახარიას** რუსეთის მიმართ კრიტიკული განცხადებების გაკეთება კვლავ აიძულეს. ფაქტია, რომ საქართველოს საგარეო უწყება მუშაობდა ჩვენი და რუსეთის უმაღლესი პირების შეხვედრის ორგანიზებაზე და, როგორც ჩანს, დასავლელმა „პარტნიორებმა“ ბოლო გზაც ჩაკეტეს. კიბერშეტევაზე ოფიციალური განცხადება ხომ სწორედ საგარეო უწყებას გააკეთებინეს და შემდეგ პრემიერიც იძლებული შეიქნა, ხელი სწორედ ჩრდილოელი მეზობლისკენ გაეშვირა.

„დავამთავრეთ ამაზე საუბარი. ეს არის ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი, ჰიბრიდული ძალის გამოყენების ფორმით და ჩვენ ამაზე ვმუშაობთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად. კიბერსივრცე არ არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთვის რისკის შემცველი. ეს არის გლობალური გამოწვევა. ამ გლობალურ გამოწვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა გვქონდეს და ისე მოვიქცეთ. ამიტომ წყნარად, მშვიდად, ყველაფერი იქნება ისე, როგორც **დასავლური ოჯახის ღირსეულ წევრს**, საქართველოს, თავის პარტნიორებთან ერთად შეეფერება. იმხელა რაღაც გაკეთდა საქართველოსა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით, ღონისძიებითა და გამოძიებით... დიახ, ეს თავდასხმა მომდინარეობდა რუსეთის მხრიდან“, — განაცხადა გახარიამ.

რაში გამოიხატება „დასავლური ოჯახის ღირსეული წევრობა“, იქნებ ვინმემ აგვიხსნას? მხოლოდ იმაში, რომ უცხოეთში ვიზიტებისას ქართული დელეგაცია „ჰაი-კლასის“ სასტუმროებში ჩერდება და კომფორტს არ იკლებს? დასავლეთის შესაბამისი ხელფასები გვაქვს ან დემოკრატია გვაქვს იქაური დონის შესაბამისი? — არაფერი, ბატონებო, სრულიად არაფერი.

მწარე რეალობა კი ასეთია: საქართველო დასავლეთს მძევლად ჰყავს აყვანილი და აიძულებს, ის იმღეროს, რასაც დაუკრავს. ვერ გეტყვით, გამოვალთ თუ არა ამ ჩაკეტილი წრიდან ოდესმე, რადგან არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას ამის სურვილი არ აქვთ. აი, როგორც კი სურვილი გაჩნდება ხოლმე, დასავლელი პარტნიორები მას ჩანასახშივე კლავენ. გავა ორიოდე კვირა, ეს განცხადება მიავიწყდება რიგით მოქალაქეებს, მაგრამ არ დაავიწყდებათ პოლიტკურ წრეებში და ძნელი იქნება ერთ მაგიდასთან დასვა ორი მხარე, რომლიდანაც ერთ-ერთი მუდმივად იმეორებს, რომ მეზობელი მტერია და მასთან მოლაპარაკება არ შეიძლება. არადა, სწორედ ეს მეზობელი ამბობს, — გველაპარაკეთო. როდიდან შეიქნა საუბარი სიცოცხლისთვის საშიში?!

**საქართველო დასავლეთს მძევლად ჰყავს აყვანილი და აიძულებს, ის იმღეროს, რასაც დაუკრავს. ვერ გეტყვით, გამოვალთ თუ არა ამ ჩაკეტილი წრიდან ოდესმე, რადგან არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას ამის სურვილი არ აქვთ. აი, როგორც კი სურვილი გაჩნდება ხოლმე, დასავლელი პარტნიორები მას ჩანასახშივე კლავენ**

**ბესო ბარბაქაძე**

თავდაცვის სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბოლო წლების განმავლობაში, როცა ხელისუფლებების დეკლარირებული პოლიტიკა იყო ალიანსისკენ სწრაფვა და ამ პროცესის წარმატებით წარმართვისთვის კეთდებოდა ყველაფერი, ქვეყანამ ვერც ერთ კომპონენტში მნიშვნელოვანი წინსვლა ვერ განიცადა — ვერც ეკონომიკური, ვერც სტრატეგიული, ვერც ტერიტორიული მთლიანობის კუთხით. რაც შეეხება თავდაცვასა და შეიარაღებულ ძალებს, სამწუხაროდ, ჩვენი რეალობა არ არის სახარბიელო და ეს უკვე ბევრ რამეში თვალში საცემია“**



# გივი იუკურიძე: ჩვენთან უბრალოდ ლაპარაკობენ საზოგადოების სახელით, ოღონდ ისე, რომ საზოგადოების აზრი და რეალური განწყობები დავიწყებულია...

**რამდენიმე დღის წინათ გერმანიის ქალაქ მიუნხენში სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ვიზიტით მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ქვეყნის ევროატლანტიკურ პერსპექტივებზე მედიასთან ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო დღეს, როგორც არასდროს, მზადაა ნატოს წევრობისთვის. აღნიშნული შეფასება მან საერთაშორისო უსაფრთხოების 56-ე კონფერენციის ფარგლებში გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის შემდეგ გააკეთა და დასძინა, რომ არ იცის, კიდევ როგორ უნდა დააკაკუნოს ქვეყანამ ალიანსის კარზე, როცა ხელისუფლება მისი (ნატოს) წევრობისთვის აუცილებელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ყველა პირობას ზედმიწევნით ასრულებს.**

**ცნობისთვის:** დავით ზალკალიანმა გასული წლის სექტემბერში მაკეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზეც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. მისი თქმით, მთავრობა და მთლიანად ხელისუფლება, ყველა თვალსაზრისით მზადაა, ამისთვის კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები გადადგას. თუმცა, მიუხედავად ამ რიტორიკისა თუ რეალური პოლიტიკისა, რომელიც ჯერ კიდევ წინა რეჟიმის დროს იყო დეკლარირებული, ფაქტია და მათ შორის ამას ყველაზე ავტორიტეტული დასავლელი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ ქვეყნისთვის ალიანსში ინტეგრაციის პერსპექტივები დღეს პრაქტიკულად არ არსებობს...

**რა მიზანს ემსახურება დღეს ხელისუფლების პროპაგანდა, რომ საქართველო უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი, და რა შედეგი მოაქვს რეალურად მსგავს რიტორიკას მმართველი გუნდისთვის, ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე.**

**— ბატონო გივი, საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს თუ დავუჯერებთ, ჩვენი დასავლელი პარტნიორები აღიარებენ, რომ საქართველო უკვე მოქმედებს, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა. მისი თქმით, სამოქმედო გეგმის მოდალობები, რომელიც დროშია გაწერილი, ზედმიწევნით სრულდება... რეალურია ეს განცხადებები?**

— მოდი, დავიწყოთ იმით, რომ ბატონი **ზალკალიანი** არ არის სამხედრო პირი და ლაპარაკობს მხოლოდ პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე. რაც შეეხება მოდალობებს და იმას, რომ თურმე, საქართველო უკვე მოქმედებს, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, მას, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ის, რომ მრავალი წელია, საკმაოდ მრავალრიცხოვანი კონტინგენტით ვმონაწილეობთ სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში. თუმცა ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია და მისი წევრობისთვის მზადყოფნა ამ მისიებში აქტიურობით არ განისაზღვრება; აქ ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური კომპონენტიც, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს, პრაქტიკულად, არ აქვს და ამაზე ალიანსის ხელმძღვანელობა ყოველთვის აკეთებს აქცენტს. სხვა დანარჩენი, ვფიქრობ, პოლიტიკური მოხმარების საგანია და, გამომდინარე აქედან, სად რა განცხადებასა თუ კომენტარს გააკეთებს ბატონი მინისტრი, დიდად მნიშვნელოვანი არ არის. საერთოდ, **როგორი წარმატებითაც უნდა სრულდებოდეს მოდალობები, საუბარი იმაზე, რომ აი, ჩვენ, უკვე როგორც ნატოს წევრი, ისე ვმოქმედებთ, ცოტა გადაჭარბებული მგონია.** იმიტომ, რომ ნატო დღეს, პრაქტიკულად, არის დახურული ორგანიზაცია, რომელიც არათუ გაფართოებაზე, არამედ, თავის შიდა პრობლემების რეგულირებაზეა მთლიანად ორიენტირებული. მაგალითად, ის, რომ დაფინანსების საკითხზე გარკვეული წინააღმდეგობებია ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის, ან თუნდაც ის, რომ გერმანიისა და საფრანგეთისთვის მიუღებელია ე.წ. გლობალური ნატოს პროექტი. გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე ამის შესახებ **ანგელა მერკელმა** ისაუბრა.

საფრანგეთს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, **ემანუელ მაკრონმა** არც ისე დიდი ხნის წინათ პირდაპირ განაცხადა, — ნატოს ტვინი კვდომას განიცდისო. აი, ეს არის გადამწყვეტი და, ვფიქრობ, **საკითხი ასე კი არ უნდა დავაყენოთ, ვაკმაყოფილებთ თუ არა მოთხოვნებს, მთავარია, ფართოვდება თუ არა თვითონ ალიანსი ერთიანი კონსენსუსით.** ფაქტია, რომ არა. ყოველ შემთხვევაში, სამი უმსხვილესი სახელმწიფო — გერმანია, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები — ამის წინააღმდეგია; ბალტიისპირეთის ქვეყნები — ლიტვა, ლატვია და ესტონეთი გვიჭერენ თუ არა მხარს, ყველამ ვიცით, რომ არაფერს წყვეტს...

**— თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამ ქვეყნების მხარდაჭერასაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს...**

— ეს უკვე პოლიტიკაა და პოლიტიკაში, ბუნებრივია, სხვანაირად ვერც იქნება, თუმცა ფაქტია: თვითონ ბალტიის ქვეყნებს ნატოს მეხუთე პუნქტი გარანტირებული არ აქვთ...

**«80-ათასიანი ჯარი ჰყავს სომხეთს, ყარაბახის არმიის გარდა, 120-ათასიანი — აზერბაიჯანს. რამდენია ჩვენი პირადი შემადგენლობა? — მათი ნახევარიც არა. არაფერს ვამბობ ტანკების რაოდენობაზე, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, არტილერიაზე და ა.შ. სანამ სახელმწიფოს არ ექნება სწორება თავის სტრატეგიულ ინტერესებზე, რომლებსაც უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის გეოპოლიტიკური სპეციფიკა, რეგიონული პოლიტიკა, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და ა.შ., მანამდე ნებისმიერი მსჯელობა ვითარების არსებითად შეცვლაზე მსჯელობად დარჩება»**

რაც შეეხება საქართველოს მზადყოფნას ნატოს წევრობისთვის, ხშირად, როცა ამ თემებზე საუბრობენ, ხაზს უსვამენ შეიარაღებული ძალების მომზადებას და ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა თავდაცვისუნარიანობის გაზრდა. ეს არასწორი მიდგომაა. საერთოდ, სამხედრო კომპონენტის ცალკე გამოყოფა არ შეიძლება, იმიტომ, რომ ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველი არის ქვეყნის ეკონომიკა. ახლა მეორე და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც ყურადღება, ფაქტობრივად, არ მახვილდება — შეუძლებელია უსაფრთხოების კუთხით რამე წინსვლაზე ლაპარაკი, როცა ქვეყანას თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული სტრატეგია არ აქვს და ორიენტირებულია საერთაშორისო მისიებში საკუთარი წვლილის გაზრდაზე. კიდევ ვიმეორებ: ეს რაღაც თვალსაზრისით კარგია, მაგრამ, **თუ ეს ყველაფერი ხდება იმის ხარჯზე, რომ პრაქტიკულად არ გყავს საჰაერო ძალები, არ გყავს საზღვაო ძალები, არ გყავს მძიმე ტექნიკა და, საერთოდ, თავდაცვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ამაზე მიდის, მაშინ სიკარგეზე, რა თქმა უნდა, ზედმეტია საუბარი.** ისე, სიმართლე გითხრათ, არ მიკვირს და ალოგიკურს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ, სრული უპერსპექტივობის მიუხედავად, ხელისუფლების რიტორიკა ნატოში საქართველოს აუცილებლად გაწევრებაზე, უცვლელია. ეს არის ამ (აგრეთვე, მისი წინამორბედის) ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური ორიენტირიც, რომელიც მათი ეფექტიანობის ერთგვარი საზომია. გამომდინარე აქედან, მათ არ შეუძლიათ, ბუნებრივია, ასე ერთბაშად თვალი გაუსწორონ რეალობას და განაცხადონ: მორჩა, ველარ მიგვიღებენ...

**— პოლიტიკურ დემაგოგიას რა მოაქვს? რა არის ხელისუფლებისთვის შედეგი იმისა, რომ საზოგადოებას სიმართლეს არ ან ვერეუბნებიან?**

— არ ვიცი, ეს უკვე ანალიტიკოსების თემაა, მაგრამ ფაქტია: 21-ე საუკუნეში საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება ძალიან მაღალია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაიზარდა. დღეს, მაგალითად, ძალიან რთულია, საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ მალე ნატოს კარს შევაღებთ, როცა ინტერნეტსივრცეს ელვისებურად ედება, ვთქვათ, მერკელის ან რომელიმე სხვა დასავლელი ლიდერის განცხადება ნატოს გაფართოების მიუღებლობაზე. **რაც შეეხება რიტორიკას, რომ საქართველოს მოსახლეობის 70 თუ 80% ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეა და ეს არის ისტორიული არჩევანი, ვფიქრობ, ნებისმიერ ასეთ თამამ გზავნილს საზოგადოების სახელით უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლეგიტიმაცია.**

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ეს პოზიცია რეალურად უნდა ასახავდეს საზოგადოების განწყობას. ახლა მაინცდამაინც არ ვამტკიცებ, რომ საქართველოს მოსახლეობა ნატოს წინააღმდეგია, მაგრამ ყველაფერს სჭირდება შესწავლა. ჩვენთან, სამწუხაროდ, ასე არ ხდება, **ჩვენთან, უბრალოდ, ლაპარაკობენ საზოგადოების სახელით, ოღონდ ისე, რომ საზოგადოების აზრი და რეალური განწყობები საერთოდ დავიწყებულია...**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მისაღებია საქართველოს მოსახლეობისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია?**

— ძნელია, ასე ჰაერზე ამაზე საუბარი, მაგრამ მგონია, რომ **განსხვავებით წლებისწინანდელი მდგომარეობისგან, დღეს სკეპტიციზმი გაცილებით მაღალია, თუნდაც იმიტომ, რომ წლებია, უშედეგოდ გვესმის ერთი და იგივე — ნატოს კარი ღიაა. ვერ შევეტიეთ... ან თუნდაც იმიტომ, რომ 2008 წლის აგვისტოში ყველამ ვნახეთ, რა დაცულებიც ვიყავით. არაფერს ვამბობ სტატისტიკაზე.** მოკლედ, ბოლო წლების განმავლობაში, როცა ხელისუფლებების დეკლარირებული პოლიტიკა იყო ალიანსისკენ სწრაფვა და ამ პროცესის წარმატებით წარმართვისთვის კეთდებოდა ყველაფერი, ქვეყანამ ვერც ერთ კომპონენტში მნიშვნელოვანი წინსვლა ვერ განიცადა — ვერც ეკონომიკური, ვერც სტრატეგიული, ვერც ტერიტორიული მთლიანობის კუთხით და ა.შ. რაც შეეხება კონკრეტულად თავდაცვასა და შეიარაღებულ ძალებს, სამწუხაროდ, ჩვენი რეალობა არ არის სახარბიელო და ეს უკვე ბევრ რამეში თვალში საცემია...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, შევადაროთ ჩვენი შეიარაღებული ძალები სომხეთისას ან აზერბაიჯანისას, გნებავთ — რაოდენობრივად, გნებავთ — დაფინანსებით, შეიარაღების დაკომპლექტებითა და საბრძოლო მომზადებით. მათთან შედარებით სუსტები ვართ, სამწუხაროდ. თუმცა აქვე კარგიც უნდა ითქვას და მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ პირადი შემადგენლობების ინდივიდუალური მომზადების დონე საკმაოდ მაღალია...

**— ნატოსთან მრავალწლიანი თანამშრომლობის, ერთობლივი წვრთნებისა და საერთაშორისო მისიებში აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, რეგიონში ყველაზე სუსტი შეიარაღებული ძალები გვყავს?**

— მოდი, უბრალოდ, სტატისტიკას შევხედოთ: **80-ათასიანი ჯარი ჰყავს სომხეთს, ყარაბახის არმიის გარდა, 120-ათასიანი — აზერბაიჯანს. რამდენია ჩვენი პირადი შემადგენლობა? — მათი ნახევარიც არა. არაფერს ვამბობ ტანკების რაოდენობაზე, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, არტილერიაზე და ა.შ.** შეფასებებს აღარ გავაკეთებ, უბრალოდ, ერთ რამეს ვიტყვი: **სანამ სახელმწიფოს არ ექნება სწორება თავის სტრატეგიულ ინტერესებზე, რომლებსაც უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის გეოპოლიტიკური სპეციფიკა, რეგიონული პოლიტიკა, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და ა.შ., მანამდე ნებისმიერი მსჯელობა ვითარების არსებითად შეცვლაზე მსჯელობად დარჩება.** კი, კარგია საერთაშორისო მისიები, ერთობლივი წვრთნები და სწავლებები, მაგრამ რა დონის მომზადებაც უნდა მოგცეს ამ ყველაფერმა, არ გამოგადგება, თუ იდეაშივე არ არის ჩადებული ქვეყნის სტრატეგიული ამოცანა. დღეს **საქართველოს რეალური ინტერესები, ობიექტური ფაქტორებით განპირობებული, გადაწეულია უკანა პლანზე, პრიორიტეტად კი გამოცხადებულია ის, რაც, ფაქტობრივად, არის ილუზია. აი, ამის კვალობაზე ძალიან რთულია მომავალზე საუბარი.**

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, მნიშვნელობა არ აქვს, მსგავს განცხადებებს ვისგან მოვისმენთ. არ იქნება ბატონი ზალკალიანი, მის ადგილზე მოსული სხვაც იმავე რიტორიკას გააგრძელებს. ეს არ იცვლება და, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, რომ ამ მხრივ უახლოეს მომავალში რამე შეიცვლება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ივანიშვილს არჩეული აქვს სტრატეგია — მიკედლებულია ამერიკელებს, იხდის დიდძალ ფულს, ახლა დაიწყო ლობიზმში ფულის გადახდა და გააჩუმა კიდეც ის კონგრესმენები, რომლებიც ხელისუფლების მუშაობას იწუნებდნენ და შენიშვნებს იძლეოდნენ. სხვათა შორის, თავისი ლოკალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ის სწორად იქცევა, მაგრამ მან არც იცის გეოპოლიტიკა და სტრატეგია, მისთვის ეს ცნებები უცხო ხილია და ამიტომ საქმეს უდგება, როგორც ბიზნესმენი, რომელმაც ვიღაც უნდა მოქრთამოს, რაღაც გაუკეთოს, გაუფუჭოს და ა.შ.“

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# მათი მიზანია, რუსეთს წაუყენონ ბრალდებები. მუდმივად ხომ უნდა იყოს რაღაც რუსეთის წინააღმდეგ

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახელისუფლო ორგანოებისა და კომერციული სტრუქტურების ვებგვერდებზე განხორციელდა ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა. ჰაკერული შეტევის ობიექტები იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედიაორგანიზაციების ვებგვერდები, სერვერები და დაცვითი სისტემები.**

„აღნიშნული კიბერშეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, საქართველოს მოსახლეობისთვის ზიანის მიყენებას და სამთავრობო სტრუქტურებისა და სხვა ორგანიზაციების შეფერხებითა და მოშლით საზოგადოებაში მღელვარების დათესვას“, — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე.

ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, ამა წლის 20 თებერვალს გამოძიებით გაირკვა, რომ აღნიშნული კიბერშეტევა დაგეგმა და განახორციელა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარმა სამმართველომ.

ამის გამო განცხადებები გაავრცელეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებმა საქართველოში. ორივე ქვეყანა გმობს რუსეთის ქმედებას.

„საქართველოზე მასობრივი კიბერშეტევა განახორციელა რუსეთის ფედერაციის გენშტაბმა. სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობა შეფერხდა. მოვუწოდებთ რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს უსაფრთხოების, დემოკრატიის სფეროებში ჩარევა. შემთხვევითი არაა, რომ მას მთელი დასავლეთის გამოხმაურება მოჰყვა“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძემ.**

პარალელურად, განცხადებები გაავრცელეს და რუსეთის ქმედებები დაგმეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, გაერთიანებულმა სამეფომ, უკრაინამ, კანადამ, ლიტვამ, პოლონეთმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ესტონეთმა და დანიის სამეფომ.

ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, „რუსეთი არ აპირებდა და არც აპირებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დასანანია, რომ საქართველოშიც კი უარს არ ამბობენ „რუსეთის დემონიზაციის ხაზზე“ და რომ საქართველომ გასული წლის „კრიზისისგან გაკვეთილი ვერ მიიღო“.

რატომ შეცვალა საქართველოს ხელისუფლებამ რიტორიკა რუსეთის მიმართ? მუშაობს თუ არა ანტირუსული ლობი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ცნობიერებაზე და უღალატეს თუ არა ივანიშვილს?

**საქართველოზე განხორციელებულ კიბერშეტევაზე, ჩვენი ქვეყნის მთავრობის აგრესიულ და პროვოკაციულ განცხადებებსა და ამ განცხადებების მიზანზე გვესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

— კიბერშეტევისას გაითიშა სამთავრობო ვებგვერდები, ზოგიერთი ტელევიზიის მაუწყებლობა, შეიქმნა პრობლემა. ხარვეზების გამოსწორებას რამდენიმე დღე დასჭირდა. მინდა, მკითხველს ვუთხრა, რომ მსგავსი რამ ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ვებგვერდზეც და ამის გამო შემდეგ მიმდინარეობს, თუმცა ამ გამოძიებით ასი პროცენტით არ არის დადასტურებული, ვინ და რა მიზნით განახორციელა კიბერშეტევა.

საქართველოზე კიბერშეტევა არ იყო ინფორმაციის მოსაპარავად განხორციელებული, ეს იყო დროებითი ბლოკირება ვებგვერდებისა. ახლა გაირკვა, უფრო ზუსტად, „პარტნიორმა“ ქვეყნებმა — ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა — განაცხადეს, რომ საქართველოზე კიბერშეტევა განხორციელებულა რუსეთიდან, თანაც რუსეთის გენშტაბიდან. **თურმე რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბი ზის და ხულიგნობს — „იმედს“ უთიშავს ეთერს. წარმოუდგენელია ამ ინფორმაციის გულგრილად მოსმენა. რამე აზრი ხომ უნდა ჰქონდეს მსგავს განცხადებას?! რატომ უნდა ჩაიდინოს რუსეთის გენშტაბმა ასეთი რამ?!**

შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიიდან მართლაც განხორციელდა კიბერშეტევა, რაც, ალბათ, გამოიძიეს კიდეც, მაგრამ ასევე შესაძლოა, რომ ეს გააკეთა 15 წლის ბიჭმა სხვა პატარა ნიჭიერ ბიჭებთან ერთად. წარმოუდგენელი და უცნაურია, როგორ და საიდან დაადგინეს ის, რომ კიბერშეტევა რუსეთის გენშტაბმა განახორციელა. **ეს არის მორიგი პროვოკაცია და ემსახურება ერთ მიზანს — დავითგარეჯაში, უფრო ზუსტად, უდაბნოსა და ჩიჩხიტურში, ისევ არ უშვებენ ჩვენს სამღვდელოებას, საერთოდ არავის საქართველოდან და სწორედ ამ თემის გადასაფარავად დაიწყეს ახლა ეს — „აი, რუსეთმა რა ქნა?“ „რუსეთს პასუხი უნდა ვაგებინოთ“ და ა.შ.**

**ანეკდოტური ვითარებაა — ესტონეთის სპეცსამსახური, ე.წ. დაზვერვა ერევა ჩვენს საქმეებში და გაიძახის, რომ რუსეთი საქართველოში ეწევა პროპაგანდას, რომელიც საქართველოსთვის საფრთხის შემცველია და ასეთ რაღაცებს ავრცელებენ გაყიდული ქართული სააგენტოები.** ეს არის ჯაჭვის ერთი რგოლი, მათ შორის, ეს კიბერშეტევაც და მის გარშემო ატეხილი ალიაქოთიც. მათი მიზანია, რუსეთს წაუყენონ ბრალდებები. მუდმივად ხომ უნდა იყოს რაღაც რუსეთის წინააღმდეგ... **ბავრილოვი** აღარ ჩამოვა, წინასწარ ატეხეს ხმაური, ლავროვი ჩამოდისო, მაგრამ ჯერ არავინ იცის, უნდა კი ლავროვს ამ დაბალი დონის ღონისძიებაში მონაწილეობა. მოკლედ, თემები შემოელიათ და, ვფიქრობ, ის, რაზეც საუბრობენ, რუსეთის გენშტაბის დაგეგმილი იყო კიბერშეტევა, პროვოკაცია, არანაირი გენშტაბი ამ საქმეში არ ფიგურირებს და არც შეიძლება ფიგურირებდეს.

**— „ქართული ოცნება“ წინა ხელისუფლებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ რუსეთის მიმართ აგრესიული არ იყო, არ აკეთებდნენ პროვოკაციულ განცხადებებს, არ იყვნენ რადიკალურები, მაგრამ ბოლო პერიოდში რიტორიკა აშკარად შეცვალეს, ისინი პროვოკაციულ განცხადებებს არღარ ერიდებიან რუსეთის ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მიმართ. ამას „ოცნებაში“ ჩანერგილი ადამიანები აკეთებენ ივანიშვილის საზიანოდ თუ მართლა შეიცვალა ხელისუფლებამ პოზიცია და რუსეთის წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკა ამჯობინა?**

— მთავრობის ტონი რუსეთის მისამართით პერიოდულად მძაფრდება, თუმცა ამას კომიკური ხასიათი აქვს, რადგან ასეთი გამძაფრებული ტონი რუსეთისთვის სასაცილოა. შესაბამისად, ეს მძაფრი რიტორიკა რუსებისთვის კი არ არის გამიზნული, არამედ შიგა მოხმარებისთვის.

**— ბატონო გულბაათ, ცოტა შორს გავიხედოთ. რუსეთის პრეზიდენტისა და რუსეთის გენშტაბის ეხლანდელი ლანძღვა ხომ არ ნიშნავს ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის შეურაცხყოფასაც, ამერიკაშიც იყო მსგავსი ეჭვები რუსეთის სპეცსამსახურების მიმართ, მაგრამ ვერაფერი დაამტკიცეს და ტრამპმა რამდენჯერმე თქვა, რომ სურს რუსეთთან და მის ლიდერთან ურთიერთობის მოგვარება... მოკლედ რომ ვთქვათ, ანტირუსული და ანტიტრამპული ლობი ხომ არ მუშაობს?**

— დამიჯერეთ, ესენი არც **პუტინს** ურტყამენ და არც **ტრამპს**, ყველაფერი რასაც ვუსმენთ და ვუყურებთ, შიგა მოხმარებისთვის არის გამიზნული. ხელისუფლებას სურს, ხალხს დაანახვოს, როგორ მედგრად დგანან საქართველოს ინტერესების დასაცავად, რადგან კიბერშეტევა, რაღაც დოზით, არის სუვერენიტეტის ხელყოფა. ვიღაც ვებგვერდებზე რომ შემოგეჭრება, არ არის სასიამოვნო ფაქტი და ესენიც გვაჩვენებენ, აი, რა მაგარი ტიპები ვართ, არ დავუთმობთ რუსეთს არაფერს და ასე და ისე ვუზამთო. ეს არის და ეს...

ივანიშვილს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი, რადგან ის არ არის დაკავებული სახელმწიფო საქმეებით, ივანიშვილი დაკავებულია ინტრიგებით, ვინ ვის წააჩხუბოს, ვინ გადაჰკიდოს ერთმანეთს, ვინ მოიყვანოს, ვინ გაუშვას და ა.შ. **ივანიშვილს არჩეული აქვს სტრატეგია — მიკედლებულია ამერიკელებს, იხდის დიდძალ ფულს, ახლა დაიწყო ლობიზმში ფულის გადახდა და გააჩუმა კიდეც ის კონგრესმენები, რომლებიც ხელისუფლების მუშაობას იწუნებდნენ და შენიშვნებს იძლეოდნენ. სხვათა შორის, თავისი ლოკალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ის სწორად იქცევა, მაგრამ მან არც იცის გეოპოლიტიკა და სტრატეგია, მისთვის ეს ცნებები უცხო ხილია და ამიტომ საქმეს უდგება, როგორც ბიზნესმენი, რომელმაც ვიღაც უნდა მოქრთამოს, რაღაც გაუკეთოს, გაუფუჭოს და ა.შ.** მოკლედ, ივანიშვილის პოლიტიკა საკმაოდ პროვინციული პოლიტიკაა, რომელიც შეიძლება ლოკალურად ეფექტიანი იყოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და თავისი პლუსები ჰქონდეს, მაგრამ საერთო ჯამში ეს ყველაფერი ვირეშმაკობაა.

**შევარდნაძეს** ივანიშვილზე უკეთ ესმოდა გეოპოლიტიკა, მაგრამ ბოლომდე არც ის იყო ჩახედული და სწორედ ამიტომ არც იქით იყო და არც აქეთ, ყველაფერი გააფუჭა, კარიერაც ცუდად დაასრულა და ქვეყანაც დაღუპა.

**— ე.ი. გამორიცხავთ ანტირუსული ლობის როლს ამ აურზაურში?**

— რა პროცესებიც ახლა მიმდინარეობს, როგორი აგრესიითაც გამოირჩევიან ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის წინააღმდეგ, სწორედ ანტირუსული ლობის მიერ არის მიწოდებული, მაგრამ ის, რომ ამით ტრამპი შეურაცხყონ და მისი ადმინისტრაცია განაწყენდეს, წარმოუდგენელია. კიდევ ვიმეორებ: აღნიშნული პროვოკაციული და აგრესიული რიტორიკა რუსეთის მიმართ შიგა მოხმარებისთვისაა და, დიდი ალბათობით, დავითგარეჯის თემის გადასაფარავად.

**«ანეკდოტური ვითარებაა — ესტონეთის სპეცსამსახური, ე.წ. დაზვერვა ერევა ჩვენს საქმეებში და გაიძახის, რომ რუსეთი საქართველოში ეწევა პროპაგანდას, რომელიც საქართველოსთვის საფრთხის შემცველია. ასეთ რაღაცებს ავრცელებენ გაყიდული ქართული სააგენტოები. ეს არის ჯაჭვის ერთი რგოლი, მათ შორის, ეს კიბერშეტევაც და მის გარშემო ატეხილი ალიაქოთიც»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება მუდმივად წნეხშია მოქცეული გავლენიანი დასავლური ინსტიტუტებისგან, როგორიცაა, მაგალითად, ევროპარლამენტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი... საქართველოს მიმართ დღეს, პრაქტიკულად, დაუფარავი კოლონიური დამოკიდებულებაა, რომელიც სავსეა ცინიზმით. წარმოგიდგენიათ, კაცმა 48 მილიონი გაფლანგა და გვეუბნებიან, — არ შეეხოთო?!“**



# ია მეტრეველი: მერაბიშვილი ახლა ისეთ რევოლუციურ ნოტზეა, ორი კი არა, მგონი, 22 გვამიც არ ეყოფა

**20 თებერვალს ციხიდან გამოსულმა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომლის მინისტრობის პერიოდსაც არაერთი გახმაურებული საქმე თუ უმძიმესი დანაშაული უკავშირდება და რომელიც „ორი გვამის“ სანაცვლოდ ძალოვნებს დიდ პრემიებს ჰპირდებოდა, ჟურნალისტებთან გაკეთებულ პირველ კომენტარში ხელისუფლების დამხობა ახსენა და სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, წლის ბოლომდე „ივანიშვილის რეჟიმი აუცილებლად დაემხობა“ და ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანაში განვითარება დაიწყოს. რაც შეეხება პოლიტიკურ გეგმებს, მერაბიშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება, კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე განცხადებებსაც გააკეთებს: „მახარებს, რომ მთელი ოპოზიცია არის ერთიანი და ამ ერთიანობით ჩვენ დავამარცხებთ არსებულ რეჟიმს... მჭირდება გარკვეული დრო. როდესაც მე ჩამოვყალიბდები, ამის შესახებ გაიგებთ. ყველას გაძლევთ გარანტიას, რომ გავიმარჯვებთ. ქვეყანა წავა წინ...“**

შეგახსენებთ, რომ მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში ქვეყანაში ათეულობით გახმაურებული საქმის გამოძიებას სააკაშვილის რეჟიმი წლების განმავლობაში მიზანმიმართულად აფერხებდა. მათ შორის იყო მძიმე დანაშაულებიც, რომლებიც უშუალოდ მერაბიშვილის სახელს უკავშირდებოდა. კერძოდ, **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძისა** და **გია კრიალაშვილის** მკვლელობები, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მშვიდობიანი დემონსტრაციების სისხლიანი დარბევები, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრა... თუმცა, მიუხედავად ამ უმძიმესი დანაშაულებისა, რომელთა მტკიცებულებებიც უამრავია, მათი უმეტესობა დღემდე გამოუძიებელია. მეტიც, ზოგიერთ მათგანზე პროკურატურას ხელახლა გამოძიება და საქმის არსებითად შესწავლა, რაც „ოცნების“ მიერ ჯერ კიდევ 2012 წელს დაპირებული სამართლიანობის აღდგენის კვალდაკვალ უნდა მომხდარიყო, არც უცდია...

**რას ნიშნავდა მერაბიშვილის მიერ ციხიდან გამოსვლისთანავე დადებული პირობა, რომ ხელისუფლება წლის ბოლომდე აუცილებლად დაემხობა და არის თუ არა ეს განცხადება ქვეყანაში სამართლიანობისა თუ კანონის უზენაესობის არარსებობის კიდევ ერთი ნიშანი, „საქართველო და მსოფლიოს“ 2004 წლის 24 ნოემბერს სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი ესაუბრება.**

**— ქალბატონო ია, ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებამ და მის მიერ ხელისუფლების დამხობაზე გაკეთებულმა ხმაურიანმა განცხადებამ საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა. 20 თებერვალს თქვენ მწვავე პროტესტითა და ტრანსპარანტებით დახვდით მას. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა მერაბიშვილის განცხადება და, საერთოდ, რას ნიშნავს დღეს ჩვენი პოლიტიკური რეალობისთვის უმძიმეს დანაშაულებში მხილებული მერაბიშვილის ციხიდან გამოშვება?**

— სიმართლე გითხრათ, რატომღაც მეგონა, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში მერაბიშვილი ცოტა მაინც დაფიქრდებოდა და შვიდი წლის შემდეგ თუნდაც ფორმალურად შეიცვლებოდა, მაგრამ მისმა პირველივე განცხადებამ საბოლოოდ დამარწმუნა ერთ რამეში: **როგორც ჩვეულებრივ მკვლელსა და კრიმინალს არ ცვლის არანაირი სამართლებრივი დევნა და ყოველი სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ ციხეში ბრუნდება ხშირად კიდევ უფრო მძიმე დანაშაულისთვის, ისე არც მერაბიშვილისნაირი ადამიანების გამოსწორება არ იქნება. ცნობილი „ნაციონალური“ პროპაგანდა, რომ თურმე ნაციონალები შეიცვალნენ და ახლა საშიში აღარ არიან, როგორც ადრე, იმიტომ, რომ რაღაც-რაღაცები გადააფასეს, ამ შემთხვევაში აბსოლუტურად გაშიშვლებულია.** მეტიც, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს განცხადება, ასეთი აგრესიული და კატეგორიული რიტორიკით, გათვლილი იყო საზოგადოებაში სტრესის გამოწვევაზე...

**— რისთვის?**

— იმისთვის, რომ არავის ეგონოს, „ნაცმოძრაობა“ დასრულდა. სხვათა შორის, შემთხვევითი არ იყო, რომ მერაბიშვილმა გამოსვლისთანავე პირდაპირ ციხის კარიდან მიმართა პოლიციელებს. **ეს არის სასტიკი, დაბოღმილი, შურისძიებით გაჟღენთილი ადამიანის რიტორიკა, რომელიც, პრაქტიკულად, პირდაპირ ამბობს, რომ არ დამარცხებულან, ძალიან მალე დაბრუნდებიან ხელისუფლების სათავეში არსებული ხელისუფლების დამხობის გზით და „მერე განახვებთო“, — გვემუქრებიან...** ვფიქრობ, ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა იმ გულსაკლავ რეალობას, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ამდენი წლის ბრძოლის შემდეგ, ამდენი მსხვერპლისა და სისხლის შემდეგ **სამართლიანობის აღდგენისგან ჯერ კიდევ შორს ვართ.** მეტი, ხელისუფლება საზოგადოების ინტერესების საზიანოდ ქვეყანაში არსებული მტრული ძალების მიერ თავს მოხვეული რაღაც პოლიტიკური დღის წესრიგის მძევალია. ისე, **არ მგონია, რომ მერაბიშვილის განცხადება იყო ერთმნიშვნელოვნად ცუდი. პირიქით — გარკვეული თვალსაზრისით, ეს შეიძლება კარგიცაა, რადგან „ნაცმოძრაობას“, მის განაყოფებსა და შენაერთებთან ერთად, კიდევ ერთხელ ჩამოეხსნა ნიღაბი.** სხვათა შორის, ახლა ამ ვითომ ოპოზიციურ სპექტრშიც მოხდება ლუსტრაცია და გაშიშვლება პროცესისა. მხედველობაში მაქვს ის, რომ **მერაბიშვილის მისვლა მათთან და მათი მხრიდან მისი პოლიტპატიმრად „მონათვლა“ საბოლოოდ ფარდას ახდის ამ სამარცხვინო ვითომ პოლიტიკურ გაერთიანებას.** კიდევ ვიმეორებ: რაღაც თვალსაზრისით, ეს კარგია და ამას მალე დავინახავთ, რადგან ბევრ ადამიანს აეხილება თვალი; მერწმუნეთ, ახლა ორასი და სამასი კაცი ძლივს რომ გამოჰყავს საპროტესტოდ 22 პარტიას, ხვალზეგ ორმოცდაათს ვერ გამოიყვანენ. არავინ დადგება მკვლელის გვერდით, თუნდაც ყველაზე გამწარებული და ხელისუფლებაზე აღრენილი მოქალაქეც კი, მკვლელის, რომელიც იძახდა, — ორი გვამი მჭირდებაო. თუმცა მერაბიშვილი ახლა ისეთ რევოლუციურ ნოტზეა, ორი კი არა, მგონი, 22 გვამიც არ ეყოფა.

**«სასაცილოა, როდესაც ბურჯანაძე და სხვა პოლიტიკოსები ამბობენ: მერაბიშვილთან ერთად არ დავჯდებითო. უბრალოდ, მაინტერესებს, რით განსხვავდება ვანო მერაბიშვილი გიგა ბოკერიასგან?! ან უგულავას დაკავებაზე რომ შემოიხიეს კალთები და ლამის პოლიტპატიმრად გამოაცხადონ, რა ჰგონიათ, მერაბიშვილზე ნაკლები დანაშაულები აქვს ჩადენილი?»**

**— ოპოზიციის ლუსტრაცია ახსენეთ. ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციიდან ბევრი გაემიჯნა მერაბიშვილს და განაცხადა, რომ დამნაშავესთან თანამშრომლობას გამორიცხავს. როგორ ფიქრობთ, ეს არ იქნება ხელისშემშლელი მერაბიშვილისთვის?**

— მერაბიშვილისთვის ყველაზე მეტად ხელის შემშლელი მისი სისხლიანი წარსულია. რაც შეეხება ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, სასაცილოა, როდესაც **ბურჯანაძე** და სხვა პოლიტიკოსები ამბობენ, მერაბიშვილთან ერთად არ დავჯდებითო. უბრალოდ, მაინტერესებს, **რით განსხვავდება ვანო მერაბიშვილი გიგა ბოკერიასგან?! ან უგულავას დაკავებაზე რომ შემოიხიეს კალთები და ლამის პოლიტპატიმრად გამოაცხადონ, რა ჰგონიათ, მერაბიშვილზე ნაკლები დანაშაულები აქვს ჩადენილი?** ვფიქრობ, სამუდამოდ დაიმარცხეს თავი, ბურჯანაძით დაწყებული, დამთავრებული სხვა დანარჩენით, ვინც ახლა დადგა ნაცებთან. ამას ნიშნისმოგებით არ ვამბობ და, საერთოდ, ჩემთვის ძალიან მტკივნეულია ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ამ ხალხის ერთად ხილვას. ამიტომაც ვაპატიე თავის დროზე ბევრი რამ ბურჯანაძეს, როცა ის ოპოზიციაში გადმოვიდა და ჩემთან ბოდიშებით მოვიდა.

**— რამ აიძულა ეს ადამიანები, რომ „ნაცმოძრაობასთან“ ითანამშრომლონ?**

— ჩემი აზრით, ყველაფერი ძალიან მარტივია: უბრალოდ, ისინი ცალ-ცალკე უპერსპექტივოები არიან და ერთიანობის შემთხვევაში რაღაც პოლიტიკურ მომავალს ხედავენ. თუმცა, ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება უკვე საკმაოდ გამობრძმედილია და ბევრ რამეზე იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული. რაც შეეხება სამართლიანობას, ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: სანახევროდ აღდგენილი სამართლიანობის არავის სჯერა.

**— რას გულისხმობთ?**

— როდესაც სჩადიან დანაშაულს და არსებობს დამნაშავე, რომლის წინააღმდეგაც უამრავი მტკიცებულებაა, პირველი — გამოძიება დროულად უნდა ჩატარდეს, მეორე — სასჯელი დანაშაულის შესაბამისი უნდა იყოს და მესამე, რომელიც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესია — ზარალი, რომელიც დამნაშავემ განაცდევინა კონკრეტულ მოქალაქესა თუ სახელმწიფოს, უნდა ანაზღაურდეს. **უგულავას შემთხვევაში არც ერთი არ მომხდარა — არც გამოძიება იყო დროული, არც სასჯელი ადეკვატური. რაც შეეხება ზარალს, კაცმა 48 მილიონი მოჰპარა სახელმწიფოს, სად არის ეს ფული?**

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მას დააბრუნებინონ მითვისებული თანხა?**

— ნებისმიერ ნორმალურ, სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ხდება ქონების კონფისკაცია და სახელმწიფო ბიუჯეტში უკლებლივ ბრუნდება მითვისებული თანხა. არავის უხარია ვინმეს დასჯა, მაგრამ **სასჯელი იმისთვისაა საჭირო, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა დამკვიდრდეს. აი, ეს რომ არ არის დღეს საქართველოში და ხელისუფლება თავიდანვე ლოიალური იყო „ნაცმოძრაობის“ მიმართ, ამიტომაა დღეს თუნდაც მერაბიშვილი ასე რევოლუციურად დაქოქილი.** თუმცა, არ მიკვირს ეს ყველაფერი. არ მიკვირს ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთელი სასამართლო სისტემა, სხვა სახელისუფლო შტოებზე რომ არაფერი ვთქვათ, გაჭედილია ნაცმოძრაობისდროინდელი პოლიტიკურად მოტივირებული კადრებით; და მეორე — ხელისუფლება მუდმივად წნეხშია მოქცეული...

**— ვისგან?**

— გავლენიანი დასავლური ინსტიტუტებისგან, როგორიცაა, მაგალითად, ევროპარლამენტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი... **საქართველოს მიმართ დღეს, პრაქტიკულად, დაუფარავი კოლონიური დამოკიდებულებაა, რომელიც სავსეა ცინიზმით. წარმოგიდგენიათ, კაცმა 48 მილიონი გაფლანგა და გვეუბნებიან, არ შეეხოთო?!**

რაც შეეხება ხელისუფლებას, საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება, არანაირი პოლიტიკური პიარი და მილიონების დახარჯვა არ არის გამოსავალი, ხალხს, უწინარესად, სამართალი სჭირდება. სანამ ნაცები და მათი განაყოფები აღიზიანებენ საზოგადოებას და მერაბიშვილისნაირი სისხლიანი კრიმინალები გადატრიალების მუქარით ზაფრავენ, ვერანაირი ოპტიმიზმი აქ ვერ იქნება. პირიქით, ხალხს ყოველთვის ექნება განცდა, რომ თამაშგარე მდგომარეობაშია და არანაირ პოლიტიკურ აქტივობას აზრი არ აქვს. ახლა ეს ვის აძლევს ხელს და ვის არა, მკითხაობას ვერ დავიწყებ და არც შეთქმულების თეორიების მჯერა, მაგრამ ხალხი, განსაკუთრებით წინა რეჟიმის მიერ დაზარალებული ოჯახები, გულგატეხილი რომ არის, ფაქტია. ასე სამართლებრივი სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება. ასე ყოველთვის გვექნება უგულავების, მერაბიშვილების, ბოკერიებისა და სისხლში ამოსვრილი სხვა ნაციონალების საპარპაშო ქვეყანა, რომელშიც უსამართლობისა და განუკითხაობის განცდა თითოეული მოქალაქის დონეზე ჩვეულებრივ, ყოვლდღიურ მოვლენად იქცევა...

**„ნებისმიერ ნორმალურ, სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ხდება ქონების კონფისკაცია და სახელმწიფო ბიუჯეტში უკლებლივ ბრუნდება მითვისებული თანხა. არავის უხარია ვინმეს დასჯა, მაგრამ სასჯელი იმისთვისაა საჭირო, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა დამკვიდრდეს. აი, ეს რომ არ არის დღეს საქართველოში და ხელისუფლება თავიდანვე ლოიალური იყო „ნაცმოძრაობის“ მიმართ, ამიტომაა დღეს თუნდაც მერაბიშვილი ასე რევოლუციურად დაქოქილი“**

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

**გარეჯის სადავო ტერიტორიაზე ხმას არ იღებენ დასავლელი პარტნიორები. მიზეზი მარტივია: აზერბაიჯანი არ არის რუსეთი. აზერბაიჯანს არ ებრძვიან არც ევროპა და არც ამერიკა. აზერბაიჯანში დემოკრატია ყვავის თურმე და ალიევიც ყველაზე დემოკრატიული მმართველია, ამიტომ დასავლეთი ხელისუფლებას ეუბნება: ეს პრობლემა თავად მოაგვარეო. ხელისუფლებას კი საამისოდ არც სურვილი აქვს, არც რესურსი და არც ერთი ადგილი.**

მიჩუმათებული თემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველას ახსოვს, ალბათ, როგორი „მძაფრი“ რეაქცია ჰქონდათ მმართველი გუნდის ლიდერებს, როცა მაჟორიტარი დეპუტატების ნაწილმა პროპორციული არჩევნების კანონპროექტი ჩააგდო. ხელისუფლებამ ბევრი „იომა“, მაგრამ პარლამენტში კანონი ვერ გაიტანა და ეს მაშინ, როცა ნებისმიერი რამ, სურვილის შემთხვევაში, სიმღერ-სიმღერით გაჰქონდა. სხვა საკითხია, არის თუ არა ქვეყანა მზად მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად და კარგი იქნებოდა თუ არა ეს ყველაფერი ქვეყნისთვის. მაგრამ ფაქტია, კანონი ჩავარდა და ნურც იმას გაიკვირვებთ, თუ მომდევნო მოწვევის პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილება დადგება დღის წესრიგში და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებიც, ნაცვლად მთლიანად პროპორციულისა, როგორც ახლა კონსტიტუციაში წერია, ისევ შერეული სისტემით ჩატარდება.**

# დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ტყვიის გასროლის გარეშე წაგვგლიჯეს



**ხელისუფლება არის იმის იმედად, რომ თურქეთი კეთილი მეზობელია და ხელშეკრულების პირობებს დაიცავს. ის აღარ ახსოვს არავის, რომ სწორედ ეს კეთილი მეზობელი აპირებდა საქართველოს ჩაყლაპვას და მაშინ, საუკუნის წინათ, სწორედ რუსეთის შიშით გაჩერდა. ის, რომ თურმე ყარსის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი 2021 წელზე, არ ნიშნავს, რომ თურქეთი მის დარღვევას არ შეეცდება, რადგან ამის შესახებ მინიშნება თურქეთის ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა არაერთხელ გააკეთეს. გასაგებად თქვეს, რომ 2021 წელს ეს ხელშეკრულება უნდა გადაიხედოს და, არაოფიციალურად ხომ ნაყიდი აქვთ ნახევარი აჭარა, ახლა შეეცდებიან, ეს ყველაფერი ოფიციალურად გაიფორმონ**



მოკლედ, გაუბრაზდა მმართველი გუნდის კოჰორტა აჯანყებულ დეპუტატებს, თითი დაუქნია, მაგიდაზე მუშტებიც უბრახუნა, ისიც ითქვა: ერთმანეთზე ფიზიკურად გაიწიესო და... აჟიოტაჟის დასრულების შემდეგ გუნდიდან დემარშით წასული დეპუტატების თანამდებობები სწორედ ამ აჯანყებულებმა ჩაიბარეს. მათ მოირგეს კომიტეტების თავმჯდომარეების პოსტები, მოადგილეებიც თვითონ არიან და ცხოვრობენ ბედნიერად. უფრო საინტერესო იყო ის, რომ სწორედ ამ მიზეზით დეპუტატმა **სოფიო ქაცარავამ** დეპუტატის მანდატი დატოვა და მმართველ გუნდს გაებუტა, — აქაოდა, ეს როგორ იკადრეთ, თქვენთან აღარ მინდაო. ჰოდა, **ქალბატონი სოფიო, უფრო ზუსტად, გაბუტული ქალბატონი სოფიო გასულ კვირას დიდ ბრიტანეთში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა. ვინც არ იცის, რას ნიშნავს დიდ ბრიტანეთში ელჩობა, ვეტყვით, რომ ეს არის რამდენიმე ათასლარიანი ხელფასი, მშვიდი ცხოვრება, დალაგებულ ქვეყანაში მოღვაწეობა და უზრუნველი მომავალი შვილებისთვის. ჰო, ელჩს უფლება აქვს, ოჯახის წევრები თან ჰყავდეს და დიპლომატიური სიკეთეებით ისინიც ისარგებლებენ.**

ეგ კიდევ არაფერი. ძმის გამო სკანდალში გახვეული **ლევან იზორია** „უსასტიკესად“ დასაჯეს: თანამდებობიდან ხომ გაათავისუფლეს, მერე მთელი ორი კვირა უმუშევარი ამყოფეს და ახლა გერმანიაში სრულუფლებიან ელჩად დანიშნეს. აი ასე „სჯის“ ხელისუფლება ურჩებს, მათ, ვისი ოჯახის წევრებიც დადასტურებულად სჩადიან „ბესპრედელს“. ჰო, სანამ ოპოზიცია წამოყოფს თავს და აგვყვება, შევახსენებთ, რომ **სალომე სამადაშვილი ავსტრიის ელჩი იყო ნაციონალების მმართველობის პერიოდში. მისმა შვილმა ვენაში კაცი დაჭრა, მაგრამ დიპლომატიური პასპორტით საქართველოში გამოაპარა. ეს ისე, ცნობისთვის და კიდევ იმისთვის, რომ წინა ხელისუფლების დროსაც არანაკლებ „სასჯელს“ იღებდნენ ელჩები და მათი ოჯახის წევრები.**

როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, როცა მმართველი გუნდის ქვედა რგოლს ეუბნები (ზედამდე ვინ გვიშვებს?!): ამას რატომ აკეთებთ, ეს არ შეიძლებაო, იცით რას გვიპასუხებენ? ჩვენც ვიცით, რომ არ შეიძლება, ბიძინამ არ იცის ეს ამბები. აი, მაგის ყურამდე რომ მივიდეს, მერე ნახეთ, რა მოხდებაო. ჯერ ერთი, თუ ბიძინამ არ იცის, ბოლომდე დაქცეულები ვყოფილვართ და მეორე — თუ არ იცის, შენ რომ მმართველი გუნდის წევრი გქვია და უმრავლესობის სხდომებზე წინა რიგში დაჯდომას ჩალიჩობ, წამოდექი ერთ სხდომაზე და უთხარი ივანიშვილს: ასე და ასე ხდება, ბატონო ბიძინა, და იცოდეო. მაგრამ არა, ამას არავინ გააკეთებს და იცით, რატომ? ყველამ ყველაფერი კარგად იცის და ვერსია, რომ ივანიშვილი თურმე საქმის კურსში არ არის, მოსახლეობისთვის მორიგი სატყუარაა — ამომრჩეველთა ნაწილმა უნდა დაიჯეროს, რაღაცები რომ ფუჭდება, ივანიშვილმა არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, არ გაფუჭდებოდაო. ეს არის ყველაზე დიდი ტყუილი, რომლის გასაღებასაც ცდილობენ, და სხვათა შორის, არცთუ ცუდად გამოსდით. ახლა არანაკლებ საინტერესო ამბავზე გადავიდეთ.

გაისად ყარსის ხელშეკრულების ვადა იწურება. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც მოქმედების ვადა მომავალი წლის ოქტომბერში გასდის. ჯერ ამ ხელშეკრულების მცირე დეტალებს გაგაცნობთ:

ყარსის შეთანხმება სამშვიდობო ხელშეკრულებაა, ერთი მხრივ, თურქეთსა და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს — საქართველოს სსრ-ს, სომხეთის სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს — შორის. ხელშეკრულება დაიდო რსფსრ-ის მონაწილეობით და ხელი მოეწერა ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს, ხოლო რატიფიცირებულ იქნა 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში. აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოს სსრ-ს ბათუმის ოლქიდან დარჩა მხოლოდ ქალაქი ბათუმი და აჭარა, თურქეთმა მიიღო ართვინის ოკრუგი და არტაანის ოკრუგი. სომხეთის სსრ-ს თურქეთმა დაუბრუნა ქალაქი გიუმრი და დაიტოვა ყარსი. ყარსის ხელშეკრულება იმეორებდა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირობებს, რომლითაც საბჭოთა რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ კავკასიაში ტერიტორიების განაწილების თაობაზე. საქართველომ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს, აღიარა ყარსის ხელშეკრულება.

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ყარსის ხელშეკრულების ირგვლივ არსებობს რამდენიმე მითი. ერთ-ერთი მითის თანახმად, ყარსის ხელშეკრულებას ვადა 2021 წელს ეწურება, რომლის შემდეგაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმება სადავო ხდება. ხელშეკრულებაში არ არის არავითარი ჩანაწერი, რომელიც 2021 წელს მისი ვადის გასვლის სამართლებრივ საფუძველს ქმნის, ამასთანავე, 1993 წლის 25 მარტის ხელშეკრულებაში საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ აღნიშნულია, რომ მხარეები **„დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით“.**

ხელისუფლება არის იმის იმედად, რომ თურქეთი კეთილი მეზობელია და ხელშეკრულების პირობებს დაიცავს. ის აღარ ახსოვს არავის, რომ სწორედ ეს კეთილი მეზობელი აპირებდა საქართველოს ჩაყლაპვას და მაშინ, საუკუნის წინათ, სწორედ რუსეთის შიშით გაჩერდა. ის, რომ თურმე ყარსის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი 2021 წელზე, არ ნიშნავს, რომ თურქეთი მის დარღვევას არ შეეცდება, რადგან ამის შესახებ მინიშნება თურქეთის ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა არაერთხელ გააკეთეს. გასაგებად თქვეს, რომ 2021 წელს ეს ხელშეკრულება უნდა გადაიხედოს და არაოფიციალურად ხომ ნაყიდი აქვთ ნახევარი აჭარა, ახლა შეეცდებიან, ეს ყველაფერი ოფიციალურად გაიფორმონ.

ახლა გამოხტება ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი და იტყვის, რომ ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ და ამას ვერ გაგვიბედავენო. ბატონებო, აგერ, ყურის ძირში, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ტყვიის გასროლის გარეშე „აგვახიეს“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. „აგვახიეს“ ნიშნავს იმას, რომ ამ საკითხის შემსწავლელი კომისია მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და დაადგინა ის, რომ ვერაფერი დაადგინა. რაც შეეხება გარეჯში დღეს არსებულ მდგომარეობას, აზერბაიჯანელებმა საქართველოს ტერიტორიაზე დარგეს მწვანე ნარგავები, სალოცავებსა და კელიებში რემონტს აპირებენ, მიჰყავთ ტურისტული ჯგუფები და მათ ქართულ სალოცავებს, როგორც აზერბაიჯანის კუთვნილებას, ისე აცნობენ. ამასთანავე, **საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ რესურსის არქონის გამო 80-კილომეტრიან საზღვარს საქართველოს მხრიდან აკონტროლებს 8 მესაზღვრე (ანუ ერთი მესაზღვრე 10 კილომეტრზე), ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან 400 კბილებამდე შეიარაღებული მესაზღვრე დგას. აზერბაიჯანისთვის საზღვარი უფრო მნიშვნელოვანი გამოდის და ეს არის ფაქტი.**

ვინმეს თუ ეჭვი ეპარება, რომ თურქეთი აჭარის თემას აუცილებლად წამოწევს, სულ ცოტა, გულუბრყვილოა. ხელისუფლება სირაქლემის პოზაშია და ნებისმიერს, ვინც გარეჯში მიდის და აპროტესტებს, მოუწოდებს, პროვოკაციას არ აჰყვეს. რა პროვოკაციას, ბატონებო, საზღვარი გადმოწიეს, სალოცავები წაგვართვეს, როგორც საკუთარ მიწაზე, ისე იქცევიან, ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ და ჩვენ იმ კომისიის იმედად ვართ, რომელიც შეიძლება არც არასდროს შეიკრიბოს. საინტერესოა, რომ **გარეჯის სადავო ტერიტორიაზე ხმას არ იღებენ დასავლელი პარტნიორები. მიზეზი მარტივია: აზერბაიჯანი არ არის რუსეთი. აზერბაიჯანს არ ებრძვის არც ევროპა და არც ამერიკა. აზერბაიჯანში დემოკრატია ყვავის თურმე და ალიევიც ყველაზე დემოკრატიული მმართველია, ამიტომ დასავლეთი ხელისუფლებას ეუბნება: ეს პრობლემა თავად მოაგვარეო. ხელისუფლებას კი საამისოდ არც სურვილი აქვს, არც რესურსი და არც ერთი ადგილი.**

იმავე პრობლემის წინაშე აუცილებლად დავდგებით გაისად და დავდგებით ისე, რომ თურქეთისთვის რუსული ფაქტორი შემაკავებელი აღარ იქნება. მერე ახალციხის მხარეს დავდგებით იმავე პრობლემის წინაშე და ასე, ნელ-ნელა საქართველოდ მხოლოდ თბილისი შეგვრჩება. სამაგიეროდ, გვეცოდინება, რომ სტრატეგიული პარტნიორები ჩვენ გვერდით არიან და მეზობლებთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული.

**ბესო ბარბაქაძე**

გამყალბებლები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნაბიჯ-ნაბიჯ იკვალავდნენ გზას ხელისუფლების სრული უზურპაციისკენ „ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის დროს ხელმძღვანელ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობდნენ, პარაზიტი მავნებლები, დედამცენარეში დაბუდებულები, სახელმწიფოს სასიცოცხლო ენერგიას რომ სწოვდნენ და გადატრიალებისთვის ემზადებოდნენ.

სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იმაზე მეტი (და დიდი) დანაშაულის ჩადენა, რომელზეც დღეს დიდი და პატარა ხმამაღლა ლაპარაკობს, თითქოს წარმოუდგენელია, არადა, ჩადენილი აქვს.
მაგრამ მაშინ „ნაცმოძრაობა“ არ ერქვა: „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველ გუნდში ჩათესლილი, სოროსის მილიონებით განაყოფიერებული „ახალგაზრდა დემოკრატები“ ჩადიოდნენ ისეთ უკანონობას, რომელიც ჩვენმა საზოგადოებრიობამ არ იცის.
ან წარმოუდგენლად მიაჩნია.
ან დაავიწყდა (?!).

# ჟვანია–სააკაშვილის გუნდის ქვებუდანობა

## გამჟღავნდა ყველაზე დიდი დარტყმა, რომელიც «ახალგაზრდა რეფორმატორებმა» საქართველოს სახელმწიფოებრიობას მიაყენეს

### მან იცოდა, რასაც ამბობდა

კანონებს აყალბებდნენ(!), პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს. სამივე მოსმენით. უმრავლესობით მხარდაჭერილს.

ქუჩაში გაგონილს არ გიმეორებთ, არც შეთქმულების თეორიებით გატაცებული კაცის მონათხრობს გადმოგცემთ.

ეს პიროვნება საქართველოში (და არა მხოლოდ ჩვენთან) მიღებული და აღიარებული სამართალმცოდნე, სახელმწიფო მოღვაწე და იუსტიციის საერთაშორისო სტრუქტურებში წლების განმავლობაში საქმიანობით ავტორიტეტად აღიარებული იურისტია.

გვარ-სახელს ვერ დაგისახელებთ, რადგან იგი დღესაც დაკავშირებულია ზემოთ მინიშნებულ ორგანიზაციებთან (ოფიციალური სტატუსით), რომელთა წესდებებითაც აკრძალული აქვს აზრის გამოთქმა კონკრეტულ საკითხზე, რომელთა შესწავლა მათ მიერ არ აქვს დავალებული (არ არის მიწვეული).

ავტორიტეტებს იქ იოლად არ აუფასურებენ, უფრთხილდებიან, იცავენ.

ეს ის დროა, როცა **მიშა სააკაშვილი** საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარედ არის დამტკიცებული და ქალწული ჟურნალისტები, როგორც ამომავალ ვარსკვლავს, „მტრედის გუნდივით“ დასდევენ:

— მიშა, მიშა, მიშა!

ისიც აკვალიანებს, უპასუხებს ამ ყვავილნარის კოკრების „შეკითხვებს შეკითხვებისთვის“.

პარლამენტის თავმჯდომარე **ზურაბ ჟვანიაა.**

ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველი წყარო გვიყვება:

**— ახლა ეს ბიჭები (დაკაცებულები), საზოგადოებას თავს რომ აწონებენ, ნახეთ, როგორი კანონგამგონენი ვართო, თავის დროზე აქვეყნებდნენ გაყალბებულ კანონებს: დებულებებს, მუხლებს საკუთარი რედაქციით ჩაასწორებდნენ, გადააკეთ-გადმოაკეთებდნენ, სულაც ახალ პუნქტებს ჩაურთავდნენ, რომლებზეც პარლამენტის სხდომაზე ლაპარაკი არ ჰქონიათ.**

საშინელებაა! სამარცხვინო საქმეა! დანაშაულია და არა შეცდომა ან გადაცდომა, როგორც თვითონ დღეს აკვალიფიცირებენ ამ და, საერთოდ, იმ უბედურებას, რომელიც ქვეყანას, ხალხს, დემოკრატიას დამართეს.

ტექნიკურად ამის გაკეთება ძნელი არ იყო. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ძალაში გამოქვეყნების შემდეგ შედიოდა. ის ლუფტი, რომელიც მიღებიდან გამოქვეყნებამდე ჩნდებოდა, დროით განსაზღვრული არ იყო. ისინიც მაშინ გამოაქვეყნებდნენ, როცა თავიანთი „ჩასწორებების“ შეტანას დაამთავრებდნენ.

მაინცდამაინც დიდხანს არ უნდებოდნენ, რადგან ჰყავდათ ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ხელგანაფული შემსრულებლების სამკაციანი ჯგუფი: **ნიკა გვარამია, გიგა ბოკერია** და ერთი ქალი, რომლის გვარი არ მახსოვს. ეს ჯგუფი საკმაოდ გასაიდუმლოებულად მოქმედებდა.

ხელმძღვანელობდა მიშა, რომელიც არაფერს დაგიდევდათ. ჟვანია, პარლამენტის თავმჯდომარე, ვერ აკონტროლებდა... ისიც კარგი ქვებუდანი იყო.

**ედუარდ შევარდნაძისთვისაც უთქვამს ეს ყველაფერი. არ დაუჯერებია ქვეყნის მეთაურს — წარმოუდგენელია ასეთი სიყალბის კეთებაო. მაგრამ ერთხელ, როცა სტრასბურგში ჩასული საპარლამენტო დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა უთხრა, თუ როგორ გააყალბეს დოკუმენტი, რომელიც ევროპის საბჭოში საქართველოს მეგობარ ჯგუფთან ურთიერთობის საკითხებს ეხებოდა, დაეჭვდა და სერიოზულად შეშფოთდა.**

— შეიძლება ამის დაჯერება? — უკითხავს ჩვენი ინკოგნიტო წყაროსთვის, — მე ვუპასუხე, რომ მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი... მაგრამ ვინ იყო გამკითხავი?

**ვუთხარი, რომ ესენი ისეთი ბანდიტები არიან და ისეთ დანაშაულს ჩადიან, რომელსაც ევროპელები ვერც წარმოიდგენენ. ახლაც ასეა, რადგან სწორედ ასეთია მათი ცხოვრების წესი, გენაცვალე. ამ წესით ცხოვრობენ.**

**დასასრულ, თქვა ის, რისი წარმოდგენაც კი ძნელია, არათუ დაჯერება: საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის მიხეილ სააკაშვილის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 500-მდე კანონი გადაკეთებულ-გაყალბებულია!**

ამ დანაშაულის ჩამდენი ყოფილი კმარელები, ყოფილი „ახალგაზრდა რეფორმატორები“, ყოფილი სახელისუფლო ელიტის წარმომადგენლები (ზოგიერთი ამჟამადაც ხელისუფლებაშია) დღეს მოქმედი ხელისუფლების დამხობით გვემუქრებიან და ქვეყნის მმართველებად დაბრუნებას გვიანონსებენ, გვაშანტაჟებენ, ანუ, როგორც დღევანდელ პოლიტიკურ ჟარგონშია დამკვიდრებული, გვაბულინგებენ.

გაყალბებამ მშობლიური სამართლის საზღვრები გაარღვია და საერთაშორისო სარბიელზე გავიდა.

იდგა 1998 წელი.



**«ჰყავდათ ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ხელგანაფული შემსრულებლების სამკაციანი ჯგუფი: ნიკა გვარამია, გიგა ბოკერია და ერთი ქალი, რომლის გვარი არ მახსოვს. ეს ჯგუფი საკმაოდ გასაიდუმლოებულად მოქმედებდა»**





ხელისბიჭები

**გიორგი (გია) კობახიძე** მაშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და, ამასთანავე, ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივმოქმედ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ოთხი წლის განმავლობაში. ევროპის ინსტიტუტებთან საქართველოს დაკავშირებასა და ურთიერთობას სწორედ ამ დელეგაციამ ჩაუყარა საფუძველი. გია კობახიძე მაშინ ოპოზიციაში იყო. შევარდნაძისა და ჟვანიას მოლაპარაკებით გადაწყდა, რომ მაინცდამაინც მას უნდა ეხელმძღვანელა ამ დელეგაციისთვის, რომელიც ინტერპარტიული პრინციპით იყო დაკომპლექტებული. „მოქალაქეთა კავშირიდან“ იყვნენ აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე** (ხელმძღვანელის მოადგილე), **ნინო ბურჯანაძე, დავით ონოფრიშვილი, კახა ჩიტაია.**

ამასთანავე, პარლამენტის ყველა ფრაქციას ჰქონდა თავისი წევრის ჩანაცვლების უფლება საჭიროების შემთხვევაში.

მოხდა ისე, რომ „მოქალაქეთა კავშირმა“ ბურჯანაძე სააკაშვილით ჩაანაცვლა დელეგაციის ბრიუსელში ვიზიტის წინ, როცა ჩვენი და ევროპარლამენტის დეპუტატების დასკვნითი შეხვედრა უნდა გამართულიყო. ასეთი შეხვედრები მონაცვლეობით ეწყობოდა ხან თბილისში, ხან ბრიუსელში, ხან სტრასბურგში.

ევროპარლამენტართა დელეგაციას ოთხი წლის განმავლობაში ჯერ ხელმძღვანელობდა ბერძენი **თრაქათელისი**, შემდეგ **ალესანდროს ალავანოსი,** ისიც ბერძენი გახლდათ.

**ის არნახული და არგაგონილი კონფუზი (ჯერ ასე დავარქვათ იმ სენსაციურ შემთხვევას, რომელიც პარლამენტებს შორის ურთიერთობაში უპრეცედენტო იყო) სწორედ ალესანდროს ალავანოსის დროს მოხდა.**

### ევროპარლამენტის დერეფნებში მფრინავი მიშა

ამჯერად საქართველოს წარმომადგენლები ბრიუსელში ჩავიდნენ.

ჩვენი მკითხველისთვის ყველაფერი გასაგები რომ იყოს, დელეგაციების მუშაობის წესიც უნდა განვმარტოთ.

ერთობლივი განცხადების პროექტზე მუშაობას დელეგაციები დისტანციურად, ანუ დამოუკიდებლად იწყებდნენ — შეჰქონდათ თავ-თავიანთი შესწორებები, დამატებები და ა.შ. ვიზიტის წინ ერთმანეთს გააცნობდნენ ამ თითქმის საბოლოო ვარიანტებს და შემაჯამებელ სხდომაზე უკვე შეათანხმებდნენ კონდიციამდე მიყვანილი დოკუმენტის ტექსტს. ვიზიტისას ერთხელ კიდევ გადახედავდნენ და ორივე მხარის თანხმობით, ასე ვთქვათ, ბეჭედს დაუსვამდნენ.

იმ შემთხვევაშიც ჩასწორებულ-დამატებებიანი და წინასწარ შეთანხმებული დოკუმენტით საქართველოს პარლამენტართა დელეგაცია ჩავიდა ბრიუსელში. დასხდნენ, განიხილეს, რაღაც მცირე და უმნიშვნელო ცვლილებები დამატებით შეიტანეს და ადგილობრივი აპარატის თანამშრომელს გადასცეს შეთანხმებული ტექსტი ოფიციალურ დოკუმენტად გასაფორმებლად.

▶

სააკაშვილი მაშინ თუ რამით გამოირჩეოდა, ეს იყო უდისციპლინობა, უწინარეს ყოვლისა. კომისიების სხდომებზე ვერ ჩერდებოდა, განუწყვეტლად გადი-გამოდიოდა. ისე იქცეოდა, რომ აშკარად ჩანდა, ბრიუსელში თავისი მიზნების განსახორციელებლად იყო ჩასული — ეძებდა კონტაქტებს ევროპარლამენტის მაღალი რანგის მოხელეებთან, არც წვრილფეხობაზე ამბობდა უარს. მოკლედ, კულისებში ჩალიჩობდა, როგორც ჰავლაბარელები იტყოდნენ ხოლმე.

გამყალბებლები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის მიხეილ სააკაშვილის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 500-მდე კანონი გადაკეთებულ-გაყალბებულია! ამ დანაშაულის ჩამდენი ყოფილი კმარელები, ყოფილი «ახალგაზრდა რეფორმატორები», ყოფილი სახელისუფლო ელიტის წარმომადგენლები (ზოგიერთი ამჟამადაც ხელისუფლებაშია) დღეს მოქმედი ხელისუფლების დამხობით გვემუქრებიან და ქვეყნის მმართველებად დაბრუნებას გვიანონსებენ, გვაშანტაჟებენ, ანუ, როგორც დღევანდელ პოლიტიკურ ჟარგონშია დამკვიდრებული, გვაბულინგებენ

◀ **სააკაშვილი მაშინ თუ რამით გამოირჩეოდა, ეს იყო უდისციპლინობა, უწინარეს ყოვლისა. კომისიების სხდომებზე ვერ ჩერდებოდა, განუწყვეტლად გადი-გამოდიოდა. ისე იქცეოდა, რომ აშკარად ჩანდა, ბრიუსელში თავისი მიზნების განსახორციელებლად იყო ჩასული — ეძებდა კონტაქტებს ევროპარლამენტის მაღალი რანგის მოხელეებთან, არც წვრილფეხობაზე ამბობდა უარს. მოკლედ, კულისებში ჩალიჩობდა, როგორც ჰავლაბარელები იტყოდნენ ხოლმე.**

სიუჟეტის განვითარების ძაფი რომ არ გაგვიწყდეს, სასწრაფოდ დავუბრუნდეთ იმ დოკუმენტთან დაკავშირებული ამბების თხრობას.

## თვითმფრინავში აღმოჩენილი ყალბისმქმნელობა

ადგილობრივმა კლერკმა ერთობლივი განცხადების ტექსტი გასაოფიციალურებლად გაიტანა.

დოკუმენტში პუნქტები აბზაცებად იყო ჩამოწერილი, დაუნომრავად. თვალის ერთი გადავლებით ვერ შეატყობდი, პუნქტების რაოდენობა გაიზარდა, შემცირდა თუ იგივე დარჩა.

ამასთანავე, **ურთიერთნდობა დელეგაციებს შორის მაქსიმალური იყო. ვერც კი გაიფიქრებდნენ, შეცვლიდა თუ დაუმატებდა ვინმე რამეს მას შემდეგ, რაც ტექსტის საბოლოო ვარიანტი დამტკიცდებოდა, ამიტომ ორივე მხარემ ერთობლივ განცხადებას უყოყმანოდ მოაწერა ხელი, დამატებით და კიდევ ერთხელ არავის წაუკითხავს. პროცედურა განხორციელდა ევროპარლამენტის ერთ-ერთ დარბაზში საკმაოდ, ვთქვათ ასე, სამუშაო-საზეიმო ტონალობაში. ორივე მხარემ მიიჩნია, რომ შეხვედრა შედეგიანი იყო, ნაყოფიერი.**

დაბრუნდა დელეგაცია თბილისში, მაგრამ გზაში... ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის თანაშემწე კითხულობს ერთობლივ განცხადებას. თავისთვის. სხვა საქმე რომ არ აქვს, დროის მოსაკლავად. ერთობა და „ვაიმე, ბატონო გია!“ — წამოიძახებს.

— რა ხდება?!

**გამჟღავნდა საოცარი თავხედობის, უნიკალური თაღლითობის ფაქტი.**

**გაირკვა, რომ თემა, რომელზეც დელეგაციებს საერთოდ არ უსაუბრიათ, არ შეხებიან გაკვრითაც კი, რადგან დღის წესრიგში არ იდგა, არც ინტერესის საგანი ყოფილა, ერთ აბზაცად არის ჩაწერილი, კრიტიკულ პუნქტად სამართლის წარმოების შესახებ საქართველოში. ტექსტი — თავიდან ბოლომდე ნეგატიური: გამოვთქვამთ შეშფოთებას სამართალწარმოებაში არსებული პროცესების გამო და ა.შ. მოკლედ იმ სულისკვეთებით, დღესაც რომ „შეშფოთებას“ იწვევს ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებში, განსაკუთრებით მთავარი სტრატეგიული პარტნიორის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში.**

შეწუხდნენ ჩვენი დელეგაციის წევრები: როგორ შეიძლება მომხდარიყო ასეთი კაზუსი?!

შემდეგ გაირკვა: **დელეგაციის ჩანაცვლებული წევრი მიხეილ სააკაშვილი, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გასაფორმებლად დოკუმენტი ევროპარლამენტის აპარატის თანამშრომელმა კანცელარიაში წაიღო, მივიდა მასთან და უთხრა, რომ იმათ (დელეგაციების ხელმძღვანელებმა) გამოგზავნეს და სთხოვეს ამ გამორჩენილი პუნქტის ჩამატება.**

**წვრილმანი თაღლითის მეთოდია, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, სახელმწიფოებრივი დანაშაულია.**

აპარატის იმ თანამშრომელს უფლება არ ჰქონდა, არ ნდობოდა საპარლამენტო დელეგაციის წევრს, რადგან მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელი იყო. ისიც სავარაუდოა, რომ სააკაშვილმა ევროპარლამენტში ცუნდრუკობის დროს მასთანაც დაამყარა ურთიერთობა, ის ადამიანიც ენდო და საერთაშორისო სკანდალში გაება.

სააკაშვილი ყველაფერზე იყო წამსვლელი და ყველას გამმეტებელი.

გაჟონა ამ ამბავმა საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში, მაგრამ მის საზღვრებს არ გასცდენია, რადგან გია კობახიძემ დაარწმუნა (და სამართლიანადაც) ედუარდ შევარდნაძე, რომ ამ ფაქტის საჯაროდ გამოტანა დიდი სირცხვილი იქნებოდა ჩვენთვისაც და ევროპარლამენტისთვისაც, განსაკუთრებით, ევროპარლამენტისთვის, რადგან მის მოვალეობაში შედიოდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის საჯაროდ უხარვეზოდ გატანის ტექნიკური უზრუნველყოფა.

ასე დამთავრდა ეს ისტორია, რომელიც სააკაშვილ-ჟვანიას გუნდის გრძელვადიანი გეგმის ერთი რგოლი იყო და ყველა ინსტიტუციის ხელში ჩაგდებას ითვალისწინებდა, რაც საბოლოო ჯამში განახორციელეს კიდეც.


ევროპარლამენტის სხდომაზე



# ნოემბრის გადატრიალებამდელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებაში მოღვაწე პოლიტიკოსების (მათ შორის ოპოზიციონერთა ბანაკიდანაც) აზრით, სოროსი იყო დამფინანსებელი და იდეის ავტორი, ხოლო პროექტი მთლიანად ჟვანიას მიერ იყო შემუშავებული

## „ვარდების რევოლუცია“ ფიქციაა

ფიქციაა, როგორც ყველა „ფერადი რევოლუცია“, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა.

ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, კარგად შემუშავებული გეგმის მიხედვით ეტაპობრივად განხორციელებული.

მილიარდერმა სოროსმა აკი აღიარა, რომ სააკაშვილი მისი პროექტი იყო.

ნოემბრის გადატრიალებამდელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებაში მოღვაწე პოლიტიკოსების (მათ შორის ოპოზიციონერთა ბანაკიდანაც) აზრით, სოროსი დამფინანსებელი და იდეის ავტორი იყო, ხოლო პროექტი მთლიანად ჟვანიას მიერ იყო შემუშავებული და ითვალისწინებდა „მრავალწახნაგოვანი“, მრავალშრიანი სუბიექტის შექმნას. მან მოიფიქრა ერთპარტიულობის დომინანტობის სქემა, რომელიც შედგებოდა:

**პირველი შრე** — მმართველი პარტია;

**მეორე შრე** — სატელიტი პარტიები და ორგანიზაციები (ამასთანავე პარლამენტში სამ პარტიაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო);

შემდეგ, რა თქმა უნდა, მედია აშკარად და დაუფარავად მმართველი პარტიის სრულ გავლენასა და კონტროლს დაემორჩილებოდა, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, პირველი არხი, ანუ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ყოფილი სახელმწიფო კომიტეტი იგულისხმებოდა. შემდეგ ჯგუფში გაერთიანდებოდა ვითომ ოპოზიციურად განწყობილი საინფორმაციო საშუალებები, ე.წ. შიდა ოპოზიცია — „რუსთავი 2“, რომელიც შექმნის დღიდანვე ჟვანია-სააკაშვილის გუნდზე მუშაობდა და არასოდეს ყოფილა ობიექტური.

ამ „ერთადერთ კრიტიკულ“ მედიაში ჭეშმარიტი კონსტრუქციული ოპოზიციონერული პარტიების ლიდერებს პრაქტიკულად არ იწვევდნენ, ხოლო, მაგალითად, **ირინა სარიშვილი** და **მიხეილ სააკაშვილი** ერთი წლის განმავლობაში 13-ჯერ იყვნენ პირდაპირ ეთერში. მათი პირდაპირი ეთერი, სულ ცოტა, ერთ საათს გრძელდებოდა.

არასამთავრობო სექტორი, რომელიც მთლიანად გაისატელიტეს, მხოლოდ მათი რეკომენდაციით ფინანსდებოდა, მხოლოდ მათი თანხმობის შემდეგ გაიღებდა სოროსი და აშშ-ის სხვადასხვა ორგანიზაცია გრანტებს უხვად და შეუფერხებლად.

**ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იკვალავდნენ გზას ხელისუფლების სრული უზურპაციისკენ „ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის დროს ხელმძღვანელ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობდნენ, პარაზიტი მავნებლები, დედამცენარეში დაბუდებულები, სახელმწიფოს სასიცოცხლო ენერგიას რომ სწოვდნენ და გადატრიალებისთვის ემზადებოდნენ.**

ჟვანიას მიერ შექმნილი სქემა დღესაც მოქმედებს, თუმცა ავტორის რეიტინგი სტატუსის (პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის) დაკარგვისთანავე კატასტროფულად დაეცა 2-3 პროცენტამდე და ამ დონეზევე გაიყინა.

არასამთავრობოებს არავინ შეხებია, პერსონალური შემადგენლობა თუ შეიცვალა ზოგის. მოვიდნენ ახლები ძველი მეთოდებით ახალი ხელისუფლების შესარყევად და ახალი სააკაშვილების მმართველობის ტახტზე ასაყვანად.

იბარტყა ნაცების მორჩილი მედიასაშუალებების რაოდენობამ, რომლებიც ტვინების გამორეცხვაზე მუშაობენ. ამჟამად რამდენიმე „რუსთავი-2“-ია აშკარა თუ ფარული მიშისტების საკეკლუცო და ბილწსიტყვაობის ელექტრონული ასპარეზი.

ნაცპარტიას ზღაპრული გველეშაპივით გამოება ახალი თავები ნაცნობი სახეებით.

უცხოეთში ლობისტები გაიჩინეს.

გამრავლდნენ, გათავხედდნენ სატელიტური ორკაცნახევრიანი პარტიების ხარჯზე და ერთობლივად სახელმწიფო გადატრიალებასაც კი შეეცადნენ — პარლამენტს შეუტიეს.

ვინ შეუშვებდა!

ამჟამად დაუმორჩილებლობის პერმანენტული აქციების მოწყობით აპირებენ დესტაბილიზაციის ქვეყნად საქართველოს გადაქცევას.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. გაყალბებული კანონები, საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები ნიშნავს, რომ „ახალგაზრდა დემოკრატებმა“, ნაცპარტიამ და მისმა სატელიტებმა თავიანთ ილუზიებს შესწირეს სახელმწიფოებრიობის საფუძველთასაფუძველი — კანონმდებლობა; ყველაფერი იკადრეს იმ ბურჯის დასაშლელად, რომელზეც დგას ქვეყნის სუვერენიტეტი, დემოკრატიის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარანტირებული პერსპექტივა.**

**ეს პარაზიტები 2012 წლის ოქტომბერში რომ არ ჩამოგვებერტყა „ფეხზე ვით მტვერი“, საქართველო განვითარებული ქვეყნების ტერიტორიულ დანამატად ჩამოყალიბდებოდა, ერზაც სახელმწიფოდ, ბანანის რესპუბლიკად ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნეოკოლონიად. ჩვენ კი, მისი მკვიდრნი, სხვათა მომსახურე და დოლარის მზის კულტზე მლოცველ ტომად დავკნინდებოდით.**

**და მაშინ — „გუდ ბაი“, საქართველო!**

**ა.ს.**

სკანდალი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მასშტაბური კონსპიროლოგიური სქემის შესახებ მიმდინარე წლის თებერვალში შეიქნა ცნობილი, როცა ამერიკულმა გაზეთმა THE WASHINGTON POST-მა და გერმანულმა ტელეკომპანია ZDF-მა გამოაქვეყნეს ერთობლივი გამოძიების შედეგები. მათ შეისწავლეს ცსს-ის დოკუმენტები და გამოჰკითხეს ის მოწმეები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს და დათანხმდნენ პრესასთან თანამშრომლობას. ასე გამომზეურდა სადაზვერვო სამსახურების ბინძური საქმიანობა გასულ საუკუნეში.**

# ბორდელები და კადაფის ფული. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო წლების განმავლობაში კითხულობდა მსოფლიო ლიდერების საიდუმლოებებს

**დიდი რუდუნებით შექმნილი რეპუტაცია შვეიცარიისა, როგორც ნეიტრალური და საიმედო ქვეყნის, ერთ საათში დაინგრა. გაირკვა, რომ საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ დიდ კომპანიას — შვეიცარიულ Cripto AG-ს დიდი ხნის განმავლობაში აკონტროლებდნენ ამერიკული და გერმანული სადაზვერვო სამსახურები. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) თანამშრომლები წლების განმავლობაში კითხულობდნენ ე.წ. მესამე სამყაროს დიქტატორების, სტრატეგიული მოწინააღმდეგეებისა და უახლოესი მოკავშირეების დაშიფრულ ცნობებს.**




## დაზვერვის საიდუმლო

**XX საუკუნის შუა წლებიდან შვეიცარიული ფირმის მშიფრავი მოწყობილობით 120-ზე მეტი ქვეყანა სარგებლობდა და არავინ დაეჭვებულა, რომ მონაცემები აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების ხელში ხვდებოდა.**

საიდუმლო მოლაპარაკებების შედეგები, მოხსენებითი ბარათები და ბრძანებები მანამდე ხვდებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების ხელში, სანამ მიაღწევდა ადრესატამდე ირანში, ლათინურ ამერიკაში, ევროპაში, ინდოეთსა და ვატიკანშიც კი. მიმწოდებელი კომპანიის კლიენტთა შორის ეჭვი არავის ეპარებოდა საიმედოობაში იმ სისტემისა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მათი ეროვნული უსაფრთხოება.

მომხდარის შესახებ თვით Cripto AG-ის თანამშრომლებმაც არაფერი იცოდნენ.

ასე გრძელდებოდა დღემდე. **მასშტაბური კონსპიროლოგიური სქემის შესახებ მიმდინარე წლის თებერვალში შეიქნა ცნობილი, როცა ამერიკულმა გაზეთმა The Washington Post-მა და გერმანულმა ტელეკომპანია ZDF-მა გამოაქვეყნეს ერთობლივი გამოძიების შედეგები. მათ შეისწავლეს ცსს-ის დოკუმენტები და გამოჰკითხეს ის მოწმეები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს და დათანხმდნენ პრესასთან თანამშრომლობას. ასე გამომზეურდა სადაზვერვო სამსახურების ბინძური საქმიანობა გასულ საუკუნეში.**

## საოცარი ახალი სამყარო

Cripto AG-ი შვეიცარიაში დაარსდა 1948 წელს, მაგრამ „დაბადებიდანვე“ ამერიკის შეერთებულ შტატებთან იყო დაკავშირებული. მისმა შემქმნელმა, წარმოშობით რუსმა შვედმა **ბორის ცეზარ ვილჰელმ ხაგელინმა** თავისი ბიზნესი აშშ-ში იძულებითი ემიგრაციის პერიოდში წამოიწყო. ნიუ-იორკის შტატში მდებარე ქარხანაში ხაგელინის პროექტის მიხედვით აწარმოებდნენ კომპაქტურ მშიფრავ მანქანებს — M-209-ს, რომლებსაც იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. ეს მანქანა ძალიან ჩამორჩებოდა ნაცისტურ „ენიგმას“, მაგრამ მაინც ეფექტიანად მუშაობდა. ტექნიკას ნელ-ნელა სრულყოფდნენ, აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები კი ყურადღებით აკვირდებოდნენ, როგორც ისინი უწოდებდნენ, „ხაგელინის პრობლემას“. საქმე ის არის, რომ აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგეები — სსრკ, ჩინეთი და ჩრდილოეთი კორეა — ისეთ მშიფრავ სისტემებს იყენებდნენ, რომ მათი დეკოდირება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

Cripto AG-ის მოწყობილობების გაყიდვის მომატებასთან ერთად ასეთი ქვეყნების რაოდენობაც მოიმატებდა.

ამერიკელებს ბედმა გაუღიმა: ხაგელინზე ოკეანისგაღმა ცხოვრების წლების განმავლობაში დიდი ზეგავლენა იქონია ამერიკულმა იდეოლოგიამ. ის ლოიალურად იყო განწყობილი ამერიკული ფასეულობების მიმართ. ხაგელინი იმედოვნებდა, რომ აშშ მისი უდიდესი კლიენტი იქნებოდა, ამიტომ გამომგონებლის დაყოლიება, ეთანამშრომლა მთავრობასთან, რთული საქმე არ ყოფილა.

**სპეცსამსახურებმა ხაგელინთან მოლაპარაკების წარმართვა დაავალეს მის ძველ მეგობარსა და კოლეგას, „ამერიკული კრიპტოლოგიის მამას“— უილიამ ფრიდმანს. მეგობრებმა 1951 წელს ვაშინგტონის ერთ-ერთ კერძო დაწესებულება Cosmos Club-ში მოილაპარაკეს და კომპანია გადაიტანეს შვეიცარიაში. ამ მომენტიდან Cripto AG-ს თავისი მოწყობილობების გაყიდვა მხოლოდ თეთრი სახლის თანხმობით შეეძლო. ხაგელინს მხოლოდ ერთ რამეში არ დაუთმია — ამერიკელ სპეციალისტებს აპარატთან წვდომა არ ჰქონდათ.**

საკომპენსაციოდ ხაგელინმა ვაშინგტონისგან მიიღო 700 ათასი დოლარი ავანსად და კიდევ 70 ათასი — ყოველწლიურად. Cripto AG-სთვის ლიდერის პოზიცია რომ განემტკიცებინათ მსოფლიო ბაზარზე, ამერიკის ხელისუფლებამ გამომგონებელს კიდევ 10 ათასი დაუმატა „სარეკლამო ხარჯებისთვის“.

**გერმანელები განაცვიფრა ამერიკელი კოლეგების სწრაფვამ, ეთვალთვალათ თავიანთი მოკავშირეებისა და პარტნიორებისთვის. ისინი ამბობდნენ, რომ «აშშ-ს უნდა, ისე იმუშაოს მოკავშირეებთან, როგორც მესამე სამყაროს ქვეყნებთან», «დაზვერვის სამყაროში კი მათ მეგობრები არ ჰყავთ»**




**1960-იან წლებში კომპანიას მოუწია, ახალი ელექტრონული ტექნოლოგიებისთვის ფეხის აეწყო. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ხელშეწყობით, 1967 წელს Cripto AG-მა გამოუშვა ელექტრონული მოდელი H-460. ამერიკულმა დაზვერვამ მოიპოვა შიფრები, რომლებსაც იყენებდნენ შვეიცარიული კომპანიის კლიენტები. ამ მომენტიდან დეკოდირებას, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში თვეები უნდებოდნენ, რამდენიმე წამი სჭირდებოდა.**

„წარმოიდგინეთ, ამერიკის მთავრობა თავის სასარგებლოდ მუშაობაზე ითანხმებს უცხოელ მეწარმეს“, — წერია ცსს-ის საიდუმლო მასალებში. სხვათა შორის, ეს ხდებოდა ახალ საოცარ სამყაროში.

## გარიგება

როდესაც ბორის ხაგელინმა ხანდაზმულ ასაკს მიაღწია და დადგა მისი შემცვლელის პოვნის საკითხი, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შიდა დაპირისპირების გამო ვერ შეძლეს კომპანიის გაყიდვაზე მოლაპარაკება. კომპანიის შეძენა სურდათ ფრანგებს, მაგრამ ხაგელინმა მათ უარი უთხრა და ყველაფერი ცსს-ს მოახსენა. ახალი შეთავაზება მიიღო 2 წლის შემდეგ გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურისგან (Bundesnachrichtendienst, BND). აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს გერმანელ კოლეგებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. 1956 წელს სწორედ ამერიკელების ძალისხმევით შეიქმნა გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახური. ამჯერად ამერიკელმა კურატორებმა მოიწონეს კომპანიის გაყიდვის იდეა და გარიგება შედგა.

**ამერიკელებმა ოკეანის გამოღმა ჩამოიტანეს მოწყობილობები, მანქანები, საწვავი და სხვა აუცილებელი საგნები. ძალიან მალე გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახური მსოფლიოში ერთ-ერთ ძლიერ სადაზვერვო სამსახურად იქცა. ბონისა და ვაშინგტონის თანამშრომლობა ამ სფეროში 1970 წელს განმტკიცდა. შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, საქმეში ფრანგებს არ ჩაეხედათ. მემორანდუმზე იყო მიუნხენში ცსს-ის იმჟამინდელი წარმომადგენლის დაბრეცილი (მას უკვე ჰქონდა პარკინსონის დაავადება) და BND-ის წარმომადგენლის გაურკვეველი ხელმოწერები.**

ცენტრალური ოფისი თავდაპირველად განათავსეს სამხედრო ობიექტზე, რომლითაც სარგებლობდნენ ამერიკელები, შემდეგ — შენობაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გვერდით. კონსპირაციისთვის ყველა სახელი კოდირებული იყო. კომპანია Cripto AG-ს უწოდეს **„მინერვა“,** ხოლო ორი დაზვერვის თანამშრომლობას თავდაპირველად უწოდებდნენ **„ტეზაურუსს“,** 1980-იან წლებში — **„რუბიკონს“.**

შვეიცარიული კომპანია 5,75 მლრდ დოლარად იყიდეს. გარიგება გაფორმდა ლიხტენშტეინის იურიდიული ფირმა Marxer and Goop-ის მეშვეობით. მსოფლიოს ორ დიდ სადაზვერვო სამსახურს „მინერვას“ პირდაპირი მართვა არ შეეძლო, ამიტომ საქმეში ჩართეს გერმანული „სიმენსი“ და ამერიკული „მოტოროლა“. კომპანიის რეალური მფლობელების ვინაობა არც თანამშრომლებმა იცოდნენ და არც დირექტორმა, ხაგელინის ერთი თანაშემწის გარდა, რომელმაც მალე დატოვა პოსტი. როგორ წარიმართა მისი ცხოვრება, უცნობია.

აშშ-ის ცენტრალური და გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელობით ბიზნესი აყვავდა. ამერიკელთა მონაცემებით, კოდირების მანქანების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 15 მლნ შვეიცარიული ფრანკიდან (1970 წელს) 51 მლნ-მდე მოიმატა (1975 წელს). კომპანიის შტატი კი 250 თანამშრომლამდე გაიზარდა. „მინერვა“ — ეს ოქროს ფსკერია“, — მიიჩნევდნენ ამერიკის სპეცსამსახურში.

## „როლექსები“ და ქრთამები

**ძლიერი კონკურენტის გამოჩენა რომ არ დაეშვა, Cripto AG-ი, გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენების მიხ-** ▶

სკანდალი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**CRIPTO AG-ი შვეიცარიაში დაარსდა 1948 წელს, მაგრამ „დაბადებიდანვე“ ამერიკის შეერთებულ შტატებთან იყო დაკავშირებული. მისმა შემქმნელმა, წარმოშობით რუსმა შვედმა ბორის ცეზარ ვილჰელმ ხაგელინმა თავისი ბიზნესი აშშ-ში იძულებითი ემიგრაციის პერიოდში წამოიწყო. ნიუ-იორკის შტატში მდებარე ქარხანაში ხაგელინის პროექტის მიხედვით აწარმოებდნენ კომპაქტურ მშიფრავ მანქანებს — M-209-ს, რომლებსაც იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. ეს მანქანა ძალიან ჩამორჩებოდა ნაცისტურ „ენიგმას“, მაგრამ მაინც ეფექტიანად მუშაობდა.**

**◀ედვით, ქრთამის მიცემასაც არ თაკილობდა. ერთხელ საუდის არაბეთში გაგზავნეს კომპანიის წარმომადგენელი, რომელსაც ჩემოდანში ათეულობით „როლექსის“ საათი ედო. მოგვიანებით საუდელები მიიღეს შვეიცარიაში „სასწავლო წვრთნების“ ჩასატარებლად, დამატებითი ბონუსი იყო ბორდელებში გართობა.**

1986 წლამდე არავინ იცოდა, ვინ იყო კოდირების მანქანების მწარმოებელი მსოფლიოში უდიდესი კომპანიის ნამდვილი მფლობელი. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო კი ამით წარმატებით სარგებლობდა. **1978 წელს, როდესაც ეგვიპტის, ისრაელისა და აშშ-ის ლიდერები ამერიკის ქალაქ კემპ-დევიდში შეიკრიბნენ ისრაელ-ეგვიპტის საზავო ხელშეკრულების გასაფორმებლად, ყველა ცნობაზე, რომლებსაც სამშობლოს გადასცემდა ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი, ხელი მიუწვდებოდა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურს. ერთი წლის შემდეგ აშშ-ის 52 მოქალაქე მძევლად აღმოჩნდა თეირანში ამერიკის საელჩოს შენობაში. იმ დღეებში აშშ-ის პრეზიდენტ ჯიმი კარტერს მოახსენებდნენ ირანელებისა და ალჟირელების მიმოწერის შინაარსს, ერთნიცა და მეორენიც შვეიცარიული მოწყობილობით სარგებლობდნენ.**

იყო უხერხული სიტუაციებიც. მაგალითად, დაზვერვამ შეიტყო, რომ ჯიმი კარტერის ძმა ლობირებდა ლიბიის ინტერესებს აშშ-ში და ამას აკეთებდა **მუამარ კადაფის** ფულით. ინფორმაცია გადასცეს იუსტიციის სამინისტროში, იქიდან — გამოძიების ფედერალურ ბიუროში. კარტერის ძმა ხელებს ასავსავებდა, მაგრამ მტკიცებულებები რკინისებური იყო. საბოლოო ჯამში, მას პასუხი არ უგია, მაგრამ რეგისტრაციაში გაატარეს, როგორც უცხო ქვეყნის აგენტი. 1982 წელს, როცა აშშ-ის პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი** იყო, ამერიკელები ბრიტანელებს გადასცემდნენ არგენტინასთან ფოლკლენდის ომის სადაზვერვო მონაცემებს. ბუენოს-აირესში მიხვდნენ, რომ რაღაც ისე არ იყო, მაგრამ Cripto AG-მა მიავლინა თავისი თანამშრომელი, რომელმაც დაარწმუნა არგენტინის ხელისუფლება, რომ საქმე უმნიშვნელო ხარვეზშია და მომავალში სისტემა საიმედოდ იმუშავებდა. თვით **რეიგანმაც გამოიყენა სადაზვერვო უპირატესობა 1986 წელს ბერლინის დისკოტეკა „ლა ბელში“ მოწყობილი აფეთქების შემდეგ. დამნაშავეები სწრაფად გამოავლინეს და აფეთქებიდან 10 დღის შემდეგ დაარტყეს ლიბიას, შედეგად, სავარაუდოდ, დაიღუპა კადაფის ერთ-ერთი ქალიშვილი.**

რეიგანის განცხადებით, აშშ-ს ჰქონდა მტკიცებულება, რომ ტერაქტის კოორდინაცია ხდებოდა ტრიპოლიდან აღმოსავლეთ ბერლინში ლიბიის საელჩოს მეშვეობით. აშკარა იყო, რომ ეს ცნობები სადაზვერვო სამსახურის მოპოვებული და გაშიფრული იყო.

ამ პერიოდისთვის კომპანიის, უფრო ზუსტად, მის უკან მდგომი დაზვერვის სამსახურების საქმეები არც ისე კარგად მიდიოდა. მაგალითად, ნიგერიის ხელისუფლებამ, რომელმაც კოდირების მოწყობილობები შეიძინა, მათ ხელი არ ახლო. ამასთანავე, უსაფრთხოებაში „ნახვრეტების“ არსებობაზე თვით Cripto AG-ის თანამშრომლებიც დაფიქრდნენ.

## „ძალიან ჭკვიანია იმისთვის, რომ ვერ მიხვდეს“

ინჟინერი **პიტერ ფრუტიგერი**, მაგალითად, დაეჭვდა, რომ მისი დამსაქმებლები თანამშრომლობენ გერმანიის დაზვერვასთან. ამაში დარწმუნდა, როცა რამდენჯერმე გაგზავნეს დამასკოში, რათა მოესმინა სირიის მთავრობის საჩივარი მოწყობილობის გაუმართაობის შესახებ. ფრუტიგერმა თავისი უფროსობის სანქციის გარეშე აღმოფხვრა ხარვეზები სისტემაში და ამისთვის... სამსახურიდან დაითხოვეს. ნაციონალური უსაფრთხორების სააგენტოში გულისწყრომას ვერ მალავდნენ: თანამშრომელი კომპანიაში უნდა დაეტოვებინათ, პარალელურად გამოეძებნათ ხერხი და აეძულებინათ ის, წყნარად მჯდარიყო, მაგალითად, ფულის მეშვეობით.

საკადრო პრობლემად იქცა, აგრეთვე, ინჟინერი **მენგია კაფილიში**. მისი დანიშვნა სააგენტოში არ გახარებიათ, რადგან იცოდნენ, რომ ის „ძალიან ჭკვიანია იმისთვის, რომ ვერ მიხვდეს“. საბოლოო ჯამში, „ხარვეზებზე“, რომლებიც იპოვა კაფილიშმა, თვალი დახუჭეს. მის მიერ გამართული აპარატები კი მიჰყიდეს ბანკებს, ქვეყნების ხელისუფლებებისთვის „ხარვეზებიანი“ აპარატების მიყიდვას კი კვლავ განაგრძობდნენ.

მალე მოხდა პირველი ნამდვილი კრიზისი. ირანელები კარგა ხნის განმავლობაში ეჭვობდნენ, რომ Cripto AG-ი საიმედო არ იყო და 1989 წელს დააკავეს კომპანიის წარმომადგენელი. **ჰანს ბუხლერი** კომპანიის მოწყობილობების გაყიდვის საუკეთესო მენეჯერად ითვლებოდა, თეირანი კი, სადაც ის ხშირად ჩადიოდა, უმსხვილესი მყიდველი იყო. საბოლოო ჯამში, ბუხლერი 9 თვის შემდეგ გაათავისუფლეს მილიონ დოლარად. თანხა საიდუმლოდ გადასცეს ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებს. ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ უარი თქვეს დახმარებაზე და მიუთითეს ვაშინგტონის პრინციპზე, მძევლის გასათავისუფლებლად გამოსასყიდი არ გადაეხადათ. ბუხლერი შინ ისე დაბრუნდა, კომპანიის საიდუმლოს შესახებ ვერაფერი შეიტყო, მაგრამ არ ტოვებდა განცდა, რომ მის სამსახურზე ირანელებმა უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე თვითონ.

ვითარება გამწვავდა, როცა ბუხლერი გამოჩნდა შვეიცარიის ტელევიზიაში 1994 წელს. ცსს-ში ინციდენტს უწოდეს კრიზისი „ჰიდრა“. იმხანად ტელევიზიაში მისვლა მოუწია კომპანიის აღმასრულებელ დირექტორ მაიკლ გრუპსაც, რომლის განცხადებამაც, „შესაძლოა, გადაარჩინა პროგრამა“, — ნათქვამია ცსს-ის დოკუმენტებში.

ამ ინციდენტის შემდეგ **დაიწყო ჟურნალისტური გამოძიება, რის გამოც Cripto AG-ი რამდენიმე თანამშრომელმა დატოვა; რამდენიმე ქვეყანამ კი — არგენტინამ, იტალიამ, საუდის არაბეთმა, ეგვიპტემ და ინდონეზიამ — დაარღვია ან შეაჩერა კონტრაქტები. გასაკვირია, რომ მათ შორის არ იყო ირანი.**



1986 წლის 5 აპრილი. ბერლინის კლუბ „ლაბელის“ აფეთქების შემდეგ

**ძლიერი კონკურენტის გამოჩენა რომ არ დაეშვა, Cripto AG-ი, გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენების მიხედვით, ქრთამის მიცემასაც არ თაკილობდა. ერთხელ საუდის არაბეთში გაგზავნეს კომპანიის წარმომადგენელი, რომელსაც ჩემოდანში ათეულობით «როლექსის» საათი ედო. მოგვიანებით საუდელები მიიღეს შვეიცარიაში «სასწავლო წვრთნების» ჩასატარებლად, დამატებითი ბონუსი იყო ბორდელებში გართობა**



ქალი გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შენობის შესასვლელთან



მშიფრავი მანქანა

ყველაფერი ჩაწყნარდა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა კრიზის „ჰიდრას“ შედეგად ურთიერთობა გაფუჭდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და გერმანიის ფედერალურ სადაზვერვო სამსახურებს შორის. უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი იყო სია იმ ქვეყნებისა, რომლებისთვისაც უნდა მიეწოდებინათ „ხარვეზებიანი“ აპარატურა. **გერმანელები განაცვიფრა ამერიკელი კოლეგების სწრაფვამ, ეთვალთვალათ თავიანთი მოკავშირეებისა და პარტნიორებისთვის. ისინი ამბობდნენ, რომ „აშშ-ს უნდა, ისე იმუშაოს მოკავშირეებთან, როგორც მესამე სამყაროს ქვეყნებთან“, „დაზვერვის სამყაროში კი მათ მეგობრები არ ჰყავთ“.**

ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ გერმანული დაზვერვის პრიორიტეტები შეიცვალა. ბერლინს აშფოთებდა ის, რომ, თუ „მინერვას“ საქმე გასკდებოდა, ამას ევროპაში არ აპატიებდნენ. 1993 წელს გერმანიის ფედერალური დაზვერვის ახალმა შეფმა ამერიკელებს განუცხადა, რომ გერმანია, დიდი ალბათობით, გავა Cripto AG-ის პარტნიორობიდან. ასეც მოხდა და გერმანიის დაზვერვა მოკვეთილი აღმოჩნდა უზარმაზარი მოცულობის სადაზვერვო მონაცემებისგან, რომელთა შეგროვებასაც განაგრძობდა აშშ.

მოგვიანებით, 2013 წელს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის, **ედვარდ სნოუდენის,** მიერ გასაჯაროებულმა დოკუმენტებმა აჩვენა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები მრავალი წლის განმავლობაში უსმენდნენ გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** მობილურ ტელეფონს.

## დაისი და დაშლა

1990-იან წლებში Cripto AG-ისგან სადაზვერვო ინფორმაცია ინერციით მოდიოდა, რადგან ზოგიერთი ქვეყნის მთავრობას გათიშული არ ჰქონდა ძველი შვეიცარიული მოწყობილობა ახალზე გადასვლის შემდეგ. საუკუნეების გასაყარზე კი კომპანიამ ვეღარ შეძლო კოდირების ახალ სისტემებამდე მიღწევა. **აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ძალისხმევას არ იშურებდა, გამოეყენებინა Coogle, microsoft-ი და სხვა ამერიკული ტექნოლოგიური გიგანტები. 2017 წელს ამერიკულმა სპეცსამსახურებმა საბოლოოდ მოიშორეს Cripto AG-ი, თავდაპირველად გაყიდეს სათაო ოფისი ცუგში, შემდეგ — დანარჩენი აქტივებიც. Cripto AG-ის ერთი ნაწილი შეიძინა კომპანია CyOne-მ, რომლის ერთადერთი კლიენტი შვედეთის მთავრობაა.**

კომპანიის საერთაშორისო აქტივები შვედმა ბიზნესმენმა შეიძინა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს ბორის ხაგელინის გამო გააკეთა, მაგრამ იმის შესახებ, რომ Cripto AG-ის მფლობელი იყო ამერიკული და გერმანული დაზვერვები, მისი თქმით, ეს პირველად ესმოდა.

ბიზნესმენმა Cripto AG-სა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შორის კავშირს ჭორი უწოდა, რომლის წინ წამოწევა მოლაპარაკებებზე საჭირო არ იყო. გაყიდვიდან შემოსული თანხა არ სახელდება, მაგრამ ცნობილია, რომ ლიკვიდაციით დაკავებული იყო ლიხტენშტეინის ის კანტორა, რომელმაც გააფორმა Cripto AG-ის გაყიდვის გარიგება ხაგელინსა და ცსს-ს შორის თითქმის 50 წლის წინათ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**






CRIPTO AG-ს ოფისი შვეიცარიაში

**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მას შემდეგ, რაც სტალინის გინება და შეურაცხყოფა დავიწყეთ, ღმერთმაც თითქოს პირი იბრუნა და ქვეყანაც ხელიდან გვეცლება: ტერიტორიულად დავპატარავდით, მორალურად ვინგრევით და დემოგრაფიულად ვილუპებით, ღმერთისგან მოდის ყველაფერი. ქართველებს დიდი ცოდვა გვაწევს მადლიერების დაკარგვის გამო და ღმერთიც და ბუნებაც ამიტომ გვსჯის. იქნებ ვცადოთ და კიდევ გავიხსენოთ სტალინის სახელი, აღვადგინოთ სტალინური შრომა და სტალინური სამართლიანობა, იქნებ ღმერთმაც მოგვხედოს და ქვეყანამაც გაიბრწყინოს...**

# სტალინი დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში მკითხველს გავაცანი იმ მზაკვრული მიზნის მისაღწევად ჩადენილი გაუგონარი სისასტიკე, რომელიც პირადი ცხოვრების მოსაწყობად ჩაიდინეს ხალხისა და სამშობლოს მოღალატე ქვეყნის პირველმა პირებმა: გაურკვეველი წარმომავლობის უსაძაგლესმა პიროვნებამ იური ანდროპოვმა თავისი შხამიანი შუბი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით დაუტოვა მექრთამე გორბაჩოვს, რომელმაც შიმშილით, შიშით, შანტაჟითა და აშკარა თავდასხმებით ათასობით ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ღალატის ბოლო მომენტში, როდესაც მოსალოდნელი იყო, სტალინური წრთობის რომელიმე ავტორიტეტული პიროვნება ჩასდგომოდა ქვეყნის გადარჩენის საქმეს სათავეში, თავის სამუშაო კაბინეტში ხელით დაახრჩვეს მარშალი ახრომეევი. შემდეგ კი ისე მოაწყვეს, თითქოს საკუთარი კაბინეტის კარზე თვითონ ჩამოიხრჩო თავი.**





სტალინის მიმართვა საბჭოთა ხალხს. 1941 წლის 3 ივლისი

ვითომ „დაპატიმრებულმა“ **მიხეილ გორბაჩოვმა,** რომლის მოსანახულებლადაც აგარაკზე მივიდნენ პოლიტბიუროსა და „გე-კა-ჩე-პეს“ ხელმძღვანელები, სტუმართაგან ახლოს არავინ გაიკარა, შინაგან საქმეთა მინისტრ **ბორის პუგოს** გარდა, რომელმაც სრულიად საიდუმლო ვითარებაში მოახსენა მთავარ რეჟისორს ტრაგიკომედიის მიმდინარეობის ამბავი, ხოლო შემდეგ, როდესაც სპექტაკლი დასრულდა, საქმის ყველა დეტალში ჩახედული კაცი, შს მინისტრი პუგო ლოგინში მოკლეს. მკვლელს ისიც უთხრეს, რომ პუგო მეუღლეს აუცილებლად გაანდობდა იმ საიდუმლოს, რომელიც ქვეყანაში თითზე ჩამოსათვლელმა ადამიანებმა იცოდნენ, ამიტომ პუგოსთან ერთად ლოგინში მისი მეუღლეც დახვრიტეს.

ტრაგიკომედიის მთავარ რეჟისორად დანიშნული გორბაჩოვის საფინანსო საქმეებს ხელმძღვანელობდა სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო-საფინანსო სამსახურის უფროსი **ნიკოლოზ კრუჩინა.** როდესაც ტრაგიკომედიის ბოლო მოქმედების ფარდა დაეშვა და კრემლიდან წითელი დროშა ჩამოხსნეს, ორმა კაცმა გაგუდული კრუჩინა მეშვიდე სართულის ფანჯრიდან გადმოაგდო და ქვაფენილს დაანარცხა. ასე ინგრეოდა ზემძლავრი სახელმწიფო და კვდებოდნენ პატიოსნებაში ეჭვმიტანილი ადამიანები...

ამა წლის 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება რუსეთი, პოსტსაბჭოთა ქვეყნები და სრულიად მსოფლიო. და, რადგან ახლოვდება ეს დღე, რედაქციასთან შეთანხმებით, გადავწყვიტე, მეც შემეტანა მოკრძალებული წვლილი და კიდევ ერთხელ გადაგვეხედა დიდი სამამულო ომის ქრონიკებისთვის.

დღეიდან 9 მაისამდე და შემდეგ 24 ივნისამდე განვაგრძობ დიდი სამამულო ომის პერიპეტიებზე მასალების მიწოდებას „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველისთვის. დღევანდელი წერილი დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეს — 1941 წლის 22 ივნისს ეხება.

მე მორწმუნე კაცი არ ვარ, მაგრამ ერთ რამეში ვრწმუნდები: სანამ საქართველოდან სტალინის დიდება და სიმღერა ისმოდა, ჩვენი ქვეყანა, თუ მსოფლიოში არა, ევროპაში ერთ-ერთი წარჩინებული ქვეყანა იყო მეცნიერებით, მწერლობით, მხატვრობით, ფოლკლორით, სპორტითა და ხელოვნების სხვადასხვა დარგით. საქართველოში წარმოებული პროდუქციის 18 სახეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადიოდა. მხოლოდ გურიის ერთ სოფელში, შრომაში, 27 სოციალისტური შრომის გმირი ცხოვრობდა და შრომობდა. ქვეყანა ყვაოდა, მიუვალ სოფლებში სკოლის კედლები ბავშვებს ვერ იტევდა. **მას შემდეგ, რაც სტალინის გინება და შეურაცხყოფა დავიწყეთ, ღმერთმაც თითქოს პირი იბრუნა და ქვეყანაც ხელიდან გვეცლება: ტერიტორიულად დავპატარავდით, მორალურად ვინგრევით და დემოგრაფიულად ვილუპებით, ღმერთისგან მოდის ყველაფერი. ქართველებს დიდი ცოდვა გვაწევს მადლიერების დაკარგვის გამო და ღმერთიც და ბუნებაც ამიტომ გვსჯის. იქნებ ვცადოთ და კიდევ გავიხსენოთ სტალინის სახელი, აღვადგინოთ სტალინური შრომა და სტალინური სამართლიანობა, იქნებ ღმერთმაც მოგვხედოს და ქვეყანამაც გაიბრწყინოს...**

1941 წლის 21 ივნისის საღამოს კუნცევოს აგარაკზე სასწრაფოდ გამოიძახეს სტალინის პირადი ექიმი, პროფესორი **პრეობრაჟენსკი**, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა სტალინს. პროფესორმა პაციენტის გასინჯვისთანავე განაცხადა, რომ ის სასწრაფოდ უნდა გადაეყვანათ საავადმყოფოში, — ჩირქოვანი ანგინაა ჩამოყალიბებული და ტემპერატურა 40 გრადუსს აღემატებაო. სტალინმა საავადმყოფოში გადაყვანაზე სასტიკი უარი განაცხადა. პროფესორმა პირველადი დახმარება აღმოუჩინა სტალინს და შეწუხებული იდგა იმის გამო, რომ პაციენტი მას არ დაემორჩილა. სტალინმა პროფესორს თხოვნით მიმართა: ხვალ, დასვენების დღის მიუხედავად, ქალაქიდან არ გახვიდეო. თანაც მკაცრად გააფრთხილა: ჩემი დიაგნოზის შესახებ არავინ არაფერი იცოდესო.

ცოტა ხნის შემდეგ სტალინი მარშალ **ტიმოშენკოს** ელაპარაკა, შემდეგ კი სასწრაფოდ თავისთან იხმო მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე შჩერბაკოვი** და აღმასკომის თავმჯდომარე **ნიკოლოზ პრონინი.**

არ გასულა დიდი დრო, რომ სტალინმა სტუმრებს კატეგორიული ტონით უთხრა:

— გააფრთხილეთ მოსკოვის ყველა რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე, რომ ხვალ, კვირას ქალაქიდან არ გავიდეს არც ერთი მათგანი. მოსალოდნელია გერმანელების თავდასხმა.

22 ივნისს, 3 საათსა და 40 წუთზე, თავდაცვის მინისტრმა, მარშალმა **სიმონ ტიმოშენკომ** უბრძანა გენშტაბის უფროს **გიორგი ჟუკოვს,** ეცნობებია სტალინისთვის, რომ გერმანელები ბომბავენ საბჭოეთის ქალაქებს, რომ ომი დაიწყო.

ტელეფონის აპარატთან მისულმა სტალინმა, ჟუკოვის მოხსენების მოსმენის შემდეგ, უბრძანა ჟუკოვს, ტიმოშენკოსთან ერთად გამოცხადებულიყო კრემლში. შემდეგ კი პირად მდივანს, **ალექსანდრე პოსკრებიშევს,** დაავალა, სასწრაფოდ გამოეძახებინა პოლიტბიუროს ყველა წევრი.

პროფესორის უმკაცრესი გაფრთხილების მიუხედავად, ავადმყოფმა სტალინმა მანქანა გამოიძახა და კრემლისკენ გაეშურა. უკვე ერთი საათის შემდეგ, 4 საათსა და 40 წუთზე, კრემლში პოლიტბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, რომელსაც სტალინი უძღვებოდა.

—სასწრაფოდ დაუკავშირდით გერმანიის ელჩს, — მიმართა მოლოტოვს სტალინმა.

მოლოტოვმა უპასუხა, რომ გერმანიის ელჩი გრაფი **ფონ შულენბერგი** თვითონ ითხოვს საგარეო უწყებაში მოსვლას. **ვიაჩესლავ მოლოტოვს** დაევალა, სასწრაფოდ მიეღო გერმანიის ელჩი და დალაპარაკებოდა.

ჟუკოვმა სთხოვა სტალინს, სასწრაფოდ მიეცა მისთვის დირექტივები სამხედრო ძალების ასამოქმედებლად.

— დაველოდოთ მოლოტოვს, — მშიდად უპასუხა სტალინმა.

ცოტა ხანში მოლოტოვმა შეაღო პოლიტბიუროს კარი და განაცხადა:

— გერმანიამ ომი გამოგვიცხადა.

სხდომაზე სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი საკმაო ხანს გაგრძელდა.

ჟუკოვმა გარისკა და სტალინს კვლავ სთხოვა დირექტივა, მოქმედების დროულად დასაწყებად და მოწინააღმდეგის შესაჩერებლად.

— არა, კი არ შევაჩეროთ, არამედ გავანადგუროთ! — შეუსწორა ტიმოშენკომ.

— მომეცით დირექტივის პროექტი, მხოლოდ ერთი პირობით — ჯარებმა, ავიაციის ჩათვლით, არსად დაარღვიონ გერმანიის საზღვარი“.

ამ შემთხვევაში სტალინი ხავსს ეჭიდებოდა, როგორმე თავიდან აეცილებინა ომი გერმანიასთან — ეს უდიდესი კატასტროფა, მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

22 ივნისს, 9 საათსა და 30 წუთზე სტალინმა თავდაცვის მინისტრ ტიმოშენკოსთან და გენშტაბის უფროს ჟუკოვთან ერთად ჩაასწორა ბრძანების ტექსტი და ხელი მოაწერა ბრძანებას საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მობილიზაციის დაწყებისა და სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. იქვე გადაწყდა, რომ დღის 12 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი მიმართავდა საბჭოთა ხალს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესახებ. პოლიტბიუროს არც ერთ წევრს აზრადაც არ გაუვლია, რომ მათ წინაშე იდგა და ბრძანებებს იძლეოდა ავადმყოფი იოსებ სტალინი, რომლის ტემპერატურაც 40 გრადუსს აღემატებოდა.

მოლოტოვიც კი, რომელიც სტალინის უახლოეს ადამიანად ითვლებოდა, ვერ მიხვდა იმ მძიმე მდგომარეობას სტალინისა, რომელსაც ის ავადმყოფობის გამო განიცდიდა და ჩვეულებრივად იკითხა: — რატომ მე და არა სტალინი?

სტალინის ბრძანება შესრულდა. საბჭოთა ხალხს მოლოტოვმა მიმართა, ხოლო წითელმა არმიამ და გამწვევმა პუნქტებმა სტალინის რკინის ხელით ხელმოწერილი ბრძანება მიიღეს ქვეყნის სამხედრო ყაიდაზე გადასვლის შესახებ.

კრემლში 22-მა ივნისმა, ომის პორველმა დღემ, ყოველგვარი პანიკის, ხმაურისა და კამათის გარეშე ჩაიარა. მხოლოდ სტალინის პირადი მდივანი პოსკრებიშევი მოძრაობდა ჩვეულებრივზე მეტად — აზუსტებდა წუთებსა და წამებს, ვინ როდის უნდა შესულიყო და გამოსულიყო სტალინის სამუშაო ოთახიდან.

საღამოს ერთ-ერთ რიგით შემსვლელად გამოცხადებული პროფესორი პრეობრაჟენსკი გაოცებული გამოვიდა სტალინის კაბინეტიდან და უმალვე თავის დღიურში ჩაწერა: **„22 ივნისი, საღამოს 11 საათი — სტალინი აბსოლუტურად ჯანმრთელია“.**

ასე გადაიტანა რკინის კაცმა ანთებითი პროცესი 16 საათში და სრულიად ჯანმრთელი ჩაუდგა სათავეში ქვეყნის თავდაცვას.

**1941 წლის 22 ივნისი (განთიადი) ბრძოლის ველზე** ▶

**«უიარაღო, ტანსაცმელშემოფლეთილი ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა. გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა. ახლოს რომ მოვიდა, მესანგრის ნიჩაბი შემოიხსნა და ძლიერად გვესროლა შეძახილით «ზა სტალინა, ზა როდინუ». ეს არ იყო ვინმეს შიშითა და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა», — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა**



ბრესტის ციხესიმაგრის დაცვა

22 ივნისს, 9 საათსა და 30 წუთზე სტალინმა თავდაცვის მინისტრ ტიმოშენკოსთან და გენშტაბის უფროს ჟუკოვთან ერთად ჩაასწორა ბრძანების ტექსტი და ხელი მოაწერა ბრძანებას საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მობილიზაციის დაწყებისა და სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. იქვე გადაწყდა, რომ დღის 12 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი მიმართავდა საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესახებ. პოლიტბიუროს არც ერთ წევრს აზრადაც არ გაუვლია, რომ მათ წინაშე იდგა და ბრძანებებს იძლეოდა ავადმყოფი იოსებ სტალინი, რომლის ტემპერატურაც 40 გრადუსს აღემატებოდა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**22 ივნისს, 3 საათსა და 40 წუთზე თავდაცვის მინისტრმა, მარშალმა სიმონ ტიმოშენკომ უბრძანა გენშტაბის უფროს გიორგი ჟუკოვს, ეცნობებია სტალინისთვის, რომ გერმანელები ბომბავენ საბჭოეთის ქალაქებს, რომ ომი დაიწყო. ტელეფონის აპარატთან მისულმა სტალინმა, ჟუკოვის მოხსენების მოსმენის შემდეგ, უბრძანა ჟუკოვს, ტიმოშენკოსთან ერთად გამოცხადებულიყო კრემლში. შემდეგ კი პირად მდივანს, ალექსანდრე პოსკრებიშევს, დაავალა, სასწრაფოდ გამოეძახებინა პოლიტბიუროს ყველა წევრი. ომის პირველ დღეს ბრესტის ციხესიმაგრეს გერმანელთა რჩეული ქვეითთა 45-ე დივიზია მიადგა. ალყაში მოქცეული საბჭოთა ჯარისკაცები, ყოველგვარი მძიმე შეიარაღების გარეშე, შაშხანებით იცავდნენ ციხესიმაგრეს. ბოლოს ოთხი ჯარისკაცი და ერთი პოლიტხელი დარჩა ბასტიონში, გარშემო კი ეყარა 483 გერმანელი ოფიცრისა და ჯარისკაცის ცხედრები**

ომის პირველ დღეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქივების გახსნა და ბრძოლის ველიდან მიღებული წერილების შინაარსის გაცნობა, რომლებშიც ფრონტზე არსებულ ვითარებას გერმანული სიზუსტით აღწერდნენ თვით გერმანელი სამხედროები.

* „ჯერ ჩემს თვალებს არ უნახავს, რასაც აქ ბრძოლის პირველ დღეს ვუყურებ. ეს საფრანგეთი არ არის, ჩვენ სულ სხვა ძალას ვებრძვით“, — წერდა ქმარი მეუღლეს ბერლინში.

* „ჩვენ ვეომებით ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან არა სიცოცხლისთვის, არამედ სიკვდილისთვის. მე ვნახე, როგორ წაართვა რუსმა მებრძოლმა გერმანელ ოფიცერს იარაღი და როგორ მოკლა იგი მისივე იარაღით. ეს იყო პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც მკვდარი ვნახე რუსულ მიწაზე, დიდი ბაჯაღლო ოქროს ბეჭდით ხელდამშვენებული“, — გაუგზავნა გერმანელმა უნტეროფიცერმა დეპეშა **ადოლფ ჰიტლერს.**

ადოლფ ჰიტლერმა კი იმავე დღეს მოაწყო მასშტაბური შეხვედრა, რომელზეც განაცხადა:

— მივიღე პირველი ცნობა პირველი გერმანელი ჯარისკაცის დაღუპვის შესახებ, გაფრთხილებთ: ჩვენ ვუპირისპირდებით არმიას, ძალას, რომელშიც იბრძვიან მხეცები და ცხოველები!

* „წარმოუდგენელია ბრძოლაში ასეთი თავგანწირავა. ოთხი რუსი ჯარისკაცი მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა საარტილერიო ბატარეას. ისინი სრულიად დაუცველ ტერიტორიაზე, პურის ყანაში იყვნენ ჩამალულნი“, — წერდა შვილი მამას გერმანიაში.

* „საბჭოთა ტანკის ლუკიდან, როდესაც საბრძოლო მანქანა ალყაში მოვაქციეთ და ტყვია-წამალიც გაუთავდათ, ტანკისტმა ამოყო თავი, ამოვიდა და რევოლვერით აგვიტეხა სროლა. ეს თავგანწირვაა“, — წერდა გერმანელი ოფიცერი თავის მეგობარს ბერლინში.

ომის პირველ დღეს ბრესტის ციხესიმაგრეს გერმანელთა რჩეული ქვეითთა 45-ე დივიზია მიადგა. ალყაში მოქცეული საბჭოთა ჯარისკაცები, ყოველგვარი მძიმე შეიარაღების გარეშე, შაშხანებით იცავდნენ ციხესიმაგრეს. ბოლოს ოთხი ჯარისკაცი და ერთი პოლიტხელი დარჩა ბასტიონში, გარშემო კი ეყარა 483 გერმანელი ოფიცრისა და ჯარისკაცის ცხედრები.

ბრესტის ციხესიმაგრის ტრაგედიით შეძრწუნებულმა გერმანელმა ფელდმარშალმა **ფონ ბოკმა** განკარგულება გასცა, გამოეყვანათ მებრძოლები ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიიდან და ბლოკადა გაეძლიერებინათ.

22 ივნისს ბრესტთან გამართულ ბრძოლას შეეწირა გერმანელთა 483 ოფიცერი და უნტეროფიცერი — ეს სამჯერ მეტია პოლონეთის ბრძოლებში დაკარგულ გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა რაოდენობაზე და ექვსჯერ მეტი — საფრანგეთის დასაპყრობად ექვსთვიან ბრძოლებში დაღუპულ გერმანელთა რაოდენობაზე.

* „ხელჩართულ ბრძოლაში უიარაღო, ტანსაცმელშემოფლეთილი ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა. გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა. ახლოს რომ მოვიდა, მესანგრის ნიჩაბი შემოიხსნა და ძლიერად გვესროლა შეძახილით „ზა სტალინა, ზა როდინუ“. ეს არ იყო ვინმეს შიშითა და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა“, — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა.

1941 წლის 3 ივლისს სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა ხალხს:

**„ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! არმიისა და ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!**

ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რომელიც 22 ივნისს დაიწყო, გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო დივიზიები და ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. ჰიტლერულმა ძალებმა მოახერხეს, ხელში ჩაეგდოთ ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავისი ბომბდამშენების



გერმანელი ფაშისტების სამხედრო ტექნიკა სსრკ-ის ტერიტორიაზე

**«საბჭოთა ტანკის ლუკიდან, როდესაც საბრძოლო მანქანა ალყაში მოვაქციეთ და ტყვია-წამალიც გაუთავდათ, ტანკისტმა ამოყო თავი, ამოვიდა და რევოლვერით აგვიტეხა სროლა. ეს თავგანწირვაა», — წერდა გერმანელი ოფიცერი თავის მეგობარს ბერლინში**




მოქმედების არეალს, ბომბავს მურმანსკს, მოგილოვს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა... მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი ხელით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთობი. იგი მიზნად ისახავს, აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალი ხალხების ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა. გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ თავიანთი თავის მობილიზება და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა... **წითელმა არმიამ, წითელმა ფლოტმა და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ უნდა დაიცვან საბჭოთა მიწა-წყლის ყოველი მტკაველი; სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისთვის; უნდა გამოიჩინონ ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებელი გამბედაობა, ინიციატივა და გამჭრიახობა...** ჩვენ უნდა დავიწყოთ ულმობელი ბრძოლა, ზურგში დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან, მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის მედესანტე პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მტერი ვერაგი და ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა, დაუყოვნებლივ მივცეთ სამხედრო ტრიბუნალის სამართალში განურჩევლად პიროვნებისა ყველა, ვინც თავისი პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს... ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მხოლოდ ორი არმიის ომია, იგი ამასთანავე არის საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელი ფაშისტების ჯარების წინააღმდეგ, ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამ საყოველთაო სახალხო სამამულო ომის მიზანია, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ხალხებს, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ...

იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნან საბჭოთა კავშირის ხალხთა ძალები უკუსაგდებად მტრისა, რომელიც მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა მუშაობას და მოუწოდებს ხალხს, დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმისთვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება!“

გლობალიზაციის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში უდიდესი პოლიტკონსალტინგური კომპანია EURASIA GROUP-ის დამფუძნებელმა, ამერიკელმა პოლიტოლოგმა იან ბრემერმა, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა, კონფერენციისგან მიღებული შთაბეჭდილებები მოკლედ შეაჯამა სოციალურ ქსელში: „გლობალური წესრიგი აშშ-ის მეთაურობით დასრულდა და ის აღარ დაბრუნდება“.**

**2020 წელს უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენციის ოფიციალურად გაცხადებული თემა და ლაიტმოტივი იყო „უდასავლეთობა“ (Westlessness). კონფერენციის ანალიტიკოსების საერთაშორისო (ე.ი., ამერიკულ-ევროპული) გუნდმა კონფერენციის დაწყებამდე გამოქვეყნებულ თავის სპეციალურ ანგარიშში მიუთითა, რომ კოლექტიურმა დასავლეთმა დაკარგა თავისი გავლენა, კარგავს იდენტურობას, საერთო ფასეულობებს — და, საერთოდ, უკვე დროა, დავფიქრდეთ იმაზე, როგორი იქნება მსოფლიო, რომელშიც კოლექტიური დასავლეთის როლი ძლიერ იქნება შეკვეცილი დღევანდელ დღესთან შედარებითაც კი.**

# მიუნხენის შედეგი: «დასრულდა გლობალური წესრიგი აშშ-ის მეთაურობით»



## წელს უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენციამ ამერიკელებზე ნეგატიურ სტერეოტიპებთან მკაცრად შესაბამისად ჩაიარა




და აი სცენაზე კონფერენციისა, რომელიც მიეძღვნა დასავლური იდეოლოგიის, დასავლური ფასეულობების, დასავლური ალიანსების კრიზისისა და დასავლურცენტრისტული მსოფლიოს დაცემას, გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი და თამამად განაცხადა, რომ „დასავლეთი იმარჯვებს“.

საინფორმაციო სააგენტო France-Presse-მა გამოაქვეყნა აშშ-ის დიპლომატიის ხელმძღვანელის პოზიცია:

**„აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ცოტა ხნის წინათ უარყო ევროპელთა პესიმიზმი გლობალური არენიდან ვაშინგტონის უკან დახევის შესახებ, როცა განაცხადა, რომ ტრანსატლანტიკური კავშირის სიკვდილი „ძალიან გადაჭარბებულია“. „დასავლეთი იმარჯვებს და ჩვენ გავიმარჯვებთ ერთად“, — განაცხადა პომპეომ უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენციაზე. ... „მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ ტრანსატლანტიკური ალიანსის სიკვდილი ძალიან გადაჭარბებულია“,** — თქვა მან **მარკ ტვენის** ცნობილი ციტატის პერიფრაზით... მან ხაზი გაუსვა ერთობლივი მუშაობის საჭიროებას რუსეთის ტერიტორიული ამბიციებისგან, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთის სამხედრო ძალების გაძლიერებისა და ახლო აღმოსავლეთში ირანის „ტერორის კამპანიისგან“ მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი შეფის ამ ტირადაში ყველაზე სახალისო არის არა ფაქტობრივი უზუსტობები, რომელთა შემჩნევაც იოლია, თუ ვნახავთ ამერიკელების ძალისხმევის შედეგებს სირიის, ჩრდილოეთ კორეის, ყირიმისა და ირანის მიმართულებებით, ყველაზე სახალისოა ის, რომ ევროკავშირის უკმაყოფილება და კოლექტიური დასავლეთის სიკვდილის კონტაქტაცია საერთოდ არ არის დაკავშირებული იმ ბრალდებებთან, რომლებზეც პასუხის გაცემას ცდილობდა პომპეო.

გერმანიის პრეზიდენტმა **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა** ასე ჩამოაყალიბა პრობლემა (ციტატა CNBC-ის მიხედვით):

**„ჩვენი უახლოესი მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატები, უარყოფს თვითონ საერთაშორისო თანამეგობრობის იდეას „კვლავ დიადი“, ოღონდ მეზობლებისა და პარტნიორების ხარჯზე“,** — განაცხადა შტაინმაიერმა ისე, რომ ტრამპის სახელი არ უხსენებია, მაგრამ გადაკვრით მიუთითა მისი საარჩევნო კამპანიის ლოზუნგზე — „კვლავ ვაქციოთ ამერიკა დიად ქვეყნად!“

შტაინმაიერის ეს პოზიცია მოითხოვს დიპლომატიური გერმანულიდან თარგმნას ჩვეულებრივ ენაზე: ადრე აშშ დიადი იყო დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე, ევროპა აშშ-თან ერთად სარგებლობდა ამ ერთპოლუსიანი (ცივი ომის ეპოქაში — ორპოლუსიანი) მსოფლიოს გარკვეული ბონუსებით, ახლა კი გამოდის, რომ ევროპას, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, გაძარცვას უპირებს მისი ოკეანისგაღმელი პარტნიორი.

ეს ნიშნავს, რომ ბერლინსა და პარიზში ჩნდება კითხვა: **რისთვის გვინდა ისეთი დასავლეთი, რომელშიც აშშ ჩვენს გაძარცვას ცდილობს?** პასუხი ნათელია: „ასეთი კოლექტიური დასავლეთი საჭირო არ არის და შეიძლება გაბედულად დაიწყო წუწუნი იმაზე, რომ ადრე უკეთესი იყო, მაგრამ წარსულს ველარ დაიბრუნებ“.

მსოფლიოში უდიდესი პოლიტკონსალტინგური კომპანია Eurasia Group-ის დამფუძნებელმა, ამერიკელმა პოლიტოლოგმა იან ბრემერმა, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა, კონფერენციისგან მიღებული შთაბეჭდილებები მოკლედ შეაჯამა სოციალურ ქსელში: „გლობალური წესრიგი აშშ-ის მეთაურობით დასრულდა და ის აღარ დაბრუნდება“.

ვაშინგტონსა და ბერლინს, ვაშინგტონსა და პარიზს შორის ურთიერთობებში პრობლემას ქმნის არა **ტრამპი** და მისი ადმინისტრაცია, არამედ ის, რომ მკვეთრად შემცირდა აშშ-ის შესაძლებლობები თავისი პრობლემების იმ ქვეყნების ხარჯზე მოგვარებისა, რომლებიც არ შედიან „კოლექტიურ დასავლეთში“. თვით აშშ-ის ეკონომიკური პრობლემები (მაგალითად, ე.წ. ორმაგი დეფიციტი — სავაჭრო ბალანსისა და ბიუჯეტის, რომელიც ასე აწუხებს აშშ-ის პრეზიდენტს) არ გამქრალა, პირიქით — გაძლიერდა. შესაბამისად, **ვაშინგტონის მცდელობა, აიძულოს ევროპა, ყოველწლიურად გადაიხადოს 370-380 მილიარდი ნატოს (ფაქტობრივად, აშშ-ის არმიისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის) შესანახავად, ეს უცებ გაღვიძებული სიხარბე კი არა, მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალია, ვაშინგტონის აზრით. ანალოგიური ლოგიკა გამოსჭვივის ევროკავშირთან სავაჭრო ომსა და ტრამპის მცდელობას — „მოახრჩოს“ ევროპული კონცერნი Airbus-ი ან გერმანული ავტომწარმოებლებისთვის ტარიფების დაწესებას, შორის.** აქ საქმე ეხება საკუთარი ეკონომიკის გადარჩენის მკაცრ აუცილებლობას, რომლის გამოც ტრამპი მზად არის, ომი გააჩაღოს (ჯერჯერობით — მხოლოდ ეკონომიკური) პეკინთან ან თუნდაც ბრიუსელთან. სახელდობრ, ამის გამო არ დაბრუნდება მყუდრო ამერიკული ცენტრისტული მსოფლიო, რომელზეც ასე ოცნებობდნენ ევროპელები მიუნხენში.

ამ კონტექსტში **ევროკავშირის ლიდერები სხვაგვარად აფასებენ საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მქონე ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: „ევროატლანტიკურ სოლიდარობასა“ და „ეკონომიკურ მიზანშეწონილობას“. ვაშინგტონთან სოლიდარობა სულ უფრო ნაკლებად ფასობს, ხოლო ეკონომიკური ინტერესების როლმა და მნიშვნელობამ მოიმატა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის განცხადების ინტერპრეტაცია რუსეთთან ურთიერთობის შესახებ:**

„ჩვენ დაგვიგროვდა გაყინული კონფლიქტები, კონფლიქტები კიბერუსაფრთხოების სფეროში, სანქციები, რომლებმაც ვერაფერი შეცვალა რუსეთში. მე არ მოგიწოდებთ მათი გაუქმებისკენ, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. ჩვენი სანქციები და კონტრაქციები ისეთივე ძვირი გვიჯდება ევროპელებს, როგორც რუსეთს, რაც პოზიტიური შედეგი არ არის“, — თქვა მაკრონმა.

> **«ჩვენი უახლოესი მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატები, უარყოფს საერთაშორისო თანამეგობრობას იდეას «კვლავ დიადი», ოღონდ მეზობლებისა და პარტნიორების ხარჯზე», — განაცხადა შტაინმაიერმა ისე, რომ ტრამპის სახელი არ უხსენებია, მაგრამ გადაკვრით მიუთითა მისი საარჩევნო კამპანიის ლოზუნგზე — «კვლავ ვაქციოთ ამერიკა დიად ქვეყნად!»**

**ევროპას ჯერ კიდევ შეუძლია, თავისი ფუნდამენტური ინტერესების დაცვას შეეცადოს. მაგალითად, ევროკავშირი უარს ამბობს „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ბლოკირებაზე; ემზადება, დააწესოს გადასახადი ევროკავშირში ამერიკული ინტერნეტკომპანიების მოღვაწეობაზე; მზად არის, ითანამშრომლობს Huawei-თან (კომპანია, რომლის წინააღმდეგაც ამერიკელებს დაწესებული აქვთ სანქციები და რომელიც მიუნხენში პომპეომ პირადად გალანძღა) და ემუქრება აშშ-ს ახალი ტარიფების (არსით — სანქციების) დაწესებით იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები შეეცდებიან, „მოახრჩონ“ Airbus-ი ან ევროპული ავტოკონცერნები.**

ევროპის მცდელობა, მოსწყდეს ვაშინგტონს და იაროს თავისი გზით, მომავალშიც გაგრძელდება. როგორც იან ბრემერმა აღნიშნა, „მცდელობა, იაროს საკუთარი, „მესამე გზით“ უსაფრთხოების თუ სხვა საკითხებში, ძალიან მნიშვნელოვანია ევროპისთვის: იმისთვის, რომ დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ ევროპა არ მოხვდება აშშ-ისა და ჩინეთის ომის შუაგულში და იმისთვისაც, რომ საკუთარ თავს დაუმტკიცოს, „ევროპა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია“.

აქვს თუ არა ევროპას მნიშვნელობა? მსოფლიო პოლიტიკის გუშინდელი აქსიომა შეუმჩნევლად გადაიქცა კითხვად და ეს ევროპისთვის უკიდურესად არასასიამოვნო ემოციური აღმოჩენაა. მით უფრო საინტერესო იქნება ამ კითხვაზე პასუხის ძებნის პროცესზე დაკვირვება.

თუ პირველი — ძალიან გაუბედავი და ზოგჯერ მოუხეშავი — მოქმედებებით ვიმსჯელებთ იმ ევროპული ლიდერებისა, რომლებიც აფასებენ ევროპის თუნდაც მინიმალურ თავისუფლებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ევროპული თავისუფლების გასაღების ძებნას ისინი დაიწყებენ პეკინში და, რა თქმა უნდა, მოსკოვში.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი დღევანდელი დღის გამოწვევებს მოხმარდეს — ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მხარდაჭერას, კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლას, მიგრაციისა და უსაფრთხოების საკითხებს“, — აღნიშნავენ ავსტრიის, დანიის, შვედეთისა და ნიდერლანდების ლიდერები. ახალი პრობლემების მოსაგვარებლად ისინი ევროკავშირს სთავაზობენ გასავლების შემცირებას „შემჭიდროებულობის პოლიტიკაზე“, ე.ი. ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დაფინანსებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა პროგრამის მხარდაჭერაზე.

საბიუჯეტო კრიზისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ღარიბი ნათესავების» ბუნტი: ყოფილი სოციალისტური ქვეყნები მზად არიან ევროკავშირის დასაშლელად

**20 თებერვალს ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები რიგგარეშე სამიტზე შეიკრიბნენ უახლოესი 7 წლის ბიუჯეტზე სამსჯელოდ. Brexit-ის გამო ევროკავშირს მწვავე ფინანსური კრიზისი ემუქრება. წამყვანი სახელმწიფოები გასავლების ოპტიმიზაციას უჭერენ მხარს, შედარებით ღარიბი ქვეყნები კი მოითხოვენ, რომ ძირითადმა დონორებმა მოუმატონ შენატანებს საერთო ბიუჯეტში.**

## ფული არ არის, მაგრამ გაუძელით!

ევროკავშირის ბიუჯეტის განხილვა ყოველთვის გამოირჩევა სისასტიკით, რადგან ლაპარაკია იმაზე, რამდენი უნდა ამოიღო ჯიბიდან საერთო ქვაბში ჩასადებად და, რაც მნიშვნელოვანია, ვის და რა მოცულობით ერგება ეს ფული. ევროპის საბჭოს პრეზიდენტ **შარლ მიშელის** განცხადებით, მიმდინარე წელს „მოლაპარაკებები ყველაზე რთული იყო ევროკავშირის ისტორიაში“, რადგან შეიქმნა ახალი პრობლემა: დიდი ბრიტანეთი გავიდა ევროკავშირიდან და, შესაბამისად, საერთო ბიუჯეტში აღარ გადაიხდის თანხას.

წარმოქმნილ ფინანსურ ნახვრეტს სპეციალისტები 80 მლრდ ევროდ აფასებენ 7 წელიწადში. უნდა გადაწყდეს, რით მოხდება დანაკარგის კომპენსაცია.

ქამრის შემოჭერის აუცილებლობამ მკვეთრად გაამწვავა წინააღმდეგობა დონორ ქვეყნებს, რომელთა ხარჯზეც ხდება ევროკავშირის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილის შევსება, და იმ „ღარიბ ნათესავებს“ შორის, რომელთა ეკონომიკა კრიტიკულად არის დამოკიდებული ბრიუსელის ფინანსურ დახმარებაზე.

დონორები დაჟინებით მოითხოვენ გასავლების შემცირებას და ფინანსური პრიორიტეტების გადახედვას. ე.წ. ეკონომიური ხუთეული — ავსტრია, გერმანია, ნიდერლანდები, შვედეთი და დანია — მოითხოვს, საერთო ბიუჯეტში შენატანები განისაზღვროს მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1%-ით (ამჟამად არის — 1,067%).

ავსტრიის კანცლერმა **სებასტიან კურცმა**, ნიდერლანდების პრემიერმინისტრმა **მარკ რიუტემ**, დანიის პრემიერმინისტრმა **მეტე ფრედერიკსენმა** და შვედეთის პრემიერმინისტრმა **სტეფან ლევენმა** თავიანთი არგუმენტები ჩამოაყალიბეს ერთობლივ სტატიაში, რომელიც Financial Times-მა გამოაქვეყნა.

**„ახლა ჩვენთვის აუცილებელია, გავათვითცნობიეროთ ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი,** — წერენ ისინი. **— ბიუჯეტში შემოსავლები სტაბილური უნდა იყოს ეროვნული შემოსავლების ერთი პროცენტის დონეზე“.**

სტატიის ავტორები მიუთითებენ, რომ დონორების ხარჯები გამუდმებით იზრდება.

**„ევროკავშირში ფინანსური სიმძიმე ქვეყნების სულ უფრო მცირე რაოდენობას აწვება მხრებზე, — აღნიშნავენ ისინი. — ევროკავშირის ბიუჯეტის 75%-ს უზრუნველყოფს ჩვენი 4 ქვეყანა და პლუს გერმანია“.**

ამას გარდა, წამყვანი ქვეყნები მოითხოვენ პრიორიტეტების გადახედვას ევროკავშირის საბიუჯეტო პოლიტიკაში. **„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი დღევანდელი დღის გამოწვევებს მოხმარდეს — ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მხარდაჭერას, კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლას, მიგრაციისა და უსაფრთხოების საკითხებს“, — აღნიშნავენ ავსტრიის, დანიის, შვედეთისა და ნიდერლანდების ლიდერები. ახალი პრობლემების მოსაგვარებლად ისინი ევროკავშირს სთავაზობენ გასავლების შემცირებას „შემჭიდროებულობის პოლიტიკაზე“, ე.ი. ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დაფინანსებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა პროგრამის მხარდაჭერაზე.**

## ქურდის ქურდი ცხონდაო

„ეკონომიურ ხუთეულს“ უპირისპირდება ბლოკი ევროკავშირის უღარიბესი სახელმწიფოებისა, რომლებიც თავს „შემჭიდროებულობის მეგობრებს“ უწოდებენ. ესენია ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყანა, აგრეთვე, **ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, კვიპროსი და მალტა“.**

„შემჭიდროებულობის მეგობრებმა“ 1 თებერვალს პორტუგალიაში შეხვედრაზე მოილაპარაკეს, რომ მხარს არ დაუჭერდნენ „ეკონომიური ხუთეულის“ წინადადებებს. **„ეს ინიციატივები ჩვენს ქვეყნებს წაართმევს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას,** — ნათქვამია მათ დეკლარაციაში. — **2021-2027 წლების შემჭიდროებულობის პოლიტიკის დაფინანსებას მხარი უნდა დავუჭიროთ 2014-2020 წლების ბიუჯეტის დონეზე. არც ერთი სახელმწიფო არ უნდა შეეჯახოს გასავლების მკვეთრ შემცირებას შემჭიდროებულობის ბიუჯეტის ჩარჩოებში“.**

რაც შეეხება ახალ პრობლემებს, „შემჭიდროებულობის მეგობრების“ აზრით, ისინი უნდა გადაიჭრას არა მოქმედი პროგრამების შემცირებით, არამედ ევროკავშირის ბიუჯეტში ეროვნული შემოსავლებიდან შენატანების მომატებით თითქმის მესამედით — მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1,3%-მდე.

ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა რეაქცია: **სებასტიან კურცი ვეტოს დადებით დაიმუქრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყნისთვის მიუღებელია ევროკავშირის ბიუჯეტში მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1%-ზე მეტის შეტანა.**

ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა რამდენიმე დღის წინათ წამოაყენა კომპრომისული ვარიანტი — ეროვნული შენატანების მომატება მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1,1%-მდე. ის სახსრები კი, რომლებიც დააკლდებათ, უნდა დაიფაროს ახალი გადასახადების დაწესებით ციფრულ მონოპოლიაზე, პლასტიკატებზე, სასათბურე აირების გამოყოფაზე და ა.შ.

**ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა მიშელმა ქვეყნები გააფრთხილა: შემჭიდროებულობისა და სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების შემცირება გარდაუვალია. მისი რეკომენდაციით, შემჭიდროებულობის ფონდი 12%-ით უნდა შეიკვეცოს, ევროპის სასოფლო-სამეურნეო ფონდი — 14%-ით.**

ევროპარლამენტმა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ბიუჯეტი, ეს ყველაფერი უკვე უარყო. მასში (ევროპარლამენტში) უმეტესობა ღარიბი ქვეყნებია. „ევროპის პარლამენტი არ დათანხმდება ბიუჯეტს, რომელიც ითვალისწინებს საკვანძო პროგრამების შემცირებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპის ჩამორჩენა ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორებიც არის აშშ და ჩინეთი, — განაცხადა სპიკერმა **დევიდ სასოლიმ**, — ეს ძალიან შორს არის იმისგან, რაც ჩვენ გვჭირდება“.

მან დააზუსტა, რომ პარლამენტარები დათანხმდებიან მხოლოდ ეროვნული შენატანების მომატებას მთლიანი შიდა პროდუქტის 1,3%-მდე. **„ჩვენ გვჭირდება ევროკავშირის ამბიციური საბიუჯეტო პროგრამა“,** — დასძინა სასოლიმ.

## ეგზისტენციალური კრიზისი

ევროკავშირის საბიუჯეტო დისკუსიებში საუბარია არა იმდენად ფულზე, რამდენადაც ევროკავშირის არსებობის აზრსა და მიზნებზე. ბევრი ევროპისთვის მთავარია, რომ მისი მოქალაქეები ცხოვრობდნენ კეთილდღეობაში.

„არსებულ სიტუაციაში საპასუხისმგებლო მიდგომა გამოიხატება გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით პრიორიტეტების შერჩევაში“, — აღნიშნავენ ავსტრიის, დანიის, შვედეთისა და ნიდერლანდების ლიდერები. ყოფილი სოციალისტური ქვეყნები კი ცდილობენ, ევროპას სხვა რამ მოახვიონ თავს — ეს არის რუსეთის შეკავება და გამუდმებით მოითხოვენ ფულს სხვადასხვა პროექტისთვის, რომლებიც ეკონომიკურად სულაც არ არის მომგებიანი, მაგრამ წარმოაჩენს, რომ დამოკიდებული არ არიან მოსკოვზე. ასეთი პროექტია, მაგალითად, რკინიგზა Baltic Rail-ი ან თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალების მშენებლობა.

ასეთი ავანტიურებისთვის „სოლიდარობის მეგობრებს“ ფული არ ენანებათ იმ პირობით, თუ ხარჯებს დაფარავს ბრიუსელი, მაგრამ დონორი ქვეყნების მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

**ევროკომისიამ ერთხმად უნდა მოიწონოს ახალი ბიუჯეტი, რაც, ოპონენტების ხისტი პოზიციის გათვალისწინებით, ჯერჯერობით არარეალურია. „ეკონომიურმა ხუთეულმა“ და „შემჭიდროებულობის მეგობრებმა“ კიდეც რომ გამონახონ კომპრომისი, ის ევროპარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, ევროპარლამენტში კი დათმობის გაგონებაც არ სურთ.**

ასე რომ, ევროკავშირი ახალ საბიუჯეტო ციკლში შეთანხმებული საფინანსო კანონის გარეშე შევა. ეს ნიშნავს, რომ დონორი ქვეყნები შენატანებს იმ დონეზე შეინარჩუნებენ, რომელსაც სამართლიანად ჩათვლიან. „შემჭიდროებულობის მეგობრებს“ კი ერგებათ როლი ღარიბებისა, რომლებიც ერთმანეთში ძიძგილაობენ მდიდარი ბატონის მიერ გადმოგდებული მონეტის დასაუფლებლად.

ამის შემდეგ რა დარჩება თანამშრომლობას სულისკვეთებასა და საერთო ევროპული იდეალებისგან, ძნელი სათქმელია.


შარლ მიშელი

ევროკავშირი ახალ საბიუჯეტო ციკლში შეთანხმებული საფინანსო კანონის გარეშე შევა. ეს ნიშნავს, რომ დონორი ქვეყნები შენატანებს იმ დონეზე შეინარჩუნებენ, რომელსაც სამართლიანად ჩათვლიან. „შემჭიდროებულობის მეგობრებს“ კი ერგებათ როლი ღარიბებისა, რომლებიც ერთმანეთში ძიძგილაობენ მდიდარი ბატონის მიერ გადმოგდებული მონეტის დასაუფლებლად. ამის შემდეგ რა დარჩება თანამშრომლობას სულისკვეთებასა და საერთო ევროპული იდეალებისგან, ძნელი სათქმელია




ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა ბრიუსელში გამართულ 2-დღიან სამიტზე ვერ შეძლეს 2021-2027 წლების ბიუჯეტის შეთანხმება, — განაცხადა ევროპის საბჭოს თავმჯდომარე შარლ მიშელმა. „სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით შეთანხმება, — თქვა მან, — ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ მეტი დრო გვჭირდება“. შეთანხმების მიღწევა გაართულა დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებამ, რომელსაც გერმანიის შემდეგ სიმძლავრით მეორე ეკონომიკა ჰქონდა.**

**Brexit-ის შემდეგ ევროკავშირის ბიუჯეტში დაახლოებით 80 მლრდ-იანი ნახვრეტი გაჩნდა.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართველებისგან განსხვავებით, ფინელებს ეყოთ ჭკუა და ნატოში გაწევრებაზე არც უფიქრიათ, რადგან შეგნებული აქვთ, რომ ასეთ შემთხვევაში დაკარგავდნენ ყველა ბონუსს, რომლებიც რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის წყალობით აქვთ. კარგად გათვალეს, რომ აშშ უბიძგებს მათ რუსეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე შეიარაღებული კონფლიქტებისკენ, რომლებიც აგვისტოს ხუთდღიანი ომის მსგავსი იქნება; გაცნობიერებული აქვთ, რომ რუსებთან კონფრონტაცია ეკონომიკური გაპარტახებით დამთავრდება. მაგალითი თვალწინ უდევთ — საქართველო, უკრაინა, ბალტიისპირეთი. არც ტერიტორიების დაკარგვა ხიბლავთ ფინელებს. მაგალითი კვლავ საქართველოსა და უკრაინის დღევანდელობაა.

# «რეალური ფაქტების შეცნობა ნებისმიერი პოლიტიკის საფუძველია»

**ეს სიტყვები ამოკვეთილია პაასიკივის ძეგლზე ჰელსინკში.
ფინელი ჟურნალისტები, რომლებმაც თავიანთი საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები შეისწავლეს, ირწმუნებიან, რომ 1990-იან წლებში ფინეთს სურდა რუსეთის სისუსტის გამოყენება და სერიოზულად განიხილავდა ნატოში შესვლის შესაძლებლობას. ეს არ მოხდა, რადგან ფინელებმა გადაიფიქრეს.**

სსრკ-ს არც ერთ ქვეყანასთან არ უომია ისე ხშირად და ხანგრძლივად, როგორც ფინეთთან: დარწმუნებით საბჭოთა კავშირ-ფინეთის ოთხ ომზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ასეთ ისტორიულ რეალობას შესაბამის იდეოლოგიურ პროპაგანდას თუ დავუმატებთ, დავასკვნით, რომ ფინურ საზოგადოებრიობაზე ასეთ დაპირისპირებას აუცილებლად დიდი გავლენა უნდა მოეხდინა. ასეც იყო: მეზობელი ქვეყნის საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ ანტისაბჭოთა განწყობილება, არამედ რუსოფობიურიც. ამ თვალსაზრისით ფინელებმა საგრძნობლად გაუსწრეს თავიანთი ახლო ნათესავი ესტონელების იმ ნიმუშსა თუ ვარიანტს, რომელიც 1980-1990-იან წლებში იყო ჩამოყალიბებული. უფრო მეტად **იოზეფ პილსუდსკის** პერიოდის პოლონელებს დაემსგავსნენ.

სხვა საქმეა, რომ ფინელები პოლონელებზე ჭკვიანები არიან არა ინტელექტის თვალსაზრისით, რომელსაც ვერ გაზომავ, არამედ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით. დიდი ომის დასასრულისკენ მათ გონივრულად შეაფასეს საბჭოთა კავშირის აღმატებული ძლიერება და გააცნობიერეს შურისძიების შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ფინეთის შესაძლო გაერთიანებამდეც კი.

**იუჰო კუსტი პაასიკივი** სხვებზე უკეთ გრძნობდა, რა საფრთხე შეიძლება მოჰყოლოდა შექმნილ ვითარებას. საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამშვიდობო ხელშეკრულების პირველი ხელმოწერისას (ტარტუ, 1920 წელი) მან, ყოფილმა პრემიერმინისტრმა, ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს. იგი აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც 1944 წლის თებერვალში შვედეთის ტერიტორიაზე აწარმოა პირველი მოლაპარაკება სსრ კავშირთან სეპარატული მშვიდობის შესახებ, ნახევარი წლის შემდეგ კვლავ პრემიერი გახდა, ხოლო 1946-ში, ჯანმრთელობა შესუსტებული, **მანერჰეიმის** მემკვიდრედ აღიარეს.

პაასიკივი არც მემარცხენე იყო, არც რუსოფობი. იგი იყო რეალისტი და ომით დარბეულ-გაძარცვული ფინეთის მოსკოვისგან თუნდაც ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ყველა დანარჩენ საკითხში დათანხმება გადაწყვიტა.

**1948 წელს მოსკოვსა და ჰელსინკს შორის მეგობრობის დამყარების ხელშეკრულების მაქსიმალურად გასაგები სურათის დასახატავად უნდა გავიხსენოთ შემდეგი: ფინეთმა დაგმო დიდი სამამულო ომისდროინდელი ბევრი თავისი ხელმძღვანელის სამხედრო დანაშაულები. საბჭოთა კავშირს გადაუხადა კომპენსაცია მიყენებული ზარალის დასაფარავად. დათმო ტერიტორიები და უარი თქვა ყველა ტერიტორიულ პრეტენზიაზე. სამხედრო ბაზის ასაშენებლად მისცა სტრატეგიული ნახევარკუნძული პორკალა ჰელსინკიდან 30 კილომეტრის დაშორებით; მთავრობაში შეიყვანა კომუნისტები; დააწესა ცენზურა საბჭოთა კავშირზე კრიტიკული მასალების გამოქვეყნებაზე; ივალდებულა, რომ დაიცავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და არ დაეხმარება სსრ კავშირის მოწინააღმდეგეებს არც ომის შემთხვევაში, არც მშვიდობიანობის ჟამს;** ფინეთის დელეგაცია გაეროში თავს შეიკავებს მოსკოვისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კენჭისყრისას; არასოდეს გამოვა წინააღმდეგი, თუ საბჭოთა კავშირი იქნება მომხრე.



ბორის ელცინი და იუჰო პაასიკივი

**«განსაკუთრებული ურთიერთობის» ასეთ პოლიტიკას უწოდეს «პაასიკივი-კეკონენის ხაზი». მას მხარი დაუჭირა სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ, რომელმაც დემონსტრაციულად გააუქმა მე-16 — კარელია-ფინეთის — რესპუბლიკა, ოდესღაც რომ იყო შექმნილი, როგორც ფინეთის შემოერთების საფუძველი. ფინელებმა სანაცვლოდ მიიღეს მშვიდობიანი ცხოვრების გარანტია, მათ სახელმწიფოებრივ მოდელში ჩაურევლობა, საბჭოთა ზესახელმწიფოსთან მჭიდრო კოოპერაციის წყალობით მოგება, საბოლოო ჯამში — მდიდარი, მშვიდი და სოციალურად უზრუნველყოფილი ისეთი ქვეყანა, როგორიც დღეს არის**

**„განსაკუთრებული ურთიერთობის“ ასეთ პოლიტიკას უწოდეს „პაასიკივი-კეკონენის ხაზი“.** მას მხარი დაუჭირა სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ, რომელმაც დემონსტრაციულად გააუქმა მე-16 — კარელია-ფინეთის — რესპუბლიკა, ოდესღაც რომ იყო შექმნილი, როგორც ფინეთის შემოერთების საფუძველი.

**ფინელებმა სანაცვლოდ მიიღეს მშვიდობიანი ცხოვრების გარანტია, მათ სახელმწიფოებრივ მოდელში ჩაურევლობა, საბჭოთა ზესახელმწიფოსთან მჭიდრო კოოპერაციის წყალობით მოგება, საბოლოო ჯამში — მდიდარი, მშვიდი და სოციალურად უზრუნველყოფილი ისეთი ქვეყანა, როგორიც დღეს არის.**

ამიტომ ფინელებმა სიტყვა არ გატეხეს — საგარეო-პოლიტიკური ხაზი შთამომავლობით გადაეცემოდა პაასიკივის შემცვლელებს, პაასიკივის, რომლის ძეგლზეც ჰელსინკში ამოტვიფრულია: „რეალური ფაქტების შეცნობა ნებისმიერი პოლიტიკის საფუძველია“.

ისიც უნდა ვთქვათ, ეს ყველაფერი კატეგორიულად არ მოსწონდა აშშ-სა და ნატოს: იდეოლოგიურად ფინეთი თითქოს მათი იყო, მაგრამ პოლიტიკურად ვერ ენდობოდა.

ფინეთის ყველა პრეზიდენტი სერიოზულ წნეხში იყო, მაგრამ გაუძლეს: ყოველი ახალი ხელისუფლება ხელს აწერდა იმავე პრიორიტეტებს, რომლებსაც წინამორბედი აღიარებდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დადგა 1991 წელი და საბჭოთა კავშირი დაიშალა.

**ამერიკელების ზეწოლით მეგობრობის ხელშეკრულება გაცილებით სუსტმა ფინეთთან რუსეთის ურთიერთობის შეთანხმებით შეცვალა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ არ ექნებათ ტერიტორიული პრეტენზიები ერთმანეთთან, არ მიაქირავებენ თავიანთ ტერიტორიებს ერთმანეთის მტრებს, ექნებათ რეგულარული კონტაქტები უმაღლეს დონეებზე, რაც, ალბათ, უმთავრესია. გაერთიანების ვალდებულება, მაგალითად, ნატოს შემადგენლობაში ჰელსინკს არ უკისრია.**

**ძნელი არ იყო იმის განსაზღვრა, რომ თავისებური უნიის დაკარგვა ფინეთს ნატოსკენ უბიძგებდა. მათ კიდეც უკარნახეს, გადაედგა ასეთი ნაბიჯი, მაგრამ ფინეთი ასე არ მოიქცა.**

ჩვენგან, ქართველებისგან განსხვავებით, ფინელებს ეყოთ ჭკუა და ნატოში გაწევრებაზე არც უფიქრიათ, რადგან შეგნებული აქვთ, რომ ასეთ შემთხვევაში დაკარგავდნენ ყველა ბონუსს, რომლებიც რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის წყალობით აქვთ. კარგად გათვალეს, რომ აშშ უბიძგებს მათ რუსეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე შეიარაღებული კონფლიქტებისკენ, რომლებიც აგვისტოს ხუთდღიანი ომის მსგავსი იქნება; გაცნობიერებული აქვთ, რომ რუსებთან კონფრონტაცია ეკონომიკური გაპარტახებით დამთავრდება. მაგალითი თვალწინ უდევთ — საქართველო, უკრაინა, ბალტიისპირეთი. არც ტერიტორიების დაკარგვა ხიბლავთ ფინელებს. მაგალითი კვლავ საქართველოსა და უკრაინის დღევანდელობაა.

# იაპონელები ამერიკელი ჯარისკაცების თავხედობამ დაღალა



**ამერიკის არმიის უსაფრთხოების სისტემა დიდ ეჭვს აჩენს. ამაზეა საუბარი იაპონიის ოკინავას პრეფექტურის ვრცელ განცხადებაში, რომელიც 13 თებერვალს მიიღეს და იაპონიის მთავრობასა და შეერთებული შტატების საელჩოს გაუგზავნეს ტოკიოში.**

ამერიკელების საოკუპაციო კონტინგენტი რეგულარულად ატერორებს კუნძულ ოკინავაზე მცხოვრებ იაპონელ მოქალაქეებს. ამ კუნძულის ფართობი 1,2 ათასი კვადრატული კილომეტრია, რომელზეც აშშ-ისა და იაპონიის ყველა სამხედრო ობიექტის 75 პროცენტია განლაგებული.

2019 წლის ბოლოს ადგილობრივმა პარლამენტმა ერთხმად მიღებული დადგენილებით აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს აუკრძალა ჰაერიდან დესანტის გადმოსხმა ავიაბაზა „კადენას“ მახლობლად მჭიდროდ დასახლებული რაიონში, მაგრამ, როგორ ჩანს, ამერიკელებმა აკრძალვა არად ჩააგდეს, რადგან იანვარში კვლავ მოაწყვეს მორიგი საპარაშუტო სწავლება, რომლის მსვლელობისას სადესანტო თვითმფრინავიდან ტვირთი შეცდომით იქაური მცხოვრების კერძო სახლზე ჩამოაგდეს.

იმავე თვეში ოკინავას სანაპიროსთან ჩამოვარდა საბრძოლო ვერტმფრენი SH-60 Seahank. იაპონელებმა გადაარჩინეს ეკიპაჟის ხუთი წევრი, რომლებიც ზღვაში აღმოჩნდნენ ხმელეთიდან 150 კილომეტრით დაცილებულები.

პრეფექტურის დეპუტატები თავიანთ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი შემთხვევები „აიძულებს ადგილობრივ მოსახლეობას, დაეჭვდეს ამერიკის არმიის უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობაში“.

ბანგკოკის შეხვედრის 10 მონაწილიდან 7-მა, რომლებმაც თავი შეურაცხყოფილად მიიჩნიეს შეხვედრის დონის ასეთი დაკნინების გამო, ო’ბრაიენის შეთავაზება უპასუხოდ დატოვა. სამიტზე გარდა ტაილანდის პრემიერისა, რომელიც სამიტის მასპინძელი იყო, „პირველი პირებით“ წარმოდგენილი გახლდათ მხოლოდ ვიეტნამი და ლაოსი, დანარჩენმა ქვეყნებმა საგარეო საქმეთა მინისტრები გაგზავნეს. ასე რომ, ამერიკელი ემისრის მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპოზიციამ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში 3-წუთიან ჩაჯდომას კინაღამ საქართველო გადააყოლა. როგორც ამბობენ, ოპოზიციონერ დეპუტატებს პარლამენტში შესაჭრელად „ზონდერჯგუფებიც“ კი ჰყავდათ მოხმობილი. ახლა ლავროვის ჩამოსვლას ელოდებიან, რომელიც ევროკავშირის მიერ დაგეგმილ კონფერენციას უნდა დაესწროს. ესენი ისევ ააგორებენ გამოსვლებს და შეეცდებიან, სისხლიც დაღვარონ. იმის ნაცვლად, რომ საკუთარ მოედანზე მთელი ევროპის გასაგონად უთხრან სათქმელი, არეულობას გეგმავენ.**



# საით მიდიხარ, ჩემო ქვეყანავ?!

**ოპოზიციის წევრები პარლამენტში თითქმის არ დადიან, მხოლოდ ხანდახან შეივლის ზოგიერთი ჰაერის გასაფუჭებლად... თუმცა ხელფასს ისინიც და მათი კოლეგებიც სრულად იღებენ. ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ხალხის ფულს ისე იღებენ, სამუშაოზე არც კი ცხადდებიან? ეს ხომ ულირსი საქციელია, მაგრამ მათთვის ამის მთქმელიც არავინაა. რატომ? ესეც გასარკვევია**

**დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება ეროვნული სიბრძნე და გონიერება, შეუცდომელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საქმის გამკეთებელი მთავრობა, ინტელექტუალური პარლამენტი და გაწონასწორებული ოპოზიცია. ქართველებში ისტორიულად ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, მის პრობლემებზე მოფიქრალი ადამიანები, რომლებიც არ ჩანან და მათ არც არავინ ეძებს. თუ ვინმე თავისით გამოჩნდა, მას სვავებივით დააცხრებიან ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. ხომ ვხედავთ, რა დღეში აგდებენ ბატონ პრემიერმინისტრს, იმიტომ, რომ ძლიერია. ასეთების ეშინიათ. მაგალითი ბევრია.**

საქართველო, სამწუხაროდ, მედროვეების ხელშია ჩავარდნილი და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა, ალბათ, ისევ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რომელიც ნაკლებად აქტიურია.

**ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ბრძოლა იმ პრივილეგიების გამო მიმდინარეობს, რომლებიც მმართველ გუნდს ჰქონდა და აქვს: მაღალი ხელფასები, სამჯერ მეტი პრემიებითა და დანამატებით და სხვა უამრავი სიკეთე. ხალხი და მისი კეთილდღეობა კი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ და ისიც... მორიგი დაპირებების მისაცემად, რომლებსაც ტრადიციულად არავინ შეასრულებს.**

შეიძლება ზოგიერთმა ჩვენმა მკითხველმა კიდეც იცის, მაგრამ მე სხვების გასაგონად მოვიხმობ ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმო ფაქტს. ისრაელის სახელმწიფოს პირველ პრემიერმინისტრ **ბენ-გურიონს** პირველი თვის ხელფასი რომ მიუტანეს, იკითხა, რამდენიაო საშუალო ხელფასი ქვეყანაში. უპასუხეს და გაირკვა, რომ მისი ხელფასი 20-ჯერ აღემატებოდა საშუალოს. მაშინ მან ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ასეთი სხვაობა უსამართლობაა, რომ პრემიერის ანაზღაურება საშუალოზე, მაქსიმუმ, 5-ჯერ მეტი უნდა იყოს, მინისტრების — ამაზე ოდნავ ნაკლები, ხოლო პერსპექტივაში მთავრობის წევრების ხელფასები უნდა დადგინდეს საშუალო ხელფასის ზრდის ან შემცირების პროპორციულად.

მან სასამსახურო მანქანაზეც უარი თქვა და თავისი ძველი „მერსედესით“, რომელსაც თავადვე მართავდა, გადაადგილდებოდა.

**რაღაც არ მახსოვს (თუ ვცდები, გამისწორონ), რომ ქვეყანაში მთავრობის წევრებიდან ვინმეს უარი ეთქვა მაღალ ანაზღაურებაზე. მე ხაზს ვუსვამ მთავრობის წევრობას და ამასვე ვიტყვი სახალხო რჩეულებზე, პარლამენტის წევრებზე.**

დღევანდელი საქართველო ბრძოლის ველს ემსგავსება, ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანას (და არა ხელისუფლებას) რაც შეიძლება მტკივნეული დარტყმებით ავნოს. არც ხელისუფლების ნაწილია ინერტული, ისიც იბრძვის.

**კარგად გვახსოვს, როგორი ზარ-ზეიმით წარმოგვიდგინეს 2016 წლის პარლამენტის „ახალი სახეები“, რომლებმაც ასევე ზარ-ზეიმით უღალატეს „ოცნებას“ და საქვეყნო საქმეს, ხოლო ყველაზე კრიტიკულ მომენტში „ახლების“ ნაწილმა კიდეც დატოვა უმრავლესობა, ზოგიერთმა — პარლამენტიც.**

**რაც შეეხება ოპოზიციას, მისი წევრები პარლამენტში თითქმის არ დადიან, მხოლოდ ხანდახან შეივლის ზოგიერთი ჰაერის გასაფუჭებლად... თუმცა ხელფასს ისინიც და მათი კოლეგებიც სრულად იღებენ. ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ხალხის ფულს ისე იღებენ, სამუშაოზე არც კი ცხადდებიან? ეს ხომ ულირსი საქციელია, მაგრამ მათთვის ამის მთქმელიც არავინაა. რატომ? ესეც გასარკვევია.**

მაოცებს ისიც, რომ „ქართულმა ოცნებამ“ განათლებული ადამიანები ჩვენს საზოგადოებაში საერთოდ „ვერ იპოვა“. იქნებ ცუდად ეძებენ ან არც ცდილობენ ღირსეული პიროვნებების პოვნას? ასეთი ეჭვი თავისთავად ჩნდება, რადგან ღირსეული მოქალაქენი, ჭეშმარიტი პატრიოტები და პროფესიონალები ქვეყანაში ნამდვილად გვყავს. მათი დაუნახაობა წარმოუდგენელია.

თუ არ გინდა, რომ არ დაინახო!

**„გაერთიანებული ოპოზიცია“ გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადება. ძალიან აქტიურობენ ტელეეკრანებიდან. სწორედ ამ რევანშისტულ ძალას გასცემენ პასუხს ის ღირსეული პიროვნებები, რომელთა პოვნასაც „ვერ ახერხებენ“ ხელისუფლებაში მყოფნი.**

მე საქართველოს დამოუკიდებლობის თითქმის ყველა ეტაპის მომსწრე და მონაწილეც ვარ. კარგად ვიცნობდი **მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძეს,** აფხაზეთის არაფორმალებს. მერაბი ხშირად ატარებდა მიტინგებს ჩვენი ინსტიტუტის (მაშინ სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი ვიყავი) მოედანზე. იყო მწვავე კრიტიკა, მაგრამ არა ლანძღვა, როგორც დღეს ხდება, თითქოს გადავჯიშდით.

ერთხელ გვაცნობეს, რომ კელასურიდან პარტიის საოლქო კომიტეტის შენობის დასარბევად ვეებერთელა მასა დაიძრა, რომელსაც მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და არაფორმალების სხვა ლიდერები მიუძღოდნენ.

გვაცნობეს ისიც, რომ საოლქო კომიტეტის შენობაში შესული იყო ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯარის ნაწილი.

მანქანით ძლივს გავარღვიეთ მომიტინგეთა მასა და წითელ ხიდთან მე და პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ზურაბ ერქვანია** წინ გადავუდექით დემონსტრანტებს. მერაბი დაფიქრდა და მითხრა: მოდი, ასე მოვიქცეთ — ჩვენ ლენინის მოედნისკენ წავალთ და იქ სახელდახელო მიტინგს ჩავატარებთ და დავიმალებითო. საღამოს კი დამირეკა და მადლობა გადამიხადა: შევამოწმე და შენ მართალი იყავიო. ის ბრძენი კაცი იყო და ენდო ჩემს სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტი ვიყავი.

**იქნებ მითხრას ვინმემ, რა მოვიგეთ იმით, რომ დსთ დავტოვეთ?** — არც არაფერი! დავკარგეთ კი ის შედარებით ნეიტრალური სივრცე, რომლის საზღვრებში ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის ლიდერები დღესაც იკრიბებიან და თამამად საუბრობენ ყველა იმ პრობლემაზე, რომლებიც მათ ურთიერთობაში წარმოიქმნება. **საზოგადოებამ ვერც ის გაიგო, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ რა სარგებელი მოგვიტანა. ეს ხომ უმნიშვნელოვანესი ბერკეტი იყო რუსეთთან სალაპარაკოდ! დაიბარებდნენ რუსეთის ელჩს საგარეო საქმეთა სამინისტროში და „საკუთარ მოედანზე“ გაურჩევდნენ საქმეს და არ დავრჩებოდით „გირჩის“ უკანალის ჩვენების დიპლომატის ამარა.**

რატომ დავარბიეთ ერგნეთის ბაზრობა, სადაც ადამიანები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, საერთო ბიზნესიც ჰქონდათ, ფულსაც შოულობდნენ და უპრობლემოდ მიმოდიოდნენ ე.წ. საზღვარზე? — არ გვყავდა ჭკვიანი მთავრობა და იმიტომ.

**ვინ უფრო ზარალდება იმით, რომ არ გვაქვს აფხაზეთთან რკინიგზა გახსნილი? საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვა 60 პროცენტითაა შემცირებული. კარგია იდეის დონეზე ანაკლიის პორტი, მაგრამ ეს პროექტი ისე სასწრაფოდ ჩაიგდეს ხელში საქმოსნებმა, რომ მხარეთა ვალდებულებები გამოკვეთილიც არ იყო. სამაგიეროდ ზოგიერთმა დიდძალი ფული იშოვა: არც ის საფრთხეები გაუთვალისწინებია ვინმეს, რომლებიც შეიძლება სამეგრელოს და, საერთოდ, შავი ზღვის სანაპიროს დაემუქროს. ასე საქმე არ კეთდება...**

ოპოზიციამ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში 3-წუთიან ჩაჯდომას კინაღამ საქართველო გადააყოლა. როგორც ამბობენ, ოპოზიციონერ დეპუტატებს პარლამენტში შესაჭრელად „ზონდერჯგუფებიც“ კი ჰყავდათ მოხმობილი. ახლა ლავროვის ჩამოსვლას ელოდებიან, რომელიც ევროკავშირის მიერ დაგეგმილ კონფერენციას უნდა დაესწროს. ესენი ისევ ააგორებენ გამოსვლებს და შეეცდებიან, სისხლიც დაღვარონ. იმის ნაცვლად, რომ საკუთარ მოედანზე მთელი ევროპის გასაგონად მას უთხრან სათქმელი, არეულობას გეგმავენ. ლავროვი რომ არ ჩამოვიდეს (და, ალბათ, ასეც მოხდება), მაშინ რა იმიჯიც გვექნება ევროპის ქვეყნებში, იოლი მისახვედრია, მაგრამ ეს ოპოზიციას არ ანაღვლებს.

**„გაერთიანებული ოპოზიციის“ გამოკვეთილი ლოზუნგია: „რაც უფრო ბევრ ცოდვას ავკიდებთ „ოცნების“ ხელისუფლებას, მით უკეთესი ჩვენთვის“. აღიარებენ ამით თავიანთ ქვეზუდანობას. ამასთანავე, გვპირდებიან: მოვალთ და აგაყვავებთო. აშკარად ცრუობენ, გვატყუებენ. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას კარგად ახსოვს ის სისხლიანი წვიმები, რომლებიც თქვენმა, საქართველოდან გაქცეულმა ფიურერმა და მისმა ბანდამ დამართეს ჩვენს ქვეყანას.**

„**ივანიშვილმა** მოგვატყუა ჩვენც, მთელი ევროპაც და კოსმოსიც“, — გაიძახიან გაუთავებლად. ივანიშვილის დამცველად მე არ გამოვდგები, მაგრამ მკითხველს შევახსენებ, რომ იგი თავისიანებმაც „გადააგდეს“, როდესაც მისი „საარჩევნო ფორმულა“ პარლამენტის უმრავლესობამ ჩააგდო. ივანიშვილმა დანაპირები არც ჩვენ შეგვისრულა — არ დაგვიბრუნა სააკაშვილის მიერ წართმეული ქონება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ქართული ოცნების“ უპირატესობა უდავოა, **რუსეთთან გაყინული ურთიერთობა მან ვერ მოაგვარა. მე რუსეთს კარგად ვიცნობ, ასპირანტურა მოსკოვში დავამთავრე, ვიყავი რუსეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი (ამჟამად — უცხოელი წევრი), მყავდა ბევრი მეგობარი და ა.შ., ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთს უნდა ველაპარაკოთ, მით უმეტეს, რომ მას ჩვენ ვჭირდებით, როგორც მის მიმართ კეთილად განწყობილი ქვეყანა და ისიც გვჭირდება ჩვენ, მაგრამ პროცესი გაყინულია. რატომ? — აი კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს.**

საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორი იყო და რჩება აშშ, მაგრამ ამით ხელი არ უნდა შეეშალოს რუსებთან ჩვენი ურთიერთობის მოგვარებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი სწორედ რუსეთია.

რუსეთი რომ იმპერიული სახელმწიფოა, ყველამ იცის, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? ვეომოთ? ვერ მოვერევით. გვრჩება ერთადერთი გზა — მოლაპარაკება. ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს გაბედულად და არა იმის შიშით, თუ რას იტყვის ოპოზიცია.

კარის მეზობელთან კარგ ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს, მით უმეტეს, თუ შენი მეზობელი დათვია.

საქართველო რომ გაბრწყინდება, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ როდის? ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
აკადემიკოსი

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ძნელია, პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერ და ყოვლად თავს მოსაწონებელს გულთა ძვრას და გასამხნევებლად თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა“. მაგრამ ილია ამავე დროს სტუდენტებს სთხოვს, რომ პატიოსან გულთა ძვრას ცივი ანგარიში დაუყენონ წინ, რადგან სტუდენტურ გატაცებას ზიანის მოტანა შეუძლია მათთვის, ბერძნებს კი დეპეშა ბევრს არაფერს არგებთ.

# ილიამ სტუდენტებს ურჩია, ევროპაზე დაყრდნობის ნაცვლად, «მეტი გაეკეთებინათ საქართველოსთვის»

## რატომ არ ელოდა ილია საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №6

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის განვითარებასთან ერთად, ევროპის პოლიტიკურ დღის წესრიგში ერების დამოუკიდებლობისა და მათთვის სუვერენული უფლებების მინიჭების საკითხი დადგა. საერთო პოლიტიკურმა კლიმატმა შექმნა ნიადაგი ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებისთვის. ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, რუსეთისა და თურქეთის იმპერიების მიერ ასიმილაციური პოლიტიკის განვითარების ფონზე იზრდებოდა ავტონომიისა და თვითგამორკვევის მოთხოვნა.

წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ, მას შემდეგ, რაც 1897 წელს, კუნძულ კრეტაზე ოსმანთა ბატონობის წინააღმდეგ ბერძენთა აჯანყებით დაწყებული თურქეთ-საბერძნეთის ომი დასრულდა, პეტერბურგის ქართველი სტუდენტები საქართველოს თვითგამორკვევის საკითხისადმი ევროპის მხარდაჭერაზე დაფიქრდნენ. მკითხველთა თხოვნით, ამ საკითხს ამჯერად უფრო ვრცლად შევეხებით:

ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბერძენთა განმათავისუფლებელ ომს (1821-1829) საბერძნეთის დამოუკიდებლობა მოჰყვა, მაგრამ კრეტა ოსმალთა ხელში დარჩა. ამის შემდეგ კუნძულზე რამდენჯერმე მოხდა აჯანყება საბერძნეთთან შეერთების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. 1896 წლის მაისში კი კრეტაზე კვლავ დაიწყო აჯანყება. დიდი სახელმწიფოები (პირველ რიგში — ინგლისი) კრეტის საბერძნეთისთვის შეერთებას მხარს არ უჭერდნენ. რუსეთი წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ არ უნდოდა საბერძნეთის ჩრდილოეთისკენ გაფართოება. 1897 წლის მაისში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ჩარევამ საბერძნეთ-ოსმალეთის ომი შეაჩერა (ერთი წლის შემდეგ თურქეთმა კრეტადან ჯარი გაიყვანა, კრეტამ ავტონომია მიიღო და იქ საერთაშორისო სამშვიდობოები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია) ჩადგნენ. 1908 წელს კრეტის ბერძნულმა ადმინისტრაციამ თურქეთის შიდა არეულობით ისარგებლა და საბერძნეთთან შეერთება გამოაცხადა. საბერძნეთმა კი ეს შეერთება 1912 წელს ცნო).

გაზეთი „ივერია“ 1897 წელს ფართოდ გამოეხმაურა ბერძენთა აჯანყებას კუნძულ კრეტაზე. თავად ილია ჭავჭავაძემ კი ამ თემაზე „ივერიაში“ ორი წერილი გამოაქვეყნა (10 თებერვალსა (№22) და 13 მარტს (№ 48).

საბერძნეთის ამბებს თვალს ადევნებდა ასევე პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა, რომელთა შორის ბევრნი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ. იმხანად სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე გახლდათ სამსონ ფირცხალავა, შემდეგ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე; ხოლო მდივანი — ვიქტორ კალანდაძე. სწორედ მათ სტუდენტების სახელით 1897 წელს წერილობით მიმართეს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იმხანად გაზეთ „ივერიას“ ხელმძღვანელობდა, და გიორგი წერეთელს — გაზეთ „კვალის“ რედაქტორს: **დაუჭერდნენ თუ არა მხარს ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს თვითგამორკვევას.**

ილია ჭავჭავაძის პასუხში, რომელიც 5 აპრილსაა დაწერილი, ვკითხულობთ, რომ იგი მიესალმება სტუდენტთა სურვილს: „ძნელია, პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერ და ყოვლად თავს მოსაწონებელს გულთა ძვრას და გასამხნევებლად თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა“. მაგრამ ამავე დროს სტუდენტებს სთხოვს, რომ პატიოსან გულთა ძვრას ცივი ანგარიში დაუყენონ წინ, რადგან სტუდენტურ გატაცებას ზიანის მოტანა შეუძლია მათთვის, ბერძნებს კი დეპეშა ბევრს არაფერს არგებთ, ამიტომ სტუდენტებს ურჩევდა: **„ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას.**

ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი“.

„შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ ჩვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან...“ ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა“.

პავლე ინგოროყვას ცნობით, ჩვენამდე მოღწეულია ილია ჭავჭავაძის წერილის შავი ვარიანტიც და საბოლოო ტექსტიც, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც ჩანს, ილიას წერილზე ბევრი უფიქრია და გადაწერის დროს ტექსტი გადაუმუშავებია და შეუვსიაო.

ნათელია, რომ ის დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მსგავს საკითხებს, რამეთუ ერთი არასწორი ნაბიჯიც კი, შესაძლოა, საბედისწერო გამხდარიყო მთელი ერისთვის. ილია კარგად ხედავდა მსოფლიოში შექმნილ რეალურ სურათს, რომელიც ნამდვილად არ იძლეოდა ევროპის იმედად ყოფნის საბაბს, მაგრამ ერის მამა ცდილობდა, დაემკვიდრებინა ის სამოქალაქო ეთიკა, რომელსაც სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით



**დასავლეთი, ევრო-ამერიკული სივრცე, ამკვიდრებდა. ამიტომ ის სწრაფად ეხმიანებოდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, როგორც პუბლიცისტიკის, ასევე მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით.**

**წინა ნომერში დაბეჭდილ მასალაში აღვნიშნე და აქაც გავიმეორებ, რომ, მიუხედავად იმისა, ილია ღიად აკრიტიკებდა რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას საქართველოში, ოსმალური და სპარსული მუსლიმური არმიებისგან სანდო თავდაცვის ერთადერთ საშუალებად მაინც ქრისტიანულ რუსეთს მიიჩნევდა.**

**რატომ არ ელოდა ილია საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან, ისევ ამ დიდი მამულიშვილის პუბლიცისტიკაში ვიპოვით პასუხს:**

### ტფილისი, 15 თებერვალი, 1886წ.

მესამე დიდი სახელმწიფო ევროპისა არის **ავსტრო-ვენგრია**. მას აქეთ, რაც ნაპოლეონ III-ის პოლიტიკამ ხალხთა ერთმანეთში განწყობისა და მოთავსებისათვის დედააზრად გვარტომობა, ანუ, ვრცლად რომ ვსთქვათ, **ეროვნება წამოაყენა**, — ამ დედააზრმა ძლიერ გაშალა ფრთა. ამ დედააზრმა ერთად მოუყარა თავი იტალიას და დააბინავა, ამავე დედააზრმა შეაერთა გერმანიაცა და დღეს ჯერი სლავიანებზედ არის მიმდგარი. ეს დევი დედააზრი, ერთხელ გაღვიძებული, ერთხელ დაძრული, იმოდენად ძლიერია, რომ დღეს მის მიერ უკან დახევა შეუძლებელია და არც ჯერ სხვა მისი მსგავსი არა არის რა ევროპაში, რომ წინ დაუდგეს და გამკლავება გაუბედოს.

ეგრეთ წოდებულის აღმოსავლეთის საქმის ძირი ამ დედააზრის მოძრაობაა სლავიანების სამეოხედ. **ისტორიის მსვლელობამ ყველაზედ მეტად სამს დიდს სახელმწიფოს ევროპაში გაუნაწილა სლავიანები: ერთი რუსეთია, მეორე ავსტრია და მესამე ოსმალეთი.** რადგანაც ყველანი ჰგრძნობენ, რომ ოსმალეთს ანდერძი უკვე აგებული აქვს ევროპაში, და გაჭირება მარტო იმაშია — მისი სამკვიდრო როგორ გაინაწილონ, ამიტომაც დანარჩენს ორს სახელმწიფოს თვალი ჰრჩებათ ოსმალეთის სლავიანებზედ და თვითოეული ჰსცდილობს თუ სრულიად არა, დიდი ლუკმა მაინც მოიჭრას თავისთვის. აშკარაა, რომ საცა უფრო მრავალი სლავიანები თავს მოიყრიან, დანარჩენებსაც ზემოთ ხსენებული ეროვნებური დედააზრი პირს იქით აქმნევინებს, და თუ დროებით ვისმე შეჰრჩებიან, ბოლოს ხელიდამ გამოეცლებიან. ავსტრიას რომ ეს საქმე დაემართოს, თითქმის ცარიელზედ უნდა დასჯდეს და პირველხარისხოვან სახელმწიფოის ტახტიდამ კარგა ძირს ჩამოჰხტეს. ამისთანა ყოფაში ჩავარდნას, რა თქმა უნდა, ავსტრია არ მოინდომებს, და არც სხვა სახელმწიფონი მიიყვანენ საქმეს აქამდე, რადგანაც ეგრეთ წოდებული „უღელი ევროპის სასწორისა“ გამრუდდება და ერთმხრივ გადიწევს დანარჩენთა საფრთხალად და სამუქაროდ. აქედამ ცხადია ჯერ ისა, რომ **ავსტრიისა და რუსეთის შორის მეტოქეობა ევროპაში იქიდამ წარმომდინარეობს, რომ ერთსაც უნდა სლავიანთა დედააზრის მატარებელი და განმახორციელებელი იყოს და მეორესაც, მეორე ისა, რომ ევროპაც მოწადინებულია, ავსტრია ძლიერი იყოს, და ამიტომაც ყოველ შემთხვევაში ესარჩლება, ჰფრთხილობს, არავის გააქელვინოს და ეხლანდელი ძლიერება მაინც შეარჩუნოს.**

ავსტრო-ვენგრიაში უფრო სამი გვარ-ტომობის ერია მომწყვდეული, ვენგერები ან უმადიარები, ნემენცები და სლავიანები. ეს უკანასკნელნი კარგა მოზრდილს ნაწილს შეადგენენ. ვიდრე ავსტრია გერმანიიდამ გამოიძევოდა, რასაკვირველია, მისი არსებობა ნემენცთა გვარტომობაზედ იყო დამყარებული და ყოველი სხვა გვარტომობის ხალხი ნემენცთ გვარტომობას ენაცვლებოდა. **ბისმარკის ოსტატურმა პოლიტიკამ ჯერ 1859 წელს შეარყია ავსტრიის მბრძანებლობა გერმანიაში და მერმე 1866 წელს ასეთი საქმე დააწია, რომ ავსტრია კუდაკრეფილი სრულად გამოაძია გერმანიიდამ.** ამ ამბავმა იმავ დღეს აიძულა ავსტრია, თვისთა დანარჩენთა ხალხთა შორის ამოერჩია ერთ-ერთი უფრო ძლიერი, უფრო მომზადებული, და იმაზედ დაემყარებინა თვისი პოლიტიკური აგებულება და კეთილდღეობა. ამისთანანი აღმოჩნდნენ მადიარები. რადგანაც, ერთის მხრით, ძველი ტრადიციები ჰაბსბურგის გვარეულობისა, რომელიც დღეს ჰხელმწიფობს ავსტრო-ვენგრიაში, ნემენცობას არ ავიწყებს ავსტრიასა, და უამისოდაც ავსტრიის ნემენცობა ასე თუ ისე ძლიერად ზედმოქმედობს საქმეთა მიმდინარეობაზედ, და მეორეს მხრით მადიარობა ძლიერი აღმოჩნდა თავისის ეროვნებურის ძალღონიერობითა, — ამიტომაც ავსტრია იძულებული შეიქმნა გაორთავებულიყო, თუ ესე შეიძლება თქმა: ორ ცალკე მომქმედ ნაწილად გაიყო, ერთი იმიერლეიტანია და მეორე ამიერლეიტანია (ცისლეიტანია და ტრანსლეიტანია). ორსავე ნაწილს ცალ-ცალკე სამინისტრო აქვს, ცალ-ცალკე პარლამენტი თვითოეულის საკუთარ საქმეების გამგეობისა და მმართველობისათვის. ერთობა ამ ორ თანაწილთა შორის განხორციელებულია ჯერ იმითი, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ, და მეორე იმითი, რომ ჯარი და სახელმწიფო ფინანსები საერთოა და საერთო სახელმწიფო საქმეებში ერთად იღვწიან და მოქმედობენ. ამ სახით, სლავიანთა მოძრაობაა ის ქსელი ავსტრიის გარეთა საქმეებისა, რომელშიაც გაბმულია დღეს ავსტრო-ვენგრია. გარდა ამისა, თვითონ ნემენცები ავსტრიისა გერმანიისაკენ ძალიან მიიზიდებიან. ესეც ერთი თოკის წვერია, რომელიც ხელთ უპყრია ბისმარკსა და რომელიც ჰხლართავს ერთმანეთში ავსტრო-ვენგრიის და გერმანიის საქმეებსა. ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ **ავსტრო-ვენგრია ერთს ადგილს მომწყვდეული სახელმწიფოა და ხმელეთიდგან ზღვისაკენ გზა არა აქვს. ესეთი მდებარეობა აიძულებს ავსტრო-ვენგრიას, ხმელთაშუა ზღვისაკენ გასავალი გაიხსნას ადრიატიკის ზღვითა. ეს ვერაფრად უხდება ჯერ ინგლისსა და მერე იტალიასაც, რომელსაც გარდა ამისა იმისი წყურვილიცა აქვს, რომ ტრენტინო და ტრიესტი, ეხლა ავსტრიის სახელმწიფოში მომწყვდეული, შემოიერთოს, რადგანაც ტრენტინოსა და ტრიესტში უფრო მომეტებული ნაწილი იტალიელები არიან. აი, რა თოკები ეზიდება ავსტრო-ვენგრიის საგარეო საქმეებსა.**

### ტფილისი, 17 თებერვალი, 1886 წ.

**ავსტრიას ბედმა არგუნა და შინაურ საქმედ გაუხადა ერთი რთული, მძიმე და მეტად შესანიშნავი საქ-** ▶

«შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ ჩვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.
«საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან...»
ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა»

**„დღევანდლამდე კაცობრიობა თითქმის დარწმუნებულია, რომ თუ ერთმა გვარტომის ერმა მეორე არა ჰყლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელიაო. თუმცა ახალმა ისტორიამ ბევრი მაგალითები უჩვენა ქვეყანას ამისი წინააღმდეგი, მაგალითებრ, ჩრდილო ამერიკის შტატები, შვეიცარია, საცა სხვადასხვა გვარტომის ერნი ისე სამართლიანად და მშვიდობიანად ერთმანეთში მოთავსებული არიან, რომ ერთობა სახელმწიფოსი არამც თუ ჰკარგავს რასმე, არამედ მტკიცედ და ფეხმაგრად ჰსდგას“.**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მე. ეგ საქმე სხვადასხვა გვარტომობის ერის მოთავსებაა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ისე, რომ არც გვარტომობას ევნოს რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა. **დღევანდლამდე კაცობრიობა თითქმის დარწმუნებულია, რომ თუ ერთმა გვარტომის ერმა მეორე არა ჰყლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელიაო.** თუმცა ახალმა ისტორიამ ბევრი მაგალითები უჩვენა ქვეყანას ამისი წინააღმდეგი, მაგალითებრ, ჩრდილო ამერიკის შტატები, შვეიცარია, საცა სხვადასხვა გვარტომის ერნი ისე სამართლიანად და მშვიდობიანად ერთმანეთში მოთავსებული არიან, რომ ერთობა სახელმწიფოსი არამც თუ ჰკარგავს რასმე, არამედ მტკიცედ და ფეხმაგრად ჰსდგას.

იყო დრო, როცა სხვადასხვაობა სარწმუნოებისა ქვეყანას ეგონა მოუთავსებელი სახელმწიფოს ერთობასთან. იყო დრო, როცა რწმენად ჰქონდათ მიღებული, რომ თუ ერთსა და იმავე სახელმწიფოში სხვადასხვა რჯულის მკვიდრნი არიან, ერთობა სახელმწიფოსი სიზმარიაო. ბევრი სისხლი დაანთხია კაცობრიობამ, ბევრმა სახელმწიფომ შეალია თვისი დრო, თვისი სიმდიდრე, თვისი ღონე ამ ცდომილებას: ისპანია, ერთხელ განთქმული და ზარი ევროპისა, თითქმის მიწასთან გასწორდა ამის გამო და მას აქეთ ველარ გამომდგარა; საფრანგეთსაც კინაღამ იგივე არ დაემართა. ხოლო სახელოვანმა რეფორმაციამ და მისმა მომდევარმა დრომ თვალსაჩინოდ დაანახვა ქვეყანას, რომ **სხვადასხვაობა სარწმუნოებისა სრულიად არაფერს უშლის ერთობას და ძლიერებას სახელმწიფოისას.** გამარჯვება რეფორმაციისა, სხვათა შორის, ამ ცდომილების დამარცხებაც იყო. რომ სხვადასხვაობა სარწმუნოებისა მართლადა არ უშლის სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას, ამისი მაგალითები მრავალი გვიდგა თვალწინ. რაკი კაცობრიობა ამას გადაურჩა და დაიძრა გვარტომობის დედააზრი, ჯერი გვარტომობის საქმეზედ მისდგა. ამისი რთული, მრავალწვერი ნასკვი ყველაზედ მეტად აქ, ავსტრიაში, გამოინასკვა და ავსტრიის დღევანდელი შინაური ტკივილი ეგ არის. ეგ ტკივილი მთელს აგებულებაში აქვს გამჯდარი ამ სახელმწიფოს და ისეთი ძნელი ტკივილიც არის, რომ შესაძლოა, ავსტრია ან სულ თან გადაიტანოს, თუ რიგიანი წამალი ვერ მოუხერხდა, ან სულ გამოაცოცხლოს, და როგორც ჯანმრთელი, საღი სახელმწიფო, ახლად გადახალისებული, ფეხდა ფესვმაგრად დააყენოს. გამოჰხსნის თუ არა ამ ძნელს ნასკვსა, ან როგორ გამოჰხსნის? — აი საკითხავი, რომელსაც ავსტრიამ გადაწყვეტილი, მოჭრილი პასუხი უნდა მისცეს დღესა თუ ხვალ.

ავსტრიაში დღეს შინაურ თუ საგარეო საქმეებში უპირატესობენ ორის სხვადასხვა გვარტომის ერი; იმიერ-ლეიტანიაში მადიარები და ამიერ-ლეიტანიაში ნემენცები. საცა მადიარები მბრძანებლობენ, იქ არიან ნემენცებიც, რუმინებიც, და უფრო სლავიანები, და ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მადიარები სჩაგრავენ. რასაკვირველია, ეგენიც ჰსცდილობენ არ დაეჩაგვრინონ და არის ატეხილი ბრძოლა და კამათობა, რომელიც ხანდისხან ისე გაძლიერდება და გაფიცხდება ხოლმე, რომ საერთო სახელმწიფოს ჩაშველება უნდება. ამიერ-ლეიტანიაში ნემენცები ჰცდილობენ ბურთი და მოედანი მარტო დაისაკუთრონ, აქაც მოპირდაპირედ ჰყავთ სლავიანები, რომელთ შორის ჩეხები, როგორც უფრო გამოღვიძებული, განათლებული და ცნობაში მოსული ერი, ძლიერ ებრძვის ნემენცობას და მაგ ბურთსა და მოედანს არამც თუ უთმობს, არამედ თავისაკენ ითლის სრულად და განუყოფელად.

ჩეხები, როგორც უფრო ერთად თავმოყრილი, გონებითაც ძალიან წარმატებული ტომი სლავიანებისა, და ამასთანაც დაუღალავნი მებრძოლნი თავისის გვარტომობის არსებობისათვის, მეტად აფიქრებს ავსტრიის ნემენცობას. ამის გარდა, გალიციაში, ნამეტნავად აღმოსავლეთს გალიციაში, პოლშელები კათოლიკენი და რუსინები მართლმადიდებელნი ძალიან შეტაკებულნი არიან ერთმანეთთან და იბრძვიან უპირატესობისათვის. ამ ბოლო ხანებში თავი იჩინეს სლოვენებმაც; ხორვატებმაც კარგა მოიმაგრეს ფეხი გვარტომობის ნიადაგზედ. მადიარებს და ნემენცებს დიდი ფიქრი და შიში მიეცათ, ამ მესამე მდინარემაც გზა არ გაიხსნასო, არ გამოარღვიოს ჩვენგან აშენებული კედლებიო და ამჟამად ორთავიანი ავსტრია სამთავიან სახელმწიფოდ არ გვიქციონო. ბევრსა ჰგონია, რომ დღესა თუ ხვალე, ყოველთვის ფრთხილი, მოხერხებული შინაური პოლიტიკა ავსტრიისა-სლავიანებსაც იმ მდგომარეობას მიანიჭებსო, რაც იმიერ-ლეიტანიაში მადიარებსა აქვთ და ამიერში — ნემენცობას. მით უფრო საფიქრებელია ამისთანა დაბოლოვება საქმისა, რომ **სლავიანები ბევრნი არიან, როგორც თითონ ავსტრიაში, ისე ავსტრიის გარეთაც, და მერე მეტად ახლომახლო ერთმანეთზედ. თუ ავსტრიამ გული არ მოუგო სლავიანებს, ჯერ იმისი შიშია, რომ შესაძლოა თითონ სლავიანებმა თვისი ცალკე სახელმწიფო გაიმართონ ახლო თუ შორს მომავალში, მეორე იმის, რომ დიდი სახელმწიფო სლავიანებისა, რუსეთი უნუგეშოდ დარჩენილი სლავიანობის მიმზიდველ ქვეყნად შეიქმნება. არც ერთი და არც მეორე არ ახეირებს ავსტრიასა. ავსტრიამ ეს ჩვენზედ კარგად იცის და ამიტომაც სხვადასხვა გვარტომობის მოთავსება ერთმანეთში დღეს ავსტრიისათვის იმისთანა სატკივარია, რომელსაც ავსტრია ბევრს დროს, მეცადინეობას, ზრუნვას ანდომებს**, და რომელიც იმოდენად არა ცლის, რომ სხვა საგარეო საქმეებში თავისუფლად და ხელგახსნილად ამოქმედოს.

**«ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: ...ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას»**



**«ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენი ქვეყნისათვის ხართ საჭირონი»**



**ტფილისი,**
**18 თებერვალი, 1886 წ.**

მეოთხე სახელმწიფო, რომელსაც ეხლანდელს საქმეთა მიმდინარეობაში ხმა აქვს ცოტად თუ ბევრად გავლენიანი, **იტალია** არის. მას აქეთ, რაც გვარტომობის დედააზრმა დიდი და თითქმის მხოლოობითი ადგილი დაიჭირა სახელმწიფოთა დალაგების საქმეში, იტალია პირველი იყო, რომელმაც ნაპოლეონ III-ის შემწეობით განახორციელა ეგ აზრი და თავისი ნაჭერ-ნაჭრად დანაწილებული ქვეყნები შემოიკრიბა და გაერთდა. ამით აუსრულდათ დიდის ხნის სანატრელი საქმე საოცარ გმირებს იტალიის მამულიშვილობისას. **იმოდენა მაგალითი ახოვანებისა, დიდსულოვნებისა, თავდადებისა, რამოდენაც იტალიის გმირთ გამოიჩინეს თავისის ქვეყნის გაერთებისათვის, ბევრს სხვა ერს არ გამოუჩენია.**

მრავალმა გამოჩენილმა კაცმა იტალიისამ თავი შეაკლა, მრავალმა თავისი საკუთარი ბედნიერება მტლად დაუდო ამ დიდს საქმეს შეერთებისას, და მათმა ღვაწლმა და თავის სამშობლოსთვის დაქცეულმა სისხლმა ამაოდ არ ჩაუარათ. **დღეს იტალია გაერთიანებული და კარგა მოზრდილს სახელმწიფოს შეადგენს, თვით იტალიელთა თავმოსაწონებლსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ხმის მქონებლსა.** ამ შეერთების მახლობელი განმახორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კავური და მეორე გარიბალდი. პირველი იყო ჭკუა და მეორე — ხმალი იტალიისა. იტალია წარმოადგენს ერთს კარგა მოგრძო ნახევარკუნძულს, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ თავი მიუდევს საფრანგეთს, შვეიცარიას და ავსტრიას, და აქედამ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გეზად მიდის და ჰსწყდება ხმელთაშუა ზღვაში. აღმოსავლეთით ადრიატიკის ზღვა აქვს, ზღვის გაღმა თავში კიდევ ავსტრიას უჭირავს ადგილი, მერე ოსმალეთი ჩამოსდევს და მერე საბერძნეთი. სიცილიის კუნძული, რომელიც იტალიას ეკუთვნის, თითქმის პირდაპირ გაჰყურებს აფრიკის ქვეყანას-ტუნისსა, საფრანგეთის ალჟირის გვერდით მდებარეს, ხმელთაშუა ზღვის გაღმით. საფრანგეთს უჭირავს ზედ იტალიის საზღვარზედ ნიცცა და სავოია, რომლის მკვიდრნი წმინდა იტალიელები არიან და რომელნიც ნაპოლეონ III-მ ჩამოართვა იტალიას თავის გასამრჯელოდ, რადგანაც გაერთებისათვის იტალიას შეეწია. შვეიცარიასაც უჭირავს იტალიელ მკვიდრთაგან დასახლებული ქვეყანა, გარდა ამისა ავსტრიასაც იტალიის ტიროლი, ტორენტო და ტრიესტი ადრიატიკის ზღვის პირად.

ამ მოკლე აღწერილობიდამ ჰსჩანს, თუ საგარეო საქმეებში იტალიას ვისთან უნდა ჰქონდეს საქმე და რაზედ უნდა ეჭიროს თვალი, როცა ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთსა ეშლებიან. ჯერ საფრანგეთთან — სავოიას და ნიცცის უკანვე დაბრუნება იტალიის ნატვრას უნდა შეადგენდეს. მერე მეტად სასურველი უნდა იყოს დაპყრობა ტუნისისა, რომელზედაც საფრანგეთმა იტალიას ამ ბოლოს ხანებში ხელი დააბანინა და რომელიც საჭიროა იტალიისათვის, რადგანაც სიცილიის და აფრიკის შორის ხმელთაშუა ზღვის ორივე ნაპირი ხელთ ექმნებოდა. შვეიცარიის იტალიაზედ თუმცა მუშტრის თვალი უჭირავს იტალიას, მაგრამ აქ ხელის გაწვდენა ძალიან აშლიდა მთელს ევროპასა და იმიტომაც ჯერ სურვილი გულში უქმადა აქვს დარჩენილი.

საქმე აღმოსავლეთის საზღვრებზეა დღეს ყველაზედ მომეტებულად გამწვავებული. აქ სლავიანების საქმე დაიძრა, ოსმალეთს სულთამხუთავი თავს ადგა და დღესა თუ ხვალ ანდერძიცა ეგება. ბერძნებიც სამართლიანად მღელვარებენ. **სლავიანების მოძრაობა, ოსმალეთის გაუქმება ევროპაში, ბერძნების დუღილი, — ყოველივე ეს ავსტრიას, ძველს მტერს იტალიისას, აღვიძებს და ყურებს აცქვეტინებს. ადრიატიკის ზღვისაკენ ჩამოწევა ავსტრიისა და გამოსვლა ხმელთაშუა ზღვაში, სიკვდილი თუ არა, დიდი ჭირი მაინც არის იტალიისათვის. გერმანია თითქო ამაში ხელს უწყობს ავსტრიასა და ამის გამო იტალიას წყლული ორისაგანვე ერთნაირად ჰსტკივა.** იტალიას თავისით ბევრი არა შეუძლიან რა, რომ წინ აღუდგეს ავსტრიასა და მის მოსარჩლეს გერმანიას. და რომ გარემოებამ სადმე მარტოდ არ მოამწყვდიოს, იტალია, რასაკვირველია, მოზავეს უნდა ეძებდეს და საქმე დაიჭიროს იმისთანა სახელმწიფოსთან, რომელსაც ძველი ანგარიშები აქვს ჯერ გერმანიასთან, და მერე ავსტრიის მეტად და ამრიგად გაძლიერება თვალში არ მოსდით. ამისთანა სახელმწიფონი დღეს საფრანგეთია და ინგლისი. ამის გამო საკვირველიც არ იქნება, რომ დღეს იტალიას და ამ ორს სახელმწიფოს ერთმანეთში ლაპარაკიცა ჰქონდეს. ეს მით უფრო დასაჯერია, რომ ამ ბოლოს ხანებში ბისმარკი მეტად მოუტკბილდა რომის პაპსა.

ეგრეთ წოდებული „მაისის კანონები“, კათოლიკეთა სამღვდელოების წინააღმდეგ ბისმარკის მიერვე დადგენილნი, პაპისა და ბისმარკის ერთმანეთში აშლის მიზეზნი, დღეს ბისმარკის მიერვე წარდგენილნი არიან გასაუქმებლად. როცა ბისმარკი ეგრე მოურბილდება და მოუტკბილდება ხოლმე პაპსა, ეგ იმის ნიშანია, რომ ბისმარკი რაღაცაზედ უწყრება იტალიას. რომის პაპი, მსოფლიო კათოლიკეთა მთავარმოძღვარი, ჯერ კიდევ იმისთანა მნიშვნელობიანი არის იტალიაში, რომ იმისი ასე თუ ისე გამხნევება და ფრთების ასხმა იტალიისათვის ფრიად საშიშარია...

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა




## ოლიმპიური თამაშები პედერასტებისა და სოდომისტებისთვის

**მომავალი ოლიმპიადა, რომელიც ტოკიოში ივნისში გაიმართება, მთელი რიგი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, გააოცებს მსოფლიოს, რადგან წარმოგვიდგება ყველაზე სკანდალურ ღონისძიებად სპორტული რეკორდების დამყარების მხრივ. სპორტულ ზეიმს დიდების შარავანდედს დაადგამს ახალი წესები, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ტრანსგენდერი სპორტსმენების მიმართ მიიღო.**

შეგახსენებთ: სოკმა 2003 წელს ნება დართო ბიოლოგიურ მამაკაცებს, რომლებმაც ქალობაში გადაინაცვლეს, ქალების სპორტულ შეჯიბრებებში მიიღონ მონაწილეობა შემდეგი პირობით: ჩაიტარონ სქესის შეცვლის ოპერაციები (ანუ პრაქტიკულად ტრანსსექსუალებად გარდაიქმნან) პლუს ჩაიტარონ ტესტოსტერონის (მამაკაცურობის ჰორმონის) შესამცირებელი ჰორმონული თერაპიის ორწლიანი კურსი. მიიჩნევდნენ, რომ ამ ხნის განმავლობაში მამაკაცის ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ტესტოსტერონს აღარ ექნება გადამწყვეტი გავლენა ახალი ქალის ფიზიკურ მონაცემებზე (რაც, ფრიად საეჭვოა), რაც ნიშნავს, რომ ქალთა შორის შეჯიბრის მონაწილე კაცყოფილ სპორტსმენ ქალს არ ექნება კონკურენტული უპირატესობა თავის მეტოქეებზე.

2016 წელს სოკმა გადახედა და გააფართოვა წესები: ტრანსგენდერებს ნება დართო მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერ შეჯიბრში, ოლიმპიური თამაშების ჩათვლით, სქესის შესაცვლელი ოპერაციის ჩაუტარებლად, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში არ დაირღვევაო იმ ადამიანთა უფლებები, რომლებმაც რაღაც მიზეზების გამო ვერ მოასწრო სქესის შეცვლა.

მაგრამ ამ შემთხვევაში, მან უნდა დაადასტუროს, რომ ტესტოსტერონის დონე გარკვეულ თამასასთან შედარებით შემცირებულია თუ მომატებული. ამჟამად ეს მოთხოვნაც საეჭვო ხდება, რადგან სოკში ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლამ პოლიტკორექტულობის მწვერვალს მიაღწია.

კერძოდ, სოკმა აღიარა, რომ შეჯიბრებებში ბიოლოგიური ქალებისა და ტრანსგენდერების მონაწილეობის სამართლიან უზრუნველყოფას იგი ვერ შეძლებდა, რადგან ამას თვით ბუნება ეწინააღმდეგება. შედეგად ოლიმპიური თამაშების ფუნქციონერებმა წესად დაადგინეს: შეჯიბრების წინმსწრებ მთელი ერთი წლის განმავლობაში ტრანსგენდერმა უნდა ჩააბაროს ტესტი ტესტოსტერონის დონის დასადგენად. მონაცემი არ უნდა აღემატებოდეს 10 ნანომოლს ერთ ლიტრზე.

ამერიკული ჟურნალი American Thinker იანვრის ნომერში წერს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა მამაკაცები ხელოვნურად შეიმცირებენ თავიანთ ტესტოსტერონს, მათ, სულ ცოტა, ხუთგზის უპირატესი მაჩვენებელი ექნებათ თავიანთ მეტოქეებთან — ბიოლოგიურ ქალებთან შედარებით.

ეს მნიშვნელოვანია, რადგან მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ტესტოსტერონის შემცირებასთან ერთად არ მცირდება მამაკაცების ყველა სპორტული უპირატესობა. კერძოდ, აღნიშნავენ, რაც შვედეთის კაროლინგის ინსტიტუტის მიერ არის დადასტურებული, რომ ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა არის მამაკაცის ტიპის ჩონჩხი, ასევე კუნთების აღნაგობა. ფიზიოლოგიის ყველა ეს თავისებურება არ ქრება მაშინაც კი, როცა ადამიანი დაკავებულია თავისი ტესტოსტერონის ხელოვნური შემცირებით მთელ ორგანიზმში.

ოჰაიოსა და ახალი ზელანდიის უნივერსიტეტების ფიზიოლოგი **ელისონ ჰეტერი** აზუსტებს: მამაკაცის ჩონჩხსა და კუნთებს უნდა დავუმატოთ სპორტისთვის აუცილებელი ისეთი ორგანოების დიდი მოცულობა, როგორებიცაა გული და ფილტვები. ტესტოსტერონის სიდიდის შემცირებით მათი მოცულობა არ კლებულობს. ეს კი ტრანსგენდერს საშუალებას აძლევს, სქესის შეცვლის შემდეგაც კი სწრაფად გაზარდოს კუნთების მასა, რაც თავისთავად მას დიდ უპირატესობას მიანიჭებს. ჰეტერი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ტესტოსტერონი არის ჰორმონი, რომელიც კუნთის მეხსიერებას აძლიერებს. მისი დონე კი, როგორც პრაქტიკა გვიდასტურებს, ტრანსგენდერს რეგულარული ორწლიანი თერაპიის შემდეგაც კი უნარჩუნებს ქალზე უპირატესობას.

სპორტული მაგალითების რაოდენობა დიდია. ახლახან სამოაში წყნარი ოკეანის თამაშებზე ძალოსან ქალთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა ბიოლოგიურმა მამაკაცმა-ტრანსგენდერმა ნაზი ქალური სახელით — **ლაურა ჰაბარდმა** (კაცობის დროინდელი სახელი — გევინი).



ან, მაგალითად, ცნობილი ავსტრალიერი ხელბურთელი **კალუმი**, ახალი სახელით **ჰანა მუნსი,** რომელიც ორ მეტრამდე სიმაღლისაა და ცენტნერს იწონის. იგი ამჟამად ავსტრალიის ხელბურთელთა ნაკრები გუნდის მოთამაშეა.

ან **მიანა ბაგერი**, — ავსტრალიელი გოლფისტი ქალების ასოციაციის წევრი, რომელიც ქალად 1995 წელს გარდაიქმნა.

ბუნებრივია, რომ ბიოლოგიურად ქალი სპორტსმენები ასეთი სქესობრივი გაუკუღმართების წინააღმდეგ გამოდიან, რადგან ამ ტრანსფორმირებულთა გამო მათ უმცირდებათ გამარჯვების კვარცხლბეკზე დადგომის შანსი, ოქროს მედლებზე აღარავინ ლაპარაკობს.

ცნობილი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა**, რომელიც არ მალავს თავის ლესბოსურ მიდრეკილებას, გაოცებულია: ვის მოუვიდა აზრად ქალებისა და ტრანსგენდერების ერთ კატეგორიაში მონაწილეობა?! იგი ასეთ მაგალითს მოიშველიებს: მამაკაცმა გადაწყვიტა სქესის შეცვლა. ამის შესახებ ყველას გასაგონად განაცხადა. დაიწყო შეჯიბრება ქალებთან, ყველა დაამარცხა, დიდძალი საპრიზო ფული მოიგო... შემდეგ გადაიფიქრა და კვლავ გამამაკაცდა. განა ეს სამართლიანია?!

ამ აზრზე დგას სპორტსმენ ქალთა უმრავლესობა. მოცურავე, ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი **შერონ დევისი** დარწმუნებულია, რომ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება არ უნდა მისცენ მათ, ვისაც თვით ბუნებამ მიანიჭა უპირატესობა. მას მიაჩნია, რომ არსებობს დიდი განსხვავება ბინარულ სქესსა, რომლითაც დაბადებული ხართ, და გენდერს შორის, რომელსაც თავს მიაკუთვნებ“. მას ეთანხმება ოლიმპიური ჩემპიონი, ცნობილი მძლეოსანი **პოლა რედკლიფი.** იგი დარწმუნებულია, რომ სოკის ახალი წესები, რომლებიც ტრანსგენდერებისთვის დაამტკიცეს, ქალთა სპორტის არსებობას გაქრობის საშიშროების წინაშე აყენებს.

ამ პოზიციას აშშ-ში აქტიურად უჭერენ მხარს ფემინისტების მოძრაობის მონაწილენი. ისინი აღშფოთებულები არიან იმით, რომ ამ ახალმა ტენდენციამ უკვე გავლენა იქონია წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებზე. ქალთა აქტივისტები მიიჩნევენ, რომ ტოკიოს ოლიმპიადის დროს მთელი მსოფლიო დარწმუნდება, რომ ტრანსგენდერები მართავენ სიტუაციას, როგორც იტყვიან, „რულავენ“. ჯილდოების უმეტესობა შეიძლება მათ მოიპოვონ.

ამ ფონზე განსაკუთრებით უცნაურია ხელოვნურად აგორებული დოპინგსკანდალი რუსეთის სპორტსმენების წინააღმდეგ, რომლებსაც აუკრძალეს ტოკიოს ოლიმპიადაზე თავიანთი ქვეყნის დროშით გამოსვლა.



## ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზაზე... უკრაინაში 14 წლის ბავშვებს სქესის შეცვლის ნება დართეს

**უზენაეს რადაში დაარეგისტრირეს კანონპროექტი „ჯანდაცვის სფეროში მოზარდთა უფლებების რეალიზაციის საკითხებში შესწორებების შეტანის შესახებ“, რომელიც 14 წლის ბავშვებს ნებას რთავს, შეიცვალონ სქესი მშობლების დაუკითხავად.**

კანონპროექტი, რომლის ინიციატორია ფრაქცია „ხალხის მსახურის“ დეპუტატი **ლადა ბულახი**, ითვალისწინებს კანონმდებლობაში ტერმინ „მოზარდი“ -ს შეტანას და მოზარდებისთვის სრული ავტონომიის მინიჭებას მშობლებთან ურთიერთობისას ნებისმიერი სამედიცინო დახმარების მიღების შემთხვევაში.

კერძოდ, დეპუტატის აზრით, უკრაინის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მონაკვეთს უნდა დაემატოს ახალი პუნქტი, რომლის თანახმად, მოზარდს, რომელიც 14 წელს მიაღწევს, უფლება ექნება, „დამოუკიდებლად დადოს და განახორციელოს მორიგებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება სამედიცინო მომსახურებასთან“.

ექსპერტები თვლიან, რომ ეს სიახლე მოზარდებს უფლებას მიანიჭებს, უარი თქვან ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიისა და სხვა საშიში დაავადებებისგან განკურნებაზე, ასევე, შეიცვალონ სქესი მშობლების თანხმობის გარეშე.

**ფილიპინების ლიდერის რეაქცია მყისიერი იყო: ამერიკას „გამოსწორებისთვის“ ერთი თვის ვადა მისცა და თავის მოხელეებს აშშ-ში ჩასვლა აუკრძალა. თვითონ უარი თქვა აშშ-ასეანის სამიტში მონაწილეობაზე, რომელიც ბანგკოკში გაიმართა და რომელიც ო’ბრაიენის ფიასკოთი დამთავრდა.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ არმია პლაცდარმებს კარგავს აზია-წყნარი ოკეანიის რეგიონში

**აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ძალას იკრებს აშშ-ისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოპოლიტიკური დაპირისპირება. ანტიჩინური საინფორმაციო ზალპი განახორციელეს მიუნხენის საერთაშორისო 56-ე კონფერენციის ორგანიზატორებმა, რომლებმაც საპროგრამო მოხსენებაში „მსოფლიო დასავლეთის გარეშე“ პეკინი მსოფლიოზე გავლენის გაფართოებაში დაადანაშაულეს, კერძოდ, მაღალტექნოლოგიურ სექტორში ექსპანსიის გაძლიერებაში, სავაჭრო ომში ამერიკასთან დაპირისპირებაში და აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვების რეგიონში წამყვანი გეოპოლიტიკური როლის ხელში ჩაგდების პრეტენზიულ მცდელობაში.**



მალე გაირკვა, რომ ამგვარი პრეტენზიები ფორუმის ორგანიზატორისა და თავმჯდომარის, **ვოლფგანგ იშინგერის,** ინდივიდუალური სურვილისა და ძალისხმევის პროდუქტი კი არა, ვაშინგტონის პოზიციის ჩვეულებრივი რეტრანსლაციაა. ეს დადასტურდა კონფერენციაზე ამერიკის სახელმწიფო მდივნის — **მაიკლ პომპეოსა** და პენტაგონის მეთაურის — **მარკ ესპერის** ანალოგიური სულისკვეთების გამოსვლებით, რომლებმაც პეკინის მოქმედებაში, მათ შორის, მოსკოვთან დაახლოებაში შენიშნეს ერთგვარი „რევიზიონისტული“ დამოკიდებულება არსებული მსოფლიო წესრიგის მიმართ და მისი გარდაქმნის მკრეხელური სურვილი.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთიოდე წლის წინათ ვაშინგტონელი სტრატეგების ძალისხმევამ, რომლებიც მოწოდებული იყვნენ, კონცეფციურად განემტკიცებინათ 2011 წელს თეთრი სახლის მაშინდელი პატრონის — **ბარაკ ობამას** მიერ განცხადებული „წყნარ ოკეანეში დაბრუნების“ პოლიტიკა, წარმოშვა „ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონის“ კონცეფცია. მისი მიზანია, ამერიკულ „აღალს“ ჩააბან ინდოეთი ვაშინგტონის მომხრეებთან, უწინარეს ყოვლისა, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასა და ავსტრალიასთან ერთად „აღმოსავლეთ ნატოში“ — ანტიჩინური და, ამასთანავე, ანტირუსული მიმართულების სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში.

2017 წელს რეგიონის შესახებ დებულება შეიტანეს აშშ-ის უშიშროების ეროვნული სტრატეგის ახალ რედაქციაში. პარალელურად ამერიკის პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი — **ჰერბერტ მაკმასტერი** შეეცადა, ჩაეთრია დელი ავღანეთის საქმეებში, ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა ინდოეთი და ჩინეთი ექსტრემისტულ დაჯგუფებებს შორის საქმეების გარჩევისას. სასაზღვრო შტატის არუნაჩალ-პრადეშის მოუგვარებელი ტერიტორიული დავის, ასევე, დელის, როგორც **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების ასოციაციის (ASEAN-ის)** გაერთიანების „ათეულის“ პარტნიორის სტატუსის გათვალისწინებით, აშშ-ს დაგეგმილი ჰქონდა, მნიშვნელოვნად შეეზღუდა პეკინი ინდოეთის გამოყვანით **თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციისა** და **ბრიქს**-ის (ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შედის 5 სახელმწიფო: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა) შემადგენლობიდან. **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების ასოციაცია კი ვაშინგტონს სჭირდებოდა, რადგან არქიპელაგზე განლაგებული სახელმწიფოები, რომლებიც ამ გაერთიანების წევრები არიან, სხედან ინდოეთ-წყნარი ოკეანის სატრანსპორტო მარშრუტებზე. მათზე მოდის მსოფლიო სავაჭრო გადაზიდვების დაახლოებით 60 პროცენტი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილია ჩინეთის ნავთობის იმპორტი სპარსეთის ყურის ზონიდან. სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე პეკინის სამხედრო-საზღვაო ძლიერების სწრაფი ზრდით შეშფოთებულმა ვაშინგტონელმა სტრატეგებმა გადაწყვიტეს, მხოლოდ თავიანთ მე-7 ფლოტის იმედად არ დარჩენილიყვნენ და „აბორიგენების“ სახმელეთო მხარდაჭერით გამაგრებულიყვნენ.**

ამის განსახორციელებლად კი მაქსიმალურად გამოეყენებინათ რეგიონში არსებული წინააღმდეგობანი, ერთი მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და, მეორე მხრივ, ვიეტნამსა და ფილიპინებს შორის.

მაგრამ ვერ შეძლეს. ინდოეთი განაგრძობს მრავალვექტორულ პოლიტიკაში ლავირებას; არ სურს, ამერიკულ ჰიპოტეტურ უპირატესობას ანაცვალოს ჩინეთთან და მის მოკავშირე პაკისტანთან წინააღმდეგობის მოგვარების კონკრეტული მექანიზმები **თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის** ფორმატში. 2019 წლის ნოემბერში **ბანგკოკში გამართულ ასეან-აშშ-ის ფორმატის სამიტზე ამერიკელებს იაღლიში მოუვიდათ: თეთრმა სახლმა პირველი პირების — პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ვიცეპრეზიდენტ მაიკლ პენსის ნაცვლად ტაილანდში გაგზავნა ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის მორიგი ახალბედა მრჩეველი რობერტ ო’ბრაიენი. ვარაუდობდნენ, რომ იგი აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების სტარტს უნდა ამოფარებოდა და ASEAN-ის მონაწილეებს „38 თუთიყუშს“ დაჰპირებოდა — მიეწვია ისინი ვაშინგტონში შინაურ შეხვედრაზე და ჩაეთრია ტრამპის საარჩევნო კამპანიაში, ჩინეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში „უცხო თვალის“ გარეშე. ბანგკოკის შეხვედრის 10 მონაწილიდან 7-მა, რომლებმაც თავი შეურაცხყოფილად მიიჩნიეს, შეხვედრის დონის ასეთი დაკნინების გამო, ო’ბრაიენის შეთავაზება უპასუხოდ დატოვა.** სამიტზე გარდა ტაილანდის პრემიერისა, რომელიც სამიტის მასპინძელი იყო, „პირველი პირებით“ წარმოდგენილი გახლდათ მხოლოდ ვიეტნამი და ლაოსი, დანარჩენმა ქვეყნებმა საგარეო საქმეთა მინისტრები გაგზავნეს. ასე რომ, ამერიკელი ემისრის მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. სამიტის გამართვის ვადამ გადაიწია, მონაწილეთა შემადგენლობასაც დაეტყო დანაკარგები, თანაც ვაშინგტონისთვის ძალიან მტკივნეულ ფილიპინურ ასპარეზზე, სადაც აშშ-მა ვერა და ვერ შეძლო ფილიპინების ფრიად ექსცენტრიკული პრეზიდენტ **როდრიგო დუტერტეს** მოხიბლვა. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ეს პიროვნება მოსკოვისა და პეკინისკენ შებრუნდა, დაიწყო იარაღის შესყიდვა რუსეთიდან და შეუდგა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების ასოციაციის ჩინეთთან დაახლოების კურსის განხორციელებას სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ქცევის კოდექსის ფორსირებით დასრულების გზით, რომელიც, ვარაუდობენ განეიტრალებს რეგიონის ყველა პრობლემას.

ამასაც თავისი წინაისტორია აქვს, რომლის დროსაც აშშ-მა, უკვე მერამდენედ, ვერ დაძლია მისთვის ჩვეული, პათოლოგიურად უხეში ჩარევის სურვილი სხვა ქვეყნების სუვერენული იურისდიქციის საკითხებში. იანვრის დასაწყისში ტრამპმა ხელი მოაწერა ბიუჯეტის კანონს, რომლის ძალითაც აშშ-ში ჩასვლა აუკრძალა იმ ფილიპინელებს, რომლებიც თითქოს ავიწროვებდნენ დუტერტეს მოწინააღმდეგეს, ფილიპინების ყოფილ იუსტიციის მინისტრ **ლეილა დე ლიმას.** მათ შორის პირველი აღმოჩნდა სენატორი **რონალდ დელა როზა**, რომელმაც ვერ მიიღო ვიზა. ფილიპინების ლიდერის რეაქცია მყისიერი იყო: ამერიკას „გამოსწორებისთვის“ ერთი თვის ვადა მისცა და თავის მოხელეებს აშშ-ში ჩასვლა აუკრძალა. თვითონ უარი თქვა აშშ-ასეანის სამიტში მონაწილეობაზე, რომელიც ბანგკოკში გაიმართა და რომელიც ო’ბრაიენის ფიასკოთი დამთავრდა. შეიქმნა ახალი პრეზიდენტი, რომელიც სხვა ლიდერებსაც დააფიქრებს, აუცილებელია თუ არა მონაწილეობა ასეანის „ათეულში“.

> **დუტერტემ რუსეთსა და ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკის არსი სააგენტო RT-ს ასე ჩამოუყალიბა: «ამერიკა ჩვენ ვასალურ სახელმწიფოდ განგვიხილავს. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამერიკა კისერზე გვაჯდა და, სანამ დამოუკიდებლობას მივიღებდით, აქ თავს ისე გრძნობდა, როგორც სამოთხის ბაღში. ჩვენ მას ვებრძოდით. თუ ამერიკამ არ იცის, როგორ მოგვექცეს, რუსეთმა და ჩინეთმა იციან, ისინი პატივს სცემენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. ამერიკაზე ამას ვერასოდეს იტყვი, თანაც არა მარტო ფილიპინებთან დაკავშირებით, ამერიკა არასოდეს პატივს არ სცემდა სხვის სუვერენიტეტს»**

დუტერტემ რუსეთსა და ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკის არსი რუსეთის სააგენტო RT-ს ასე ჩამოუყალიბა: **„თქვენ პატივს სცემთ სუვერენიტეტს, ამერიკა კი ჩვენ ვასალურ სახელმწიფოდ განგვიხილავს. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამერიკა კისერზე გვაჯდა და, სანამ დამოუკიდებლობას მივიღებდით, აქ თავს ისე გრძნობდა, როგორც სამოთხის ბაღში. ჩვენ მას ვებრძოდით. თუ ამერიკამ არ იცის, როგორ მოგვექცეს, რუსეთმა და ჩინეთმა იციან, ისინი პატივს სცემენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. ამერიკაზე ამას ვერასოდეს იტყვი, თანაც არა მარტო ფილიპინებთან დაკავშირებით, ამერიკა არასოდეს პატივს არ სცემდა სხვის სუვერენიტეტს“.**

ამ ფონზე მოწმენდილ ცაზე ქუხილივით გაისმა ფილიპინების ხელმძღვანელობის ვაშინგტონისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება აშშ-თან დადებული შეთანხმების, Visiting Forces Agreement (VFA) გაწყვეტის შესახებ, რომელიც აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტატუსს ადგენდა, უფრო ზუსტად, ამერიკელი სამხედროების ფილიპინებზე ყოფნის ლეგიტიმაციას ახდენდა. ეს გადაწყვეტილება 11 თებერვალს გადაეცა მანილაში აშშ-ის ელჩის მოადგილეს, რომელიც გააფრთხილეს, რომ, „დიპლომატიური ზრდილობის პრინციპიდან გამომდინარე, დამატებით არ განმარტავენ მოვლენების შემდგომი განვითარების ხასიათს“, ანუ თავიანთ სიტყვას უკან არ წაიღებენ.

ამ სიტუაციას საკმაოდ მწარე დისკუსია მოჰყვა პენტაგონის მეთაურ **ესპერსა** და ფილიპინების პრეზიდენტის ოფიციალურ წარმომადგენელ **სალვადორ პანელოს** შორის. ამერიკა სახელს კარგავდა და პრეზიდენტი ტრამპი იძულებული იყო, შეეწყვიტა ეს დისკუსია. მან განაცხადა, რომ ეთანხმება მანილის გადაწყვეტილებას, რადგან ნახსენები შეთანხმების დენონსაციით ფილიპინებს ფულის უზარმაზარი რაოდენობა დაეკარგება.

დაკარგავენ ერთგან — იპოვნიან სხვაგან. **ანტიამერიკული დემარშის პარალელურად ფილიპინებმა ჩინეთისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ჯერ კიდევ შუა დეკემბერში მადრიდში „აზია-ევროპის“ ფორუმის მსვლელობისას ჩინეთისა და ფილიპინების დიპლომატიების ხელმძღვანელები ვან ი და თეოდორო ლოქსინი ერთმანეთს შეხვდნენ და ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ მანილისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ენერგეტიკის სექტორში, ასევე სხვა სამომავლო საკითხებში.**

ვინ დარჩა მოგებული? რეგიონში არსებული წინააღმდეგობანი ამჯერად აშშ-ის გარეშე მოგვარდება. მანილას ამერიკის დახმარება აღარ სჭირდება. ფილიპინები ამით სხვა სახელმწიფოებს კარგ მაგალითს აძლევს. მანილის გადაწყვეტილება, ამერიკის ჯარის ნაწილები გააძევოს თავისი ტერიტორიიდან, იმოქმედებს ძალების ბალანსზე როგორც რეგიონში, ასევე „ათეულის“ სხვა წევრების განწყობაზე.

დუტერტე წინამორბედებთან შედარებით გაცილებით აქტიურად და შედეგიანად იცავს თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს უცხოელთა მოძალებისგან.

აშშ კარგავს პოზიციებს, თუმცა ცდილობს, შეინარჩუნოს კმაყოფილი გამომეტყველება ცუდი თამაშის დროს. ტრამპი ტელევიზიაში „ნამუშევარი“ კაცია, იცის სახის „დაყენება“, მაგრამ ამჯერად წაგებულ საქმეს არ შველის.

**P.S. ერთი რამ ყველასთვის ცხადია: ამერიკელებთან „ჩახუტება“ მაშინ, როცა ისინი ერთმანეთის მიყოლებით კარგავენ „მეგობრებს“, როცა მათ სამხედროებს ქვეყნები რიგრიგობით კარს უკეტავენ, თითის ქნევით შეახსენებენ, რას ნიშნავს ჭეშმარიტი სუვერენიტეტი და დემოკრატია, სულაც არ არის აუცილებელი, ფეხის წვერებზე აიწიო, ტუჩებში აკოცო და სიყვარული შეჰფიცო: „მე შენი ვარ, შენ — ჩემი!“**

## ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დაბალი ქალია ინდოელი ჯოტი ამჯი. 18 წლის ამჯის სიმაღლე 62,8 სმ იყო. წონა — 5,2 კგ. სწორედ 18 წლის შესრულების მომენტში გამოაცხადა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმა ის მსოფლიოში ყველაზე დაბალ ქალად. ამჟამად ის 27 წლისაა და საკმაოდ პოპულარული მსახიობია. 2014 წელს გამოვიდა სერიალ „საშინელებათა ამერიკული ისტორიის“ 4 სეზონი, რომელშიც მა პეტიტის (MA PETITE ფრ. — ჩემო პატარავ) როლს ჯოტი ამჯი ასრულებდა.



# ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი ადამიანები კაცობრიობის ისტორიაში

1957 წლის 15 თებერვალს დაიბადა გულ მოჰამედი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე პატარა ადამიანი. მისი სიმაღლე სულ 57 სმ იყო. ამჟამად ეს რეკორდი უკვე მოხსნილია. მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადამიანად კი ითვლება რობერტ უოდლოუ, რომლის სიმაღლე 2 მ და 72 სმ იყო. სიმაღლის მიუხედავად, ეს ადამიანები სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობენ, ზოგიერთი კი ნამდვილი ვარსკვლავი გახდა.
გაეცანით ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ ადამიანებს კაცობრიობის ისტორიაში.



* ტიტული მსოფლიოში ყველაზე დაბალი ადამიანისა, რომელსაც ოდესმე უცხოვრია პლანეტაზე, დიდი ხნის განმავლობაში ეკუთვნოდა ინდოელ **გულ მოჰამედს** დელიდან, მისი სიმაღლე იყო 57 სმ, წონა — 17 კგ. **გულ მოჰამედი** 1997 წელს გარდაიცვალა.



ყველაზე დაბალი ადამიანის ტიტული გადავიდა **ჩანდრა ბაჰადურ დანგისთან (სიმაღლე 54,6 სმ, წონა 14 კგ),** რომელიც ნეპალის ერთ-ერთ მთიან სოფელში ცხოვრობდა და 2015 წელს 76 წლისა გარდაიცვალა. წლოვანების მიუხედავად, მას არასოდეს მიუღია წამალი და არასოდეს მისულა ექიმთან. 2015 წელს დანგის ფილტვების ანთება დაემართა და ექიმებმა ვერ გადაარჩინეს.




* დღეს მსოფლიოში ყველაზე დაბალ ადამიანად ითვლება 18 წლის ფილიპინელი **ჯუნრი ბალავინგი.** მისი სიმაღლე 59,93 სმ-ია. თავდაპირველად ბიჭი ბევრს ავადმყოფობდა, ერთი წლის იყო, როდესაც მისი ზრდა სიმაღლეში შეჩერდა, ღარიბ მშობლებს კი სამკურნალო ფული არ ჰქონდათ. ჯუნრი საკმაოდ აქტიურია და მშობლებსაც ეხმარება სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ მხოლოდ ჯოხით დადის. ფეხზე დიდხანს დგომისგან ტკივილს განიცდის. „ძალიან მიხარია, რომ ახლა ყველა მიცნობს, — ამბობს ჯუნრი ბალავინგი. — 18 წლის რომ გავხდი, დაბადების დღეზე ლუდი დავაჟაშნიკე. ვოცნებობ დაქორწინებაზე, თუმცა ვიცი, რომ გოგონა ჩემზე გაცილებით მაღალი იქნება“.



* **ჩენ გილიანი და ლი ტანგონგი** მსოფლიოში ყველაზე დაბალი წყვილია. მათი სიმაღლეა, შესაბამისად, 80 სმ და 1 მ და 8 სმ. რეკორდსმენები 2007 წელს დაქორწინდნენ ჩინეთში, ქალაქ შუნდეში.



* კაცობრიობის ისტორიაში კი ყველაზე დაბალ ქალად, გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, ითვლება **პაულინა მუსტერსი.** მისი სიმაღლე 58 სმ-ს შეადგენდა. მუსტერსი 1876 წლის 26 თებერვალს დაიბადა ნიდერლანდებში.



* ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანია თურქი ფერმერი **სულთან კესენი.** მისი სიმაღლე 251 სმ-ია. 2013 წელს ის დაქორწინდა მერვე დიბოზე, რომელიც ძლივს სწვდება იდაყვამდე. სულთან კესენამდე ტიტული ეკუთვნოდა უკრაინელ ლეონიდ სტადინიუკს. მისი სიმაღლე 253 სმ-ია, წონა — 200 კგ.



* 2012 წლამდე ყველაზე მაღალი ქალის ტიტულის მფლობელი გახლდათ **იაო დეფენი** (ჩინეთი). მისი სიმაღლე იყო 233 სმ, წონა — 160 კგ. გარდაიცვალა 2012 წელს.



* ისტორიაში ყველაზე მაღალი მამაკაცია **რობერტ უოდლოუ** (1918-1940) მისი სიმაღლე იყო 2 მ და 72 სმ.



* მსოფლიოში ყველაზე მაღალ ქალად კარგა ხნის განმავლობაში ითვლებოდა **სანდრა ელენ ალენი**, რომლის სიმაღლე იყო 2 მ 32 სმ. მან ეს ტიტული 1976 წელს მოიპოვა და გარდაცვალებამდე, 2008 წლამდე, ინარჩუნებდა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში გრეტცკის დებიუტი ჰქონდა „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსის“ წინააღმდეგ და თავისი პირველი ქულაც მოიპოვა, შემდეგ მატჩში კი პირველი გოლი გაიტანა „ვანკუვერ კენაქსის“ კარში. სეზონის შედეგების მიხედვით, გრეტცკიმ მოიპოვა თავისი პირველი ტიტული 9-დან (მათგან 8 — ზედიზედ) — ეს იყო NHL-ის ყველაზე სასარგებლო (ღირებული) მოთამაშის ტიტული, ამასთანავე, გაიტანა 51 შაიბა და გახდა ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი, რომელმაც NHL-ში 50-ზე მეტი შაიბა შეაგდო. გრეტკცი „ედმინტონ ოილერზში“ 1978-1988 წლებში გამოდიოდა და ამ გუნთან ერთად 4-ჯერ მოიგო სტენლის თასი. მეტსახელად მას დიადი შეარქვეს.**

# დიადი გრეტცკი

**იმ პერიოდში, როცა თითქოს ჰოკეიში აღარ იყვნენ ვირტუოზები, რამდენიმეს გარდა, უცებ გამოჩნდა არც ისე მაღალი და მხარბეჭიანი ჯადოქარი უეინ დუგლას გრეტცკი, რომელმაც ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში (NHL) შეიტანა მანამდე უცნობი „მეცნიერება“ — ჰოკეის ჭადრაკივით თამაში. ამ პროცესში მან უამრავი ტიტული მოიპოვა, ამასთანავე, ჰოკეის ნაციონალური ლიგის უამრავი რეკორდი გააუმჯობესა.**

უეინ გრეტცკი დაიბადა 1961 წლის 26 იანვარს. მისი ბაბუა **ტერენტი გრეცკი** (ტონი გრეტცკი) XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდა კანადაში ბელორუსიიდან. დაქორწინებული იყო უკრაინელ ქალზე.

ყინულზე საჭადრაკო კომბინაციების გათამაშების უნარი **უეინ გრეტცკიმ** ბავშვობიდანვე გამოავლინა ბრანტფორდში (ონტარიო, კანადა). როგორც კი პატარა უეინმა ისწავლა ყინულზე გადაადგილება, მამამისმა დაიწყო ჩატარება გაკვეთილებისა, რომლებმაც ბიჭი შაიბების გამტან მანქანად გადააქცია.

6 წლის უეინი ათი წლის ბიჭების წინააღმდეგ თამაშობდა იუნიორთა ლიგაში, 4 წლის შემდეგ კი იუნორთა ლიგაში 14-15 წლის ბიჭებს უპირისპირდებოდა — მოზარდი გრეტცკი თავის ასაკობრივ ჩამორჩენას ჰოკეის ინტელექტით ინაზღაურებდა, რომელიც მას მამამ ჩამოუყალიბა სპეციალური ვარჯიშებით, განსაკუთრებით, ქვეცნობიერში გამჯდარი წესით, რომ ყოველთვის უნდა გაიქცე შაიბის შემხვედრი მიმართულებით და არა მის კვალდაკვალ. ამ წესის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელების შემდეგ ახალგაზრდა უეინმა ისწავლა ყინულზე ისეთი სრიალი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, წარმოედგინა, სად იქნებოდა შაიბა და „გამოთვლილ“ ადგილზე ხვდებოდა მას. ამ უნარის წყალობით, გრეტცკის საშუალოდ ყოველ თამაშში 4,5 შაიბა გაჰქონდა მასზე უფროსი 5-6 წლის ყმაწვილებისგან დაკომპლექტებული გუნდების კარში.

ახალგაზრდა გრეტცკის პოპულარობა ყოველწლიურად იმატებდა და 16 წლისა უკვე გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა.

1978 წელს გრეტცკისთან კონტრაქტი გააფორმა ჰოკეის საერთაშორისო ლიგის ამერიკულმა კლუბმა „ინდიანაპოლის რეისერსმა“, მაგრამ რამდენიმე თვეში ის ჰოკეის ნაციონალური ლიგის გუნდ „ედმონტონ ოილერზის“ წევრი გახდა და ცოტა ხანში თანაგუნდელებთან ერთად „ედმონტონს“ დიდება მოუტანა.

პირველ სეზოში 99-ე ნომრით მოთამაშე უეინმა (სურდა, თავისი კერპის, **გორდი ჰოუს** მსგავსად 9-ნომრიანი მაისურით ეთამაშა, მაგრამ ეს ნომერი დაკავებული იყო) 46 შაიბა გაიტანა. შემდეგ წლებში გრეტცკი რეკორდს რეკორდზე აუმჯობესებდა, პირველი ჰოკეისტი იყო, ვინც გოლი პლუს პასის სისტემით 200 ქულაზე მეტი დააგროვა და ეს 4-ჯერ(!) მოახერხა; ერთ სეზონში გაიტანა 92 შაიბა და ა.შ.









ბავშვობაში

1979 წელს ჰოკეის ნაციონალურ ლიგას დაემატა 4 ახალი კლუბი: „ედმონტონ ოილერზი“, „კვებეკ ნორდიქსი“, „ვინიპეგ ჯეთსი“ და „ნიუ-ინგლენდ უეილერსი“.

იმავე წლის 10 ოქტომბერს **ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში გრეტცკის დებიუტი ჰქონდა „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსის“ წინააღმდეგ და თავისი პირველი ქულაც მოიპოვა, შემდეგ მატჩში კი პირველი გოლი გაიტანა „ვანკუვერ კენაქსის“ კარში. სეზონის შედეგების მიხედვით, გრეტცკიმ მოიპოვა თავისი პირველი ტიტული 9-დან (მათგან 8 — ზედიზედ) — ეს იყო NHL-ის ყველაზე სასარგებლო (ღირებული) მოთამაშის ტიტული, ამასთანავე, გაიტანა 51 შაიბა და გახდა ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი, რომელმაც NHL-ში 50-ზე მეტი შაიბა შეაგდო. გრეტკცი „ედმინტონ ოილერზში“ 1978-1988 წლებში გამოდიოდა და ამ გუნთან ერთად 4-ჯერ მოიგო სტენლის თასი. მეტსახელად მას დიადი შეარქვეს.**

1988 წლის აგვისტოში გრეტცკი მოულოდნელად „ენ-ჰაელის“ ისტორიაში ერთ-ერთი დიდი გარიგების ცენტრალური ფიგურა აღმოჩნდა — „ედმონტონ ოილერზის“ მფლობელმა ის ლიგის ყველაზე სუსტ გუნდს — „ლოს-ანჯელეს კინგს“ მიჰყიდა 15 მლნ დოლარად.

გრეტცკი ცრემლს ვერ იკავებდა, როცა ჟურნალისტებს ელაპარაკებოდა თავის გადასვლაზე „ლოს-ანჯელესში“. 1988 წლამდე ჰოკეის მატჩის მიმდინარეობისას ადგილობრივ სპორტის სასახლეს მხოლოდ სანახევროდ თუ ავსებდა მაყურებელი, გრეტცკის გადასვლის შემდეგ კი „ლოს-ანჯელეს კინგზის“ მატჩზე დასასწრები ბილეთის შოვნა პრობლემა იყო, ისევე, როგორც კალათბურთის კლუბ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ თამაშებზე.

სახელდობრ, „ლოს-ანჯელეს კინგზის“ შემადგენლობაში 1994 წელს მეათედ მოიპოვა გრეტცკიმ ჰოკეის ნაციონალური ლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდება.

უეინ გრეტცკიმ კარიერა დაასრულა 1999 წლის 18 აპრილს „პიტსბურგ პინგვინზთან“ მატჩში — იმხანად ის უკვე „ნიუ-იორკ რეინჯერსის“ ღირსებას იცავდა. პოპულარულმა კანადელმა ჰოკეისტმა **ანრი რიშარმა**, რომელმაც სახელი გაითქვა განსაცვიფრებელი მოძრაობებით, უეინ გრეტცკიზე თქვა: **„მე არასდროს მინახავს ასეთი მოძრაობები. ის უნდა ნახო, აღბეჭდო, ჩასვა ჩარჩოში და შეიტანო ჰოკეის სასწავლო სახელმძღვანელოში მომავალი თაობებისთვის“.**

გრეტცკიმ პროფესიულ ჰოკეიში 21 წელი გაატარა და დაამხო ჰოკეის ნაციონალური ლიგის თითქმის ყველა რეკორდი — სულ 61. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გოლებისა და ქულების რაოდენობა. 1989 წლის 15 ოქტომბერს გრეტცკიმ გააუმჯობესა ქულების რეკორდი (1850), რომელიც ეკუთვნოდა **გორდი ჰოუს,** 1994 წელს კი — გატანილი შაიბების რეკორდი (801). სულ მის ანგარიშზეა 894 გოლი და 2857 ქულა.



გრეტსკი მამასთან ერთად



**უეინ გრეტცკის მიღწევები:**

* კანადის თასის სამგზის მფლობელი — 1984, 1987, 1881 წწ.
* სტენლის თასის 4-გზის მფლობელი — 1984, 1985, 1987, 1988 წლებში.
* „ჰარდ ტროფის“ 9-გზის მფლობელი (ყველაზე სასარგებლო მოთამაშის ტიტული).
*საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის 10-გზის მფლობელი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




# საქართველოს ხელისუფლება კვლავ საერთაშორისო პროვოკატორის როლშია

**საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ვლადიმერ კონსტანტინიდის, პირით 20 თებერვალს კიდევ ერთ საერთაშორისო ანტირუსულ პროვოკაციას აალებინა სტარტი, როცა გამოაცხადა, რომ შარშანდელი კიბერთავდასხმების უკან რუსეთი იდგა. სხვა ყველაფერთან ერთად აქ ერთი უცნაურობა იყო თვალში საცემი: თუ დანაშაულსა და გამოძიებაზეა საუბარი, ამაზე განცხადებით სამართალდამცავები უნდა გამოდიოდნენ და არა საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგრამ ეს სხვა თემაა.**

საქართველოს ხელისუფლება აქამდე ყველანაირად ცდილობდა, ანტიტრამპულ ისტერიკაში არ ჩარეულიყო. ეს ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებაც შეუერთდა **დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას და შანსი გვაქვს, ამერიკის მოქმედი და, დიდი ალბათობით, მომავალი პრეზიდენტის ავი ყურადღება დავიმსახუროთ. ვერ გეტყვით, რისთვის დასჭირდა ეს **ივანიშვილს**, მაგრამ, თუ ეს პროცესი მის ზურგს უკან განვითარდა, ორი რამის კონსტატაცია შეიძლება: **ივანიშვილს გუნდში მოღალატეები მოუმრავლდნენ და ხელისუფლების კონტროლს კარგავს.**

ქართველების „ჩაწოდებული" საინფორმაციო საბაბი სასწრაფოდ აიტაცეს შტატებში ტრამპის მოწინააღმდეგეებმა და მათ უკან მდგომმა ნეოლიბერალურმა მედიამ.

ორმა ამერიკულმა ნეოლიბერალურმა მედიასაშუალებამ — New York Times-მა და Washington Post-მა კვლავ შეახსენეს შეშფოთებულ საზოგადოებრიობას აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში „რუსეთის საფრთხის" შესახებ.

თავდაპირველად, ნიუიორკული გამოცემა 5 წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდა ერთი კვირის წინათ წარმომადგენლობითი პალატის დაზვერვის კომიტეტში გამართული ბრიფინგის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკელი კონგრესმენები და დაზვერვის წარმომადგენლები.

**ამერიკული დაზვერვის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რუსეთი უკვე ერევა 2020 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში, რათა მიაღწიოს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის არჩევას მეორე ვადით.** 22 თებერვალს კი ნეოლიბერალური პროპაგანდის რუპორმა ვაშინგტონიდან, კვლავ „ვითარების მცოდნე" უცნობ პირებზე დაყრდნობით, მკითხველებს მოუთხრო ვიღაც ოფიციალური პირების შეხვედრაზე დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატთან, სენატორ ბერნი სანდერსთან. ამ პირებმა სანდერსს უთხრეს, რომ რუსეთს განზრახული აქვს, მას დაეხმაროს საარჩევნო კამპანიაში.

რუსეთის მიმართ ჩვეულებრივი ბრალდებების გარდა, New York Times-მა ამჯერად გამოამზეურა მზვერავებისა და კონგრესმენების ბრიფინგის ზოგიერთი დეტალი.

სხვათა შორის, **თუ ეს საიდუმლო შეხვედრა იყო, როგორ გამოჟონა 5 წყაროსგან ინფორმაციამ?**

გამოცემის თანახმად, ამიერიდან რუსი ბოროტგამზრახველები მიმართავენ უფრო დახვეწილ ტაქტიკას, ამერიკული სერვერების გამოყენებით და სოციალურ ქსელებში თავს აშშ-ის მცხოვრებლებად წარმოადგენენ. ამით ისინი უბიძგებენ ამერიკის ნამდვილ მოქალაქეებს, შემდეგ თვითონ გაავრცელონ დეზინფორმაცია.

ამასთანავე, **ამერიკის დაზვერვა რუსეთის მხარეს ირანის კიბერომზე პასუხისმგებელ ქვედანაყოფებში შეღწევაშიც ადანაშაულებს, რათა თეირანის სახელით მოაწყოს კიბერშეტევები.**

კონგრესმენმა დემოკრატიული პარტიიდან — **ადამ შიფმა**, დონალდ ტრამპის დაუძინებელმა მტერმა და თეთრი სახლის მოქმედი ხელმძღვანელის იმპიჩმენტის მომხრემ, Times-ის წერილის შემდეგ კიდევ უფრო განავითარა თავისი მოღვაწეობა და ტვიტებით აავსო საინფორმაციო ველი „რუსეთის ჩარევის" თემაზე.

**რუსეთის ჩარევის შესახებ ნარატივს აქტიურად ავრცელებენ დანარჩენი პროდემოკრატიული სტრუქტურებიც, მაგალითად, CNN-მა უკვე დაადანაშაულა მოსკოვი ქმედებებში, რომლებიც „საფრთხეს უქმნის დემოკრატიის ყველაზე წმინდა ინსტიტუტს — ეროვნულ არჩევნებს... აგრეთვე, ცდილობს, დაასუსტოს ეროვნული ერთობა".**

New York Times-ი, Washington Post-ი, CNN-ი და ამერიკული ფსიქოფანტაზიის სხვა გენერატორები ყველანაირად ცდილობენ, დაარწმუნონ ამერიკელები, რომ, თუკი ნოემბერში ტრამპს ხელახლა აირჩევენ, ეს მოხდება არა ეკონომიკური წარმატების ან მხარდამჭერთა მიერ სტადიონების გავსების გამო, არამედ იმიტომ, რომ ასე უნდა **ვლადიმერ პუტინს.**

**ამერიკელ საზოგადოებაში ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ პუტინი აშშ-ის არჩევნებში ერევა. არადა, ამერიკული არჩევნების მთავარი მტერი, რომელიც ანგრევს ამ არჩევნების გამჭვირვალობასა და ლეგიტიმურობას, არის არა მოსკოვში, არამედ თვითონ აშშ-ში. ეს მტერი თავს ყოველთვის ამჟღავნებს ხოლმე შიფის ტვიტებში, CNN-ის სიუჟეტებსა და TIMES-ის სტატიებში.**

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გავაშელმა**



# რუსეთის საგარეო უწყება: ყურადღებას იპყრობს პროპაგანდისტული აქცია, რომელიც მოწყობილია ვაშინგტონის, ლონდონის და თბილისის მიერ

**ფართომასშტაბიანი კიბერთავდასხმის შესახებ საქართველოს ხელისუფლების მიერ გავრცელებულ განცხადებაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტმა განაცხადა:**

„საქართველოს ხელისუფლების, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და რიგი ევროპული ქვეყნების რუსეთის მისამართით ბრალდებებზე, ფართომასშტაბიანი კიბერშეტევების შესახებ ქართულ ინტერნეტგვერდებზე, სერვერებსა და საოპერაციო სისტემებზე, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: აშკარაა დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად მოტივირებული გამოგონილი ინფორმაციის გავრცელება. არავითარი მტკიცებულება რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან საქართველოს ელექტრონულ ქსელებში დამაზიანებელი საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ არ არსებობს და არც შეიძლება იყოს. ყურადღებას იპყრობს სინქრონიზებული პროპაგანდისტული აქცია, რომელიც მოწყობილია ვაშინგტონის, ლონდონის, თბილისისა და სხვათა მიერ. ოთხი თვე დასჭირდა რუსეთის ინციდენტში მონაწილეობის დადგენას, რომელიც თითქოსდა, გასული წლის 28 ოქტომბერს მოხდა. ყველა ბრალდება კვლავაც წამოსულია highly likely-ის ფარგლებში. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ სურთ, უარის თქმა რუსეთის დემონიზაციის ხაზზე, გასული წლის კრიზისიდან გაკვეთილის სწავლა. ეს ყველაფერი დამატებით ჩრდილს აყენებს ისედაც არამარტივ ურთიერთობებს. კვლავინდებურად დარწმუნებულები ვართ, არსებული უთანხმოებების გადალახვა და ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელება უპასუხებს ქართველი და რუსი ხალხის ძირეულ ინტერესებს. გვესმის, რომ არსებობენ ძალები, რომლებსაც ეს სრულიად არ აძლევთ ხელს", — აღნიშნულია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# ესტონელებიც კი ნოტაციებს გვიკითხავენ

**„თუ მიღებული გადაწყვეტილებები იმისთვის იცვლება, რომ რომელიმე პარტიის ინტერესის მიღწევა გააადვილოს, ალბათ, ეს საუკეთესო პრაქტიკა არ არის, რომლის არჩევაც შეგიძლიათ", — განაცხადა ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარკო მიკელსონმა საქართველოს საარჩევნო სისტემის გარშემო ბოლო თვეების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას.**

„ესტონეთი და საქართველო უახლოესი მეგობრები არიან და ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, რომ თქვენ მიერ არჩეულ გზაზე წარმატებას მიაღწიოთ... წარმატებული ინტეგრაცია, იქნება ეს ევროკავშირი თუ ნატო, დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად მიდის საშინაო საქმეები, რამდენად ძლიერია დემოკრატიული ინსტიტუტები, მიმდინარეობს თუ არა დემოკრატიული, პლურალისტური დებატები ქვეყანაში, საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით", — აღნიშნა მიკელსონმა, რომელიც არსებულ რეალობასაც უსწორებს თვალს და აღნიშნავს, რომ „ევროპის სხვადასხვა კუთხეში მომისმენია, რომ პოლიტიკოსები ფიქრობენ: **„კარგი, გასაგებია, თქვენ კონფლიქტი გაქვთ რუსეთთან, ჩვენ კი არ შეგვიძლია, კონფლიქტი ნატოში შემოვიტანოთ"...** „რასაც ვხედავთ, ეს დაღლაა, არა მხოლოდ ნატოს შემთხვევაში, არამედ, ევროკავშირის გაფართოების საკითხის შემთხვევაშიც... რუსეთი ძლიერი ქვეყანა, ბირთვული ძალაა და ბევრ ქვეყანას მათსან ურთიერთობის დიდი ისტორია აკავშირებს. ყოველთვის არის იმედი, რომ უკეთესი



იქნება, თუ რუსეთი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უსაფრთხოების შესახებ დებატებში ჩაერთვება, ვიდრე მუდმივ კონფრონტაციაში. მგონია, ჩვენ, ესტონეთი და, ვიმედოვნებ, თქვენც, საქართველო, მიიჩნევთ, რომ ჩვენს საერთო დიდ მეზობელთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება ყოველთვის უკეთესია".

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894